


178
1983

ISSN 0132-5981

საქართველოს
საბჭოთავო

საქართველო საბჭოთავი



5 1983

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
ლ ე ნ ი ნ ი ს ო რ დ ე ნ ი თ დ ა ჯ ი ლ დ ო ბ ა ი ს უ მ ს ა ხ ე ბ ა

სამეურნეო და კულტურულ მხედველობაში საქართველოს მხრთმელთა მიერ ნოკოვებულ დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მთავრობის გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს

ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ანდროპოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.
მოსკოვი, კრემლი. 1988 წლის 28 ოქტომბერი.

...საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამთქვა. მან მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული რესპუბლიკის მხრთმელთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავრობი რაჟმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც აქტიურად იბრძოლებან პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ევგეიის უმარულებისათვის, განამტკიცებან დისცილინასა და ორგანიზებულობას, ააგაღებან კოლიტიურ სიხნიულს, და უცხრომლად გარდინან ჩვენი დიადი სამურობოს თავდაცვითს ძლიერებას.

სკკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი.



საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედია

№ 5

საქართველო
მკვლევარი

1988 წელი

მუკნალი გამოდის 1928 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-კრეატიული შუროსი

შინაარსი

საბჭოთა დემოკრატიული ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რეპრეზენტატიული კრება	3
საბჭოთა საბჭოების როლი სოციალისტური განვითარების განხორციელებაში	5
მ. ღირსაძე — საბჭოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის	10
<u>თეორიის საკითხები</u>	
ს. ჯორჯანიძე, თ. ლილუაშვილი — შრომის საშაბრის როლი საზოგადოებაში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში	17
<u>სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის</u>	
ბ. პარფოვი — სსრ კავშირის კონსტიტუციის კვალი	27
ბ. ფალიაშვილი — უღანაურაულობის კრეატიულობა, როგორც სისხლის საშარტლის პროცესის კონსტიტუციური პრინციპი	31
<u>პრინციპები</u>	
ბ. ლომიძე — საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა საბაზის პრინციპული მნიშვნელობა	38
<u>მეურნეობა და საშარტალი</u>	
ბ. ზაზანიძე — საწარმოო მრეწველის სტატუსი	43
<u>ღისეუნი, კოლმეობა, რეალიზაცია</u>	
მ. ბაგრატიანი — კანონის ენის შესახებ	51
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლმეობა	61
<u>გეოგრაფიის ტრადიციის 200 წლისთავი</u>	
ბ. აბიანიძე — პირველი ქართველი იურისტი მუთისი	64
პრინციპული კრეატიულობა	69
ინფორმაცია	71
სარედაქციო ფონის მნიშვნელობა	73
კომპიუტერული ნაბეობა საშარტალდაცვითი მრეწველობისათვის	75
ი. სურგულაძე	76
ბაგრატიანობა	77

СОДЕРЖАНИЕ

საქართველოს
საბჭოთაო კავშირი

Республиканское собрание председателей исполкомов местных Советов народных депутатов	3
Повысить роль Советов в укреплении социалистической законности	5
Д. Диасамидзе — За дальнейшее совершенствование работы советов	10

ВОПРОСЫ ТЕОРИИ

С. Джорбенадзе, Т. Лилуашвили — Роль трудового права в повышении эффективности общественного производства	17
---	----

К ДНЮ КОНСТИТУЦИИ СССР

Г. Еремов — Преамбула Конституции СССР	27
А. Палиашвили — Презумпция невиновности как конституционный принцип уголовного процесса	31

КРИМИНОЛОГИЯ

Г. Глonti — Криминологическое значение повода преступлений на бытовой почве	38
---	----

ХОЗЯЙСТВО И ПРАВО

Т. Замбахидзе — Статус производственной единицы	43
---	----

ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

О. Гамкrellидзе — О языке закона	51
На коллегии Министерства юстиции Грузинской ССР	61

К 200-ЛЕТИЮ ГЕОРГИЕВСКОГО ТРАКТАТА

Н. Абзианидзе — Первый грузинский юрист в Кутаиси	64
Практика арбитража	69
Информация	71
Обзор редакционной почты	73
Комплексное здание правоохранительных органов	75
Памяти профессора И. Сургуладзе	76



სარედაქციო კოლეგია:

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწყირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1983 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლასანოვის პრ. 108. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა წარმოებას 31. 10. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 12. 83 წ.,
ფორმატი 70×1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5
შეკვ. № 2520 ტირაჟი 15750 უე 07318

სახალხო დემოკრატია ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება

17 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ვაი-მართა პლენარული სხდომა სახალხო დემოკრატია ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრებისა, რომელმაც განიხილა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მითითებათა შესაბამისად საბჭოების საქმიანობის შენდგომი სრულყოფის ამოცანები.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭიჭინაძე, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ს. ხანაკოვეი, უ. კ. შარტავა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მ. არხიპოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგის მოადგილე ვ. მ. შანინი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკის უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები.

დამსწრეთ ერთსულოვნად, ტაშის გრიალში კრების საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოხსენება წინასწარ დაურიგდათ კრების მონაწილეებს, სხდომაზე იგი არ წაუკითხავთ.

მოხსენების ძირითადი დებულებების, მისი წინასწარი განხილვის შედეგების შესახებ კრებას მოახსენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ე. ხარალიძე, მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ლ. ჭინჭლაძე, პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ლ. მ. დათიაშვილი, სოხუმის რაიონის ეშერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ა. ოთირბა, სა-

17.51

გარეჯოს რაიონის მანავის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კ. მ. შავლაშვილი, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ზ. ეშირიძე, ბოგდანოვის რაიონის გორელოვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. ნ. ზუბკოვა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. დ. შველაძე, ლენინგორის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ს. სოკუროვი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. დვალისვილი, გარდაბნის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. მ. ნოვრუზოვი, საქართველოს სსრ პროკურორი ა. მ. ბარაბაძე, მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. გ. გრიგორიანი, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომუშყველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ფოფხაძე, დუშეთის რაიონის შატლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ბ. ჭინჭარაული, მცხეთის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე თ. პ. პეტრიაშვილი, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანზომლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, ყველა მოწვევის სასოფლო საბჭოს დეპუტატი ი. კ. თავაძე.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შვეარდნაძემ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა ორგანოების ყველა მუშაკისადმი, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებისა და საბჭოების აქტივისადმი.

პლენარული სხდომის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკური კრების მონაწილენი გაეცნენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი აღმასკომის მუშაობის გამოცდილებას.

საბჭოთა საქართველო დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. მასადასრულდა ახლა, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებთან ერთად, რესპუბლიკის დროშაზე ხუთი ორდენი იკიანება.

ე. ა. შვეარდნაძე.

ახაპალმით საბჭოების როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში

სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოები წარმოადგენენ ყველაზე წარმომადგენლობით და ხალხის ფართო მასებთან მჭიდროდ დაკავშირებულ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივ საბჭოებში ორ მილიონზე მეტი დემუტატი მოღვაწეობს, მარტო ჩვენს რესპუბლიკაში 1118 სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოა, რომელშიც არჩეულია 50.643 დემუტატი. თვალსაჩინოა მათი როლი სახალხო მეურნეობის განვითარებაში, უმნიშვნელოვანესი სოციალური და კულტურული ამოცანების განხორციელებაში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში. უკანასკნელ ხანს ადგილობრივი საბჭოების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამჟამად ისინი გაცილებით მეტ უფრო მრავალფეროვან საკითხებს განიხილავენ და წყვეტენ, ვიდრე ახლო წარსულში. მუდმივმოქმედ კომისიებში, რომლებიც საბჭოებთან არის შექმნილი, გარდა დემუტატებისა, მონაწილეობს ათასობით აქტივისტი. ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილება, მნიშვნელობა და ამოცანები კიდევ უფრო გაიზარდა ბოლო წლებში, როდესაც მათ ახალი კანონმდებლობით დაეკისრათ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფა, მათი მუშაობის შეთანხმება და კოორდინაცია მიუხედავად იმისა, თუ ვის ექვემდებარებიან ისინი.

ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასკომების მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხებს მიეძღვნა სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება, რომელიც წლებულს 17 სექტემბერს გაიმართა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ამ მეტად წარმომადგენლობით ფორუმზე გაცხოველებული სჯა-ბაასი გაიმართა იმ დიდ წვლილზე, რომელიც ბოლო ათწლებულში შეიტანეს საბჭოებმა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური კანონიერების დამკვიდრებაში. სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში, ეკონომიკის აღმავლობის უზრუნველყოფაში. ამასთან ერთად კრებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უბასუხებს იმ გზარდილ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან. კრებამ განსაზღვრა რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ძირითადი მიმართულება-ნი უახლესი პერიოდისათვის და შეიმუშავა რეკომენდაციები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის, სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება, განუზრუნავად დაიცვან მოქალაქეთა უფლებები, მუდმივად აღდგინონ თვალყური, თუ როგორ სრულდება ადგილებზე მოქმედი კანონმდებლობა, როგორ იცავენ სამზღველო და სოფლის მეურნეობის საწარმოთა ხელმძღვანელები კანონს, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რამდენად ეფექტიანია ადგილობრივი სამართალდაცვითი ორგანოების ბრძოლა დამნაშავეებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

დღეს დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარ მიმართულებად კვლავ რჩება მისი პროფილაქტიკა, ამიტომ ადგილობრივი საბჭოების, მათი მუდმივმოქმედი კომისიების, ყველა დეპუტატის მოვალეობაა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მეტი ყურადღება დაუთმონ დამნაშავეობის თავიდან აცილების საკითხებს, გულდასმით შეისწავლონ და გააანალიზონ თითოეული დანაშაულის წარმომშობი მიზეზი, განახორციელონ ღონისძიებანი დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღკვეთისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კრებაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში ამის თაობაზე თქვა: „ახლა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორ, გააზრებულ პროფილაქტიკურ მუშაობას და აქ ძნელია გადაჭარბებით შეაფასო საბჭოების როლი, მათ განკარგულებაშია ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოები, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოები. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ მაქსიმალური ეფექტიანობა ვიყენებდეთ ისეთ მნიშვნელოვან ფორმირებებს, როგორც არის საბჭოების სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები, აგრეთვე სამეთვალყურეო და ადმინისტრაციული კომისიები, არასრულწლოვანთა საქმეების, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის, მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისიები და სხვ. ისინი სრული დატვირთვით და მაღალი უკუგებით უნდა მოქმედებდნენ.“¹

ადგილობრივი საბჭოების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა გააჩაღონ უკომპრომისო ბრძოლა სოციალიზმისათვის შეუფერებელი ისეთი ანტიბოღის წინააღმდეგ, როგორც არის მუქთახორობა. მუქთახორობა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან თავის არიდება აღარ არის მარტოდენ ამორალური საქციელი. იგი კანონით მკაცრად ისჯება. სამწუხაროდ, როგორც ფაქტები მოწმობს, ეს კანონი ყველგან სათანადოდ არ სრულდება. ბევრ აღმასკომთან შექმნილი შესაბამისი კომისიები ეფექტიანად ვერ იბრძვიან მუქთახორობის წინააღმდეგ. ყველგან გამოყენებული არ არის მუქთახორების გამოვლენის სისტემა, რომელიც მოწონებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. ხშირად ადგილობრივი საბჭოები ამ საქმეს მარტო მილიციის ორგანოებს ანდობენ, რის გამოც მცირევე გამოვლენილ მუქთახორათა რაოდენ-

¹ იხ. ვახუთი „კომუნისტი“, 1983 წ., 1 სექტემბერი.

ნობა. მუქთახრობა კი დანაშაულის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზია. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ მუქთახორების ხვედრითი წილი დამნაშავეთა შორის დიდია. ადგილობრივმა საბჭოებმა ამ პრობლემაზე მუშაობის დროს მხედველობაში უნდა იქონიონ ისიც, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ასეთ პირთა ჩაბმა ხელს შეუწყობს შრომითი რესურსების დეფიციტის შემცირებას. შრომითი რესურსების დეფიციტის შემსუბუქებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველმხრივ გავუფრთხილდეთ—დროს—ფასდაუდებელ სიმდიდრეს, რაციონალურად გამოვიყენოთ თითოეული სამუშაო წუთი, განუხრებლად დავიცვათ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები, განსაკუთრებით კი ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს მუშაკის სამსახურიდან დათხოვნას. ეს საკითხები, როგორც ჩანს, ყოველთვის არ დგას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ყურადღების ცენტრში. ამით უნდა აიხსნას, რომ ჯერ კიდევ დიდია მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის შემთხვევები. ასე, მაგალითად, 1981 წელს სასამართლოების მიერ სამუშაოზე აღდგენილია დათხოვნილ მუშაკთა 61,3 პროცენტი, 1982 წელს — 59,8 პროცენტი, 1983 წლის 8 თვეში — თითქმის ნახევარი. გარდა იმისა, რომ სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა აუნაზღაურებელ მორალურ ტრავმას აყენებს მუშაკს, ერთდროულად სახელმწიფო დიდ ზარალსაც განიცდის, მართო ამ სამი წლის განმავლობაში უკანონოდ დათხოვნილ მუშაკებს აუნაზღაურდათ იძულებითი განაცდური 70.588 მანეთის ოდენობით. აქედან დამნაშავე თანამდებობის პირებს დაერიცხათ უმნიშვნელო თანხა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მუშაკების უკანონოდ დათხოვნის გამო გაცდენილია ათასობით კაცდღე. ძირშივე უნდა აღიკვეთოს ის მცდარი შეხედულება, თითქოს მუშაკთა სამსახურიდან დათხოვნა თუ აღდგენა, შრომის კანონმდებლობის ნორმების დაცვა მართოდენ სასამართლოს, პროკურატურის და პროფკავშირული ორგანიზაციის საქმე იყოს. მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, საბჭოთა კანონების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელება ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციაში შედის, ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა.

ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ მეზობლური და ოჯახური კონფლიქტების, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი დანაშაულის თავიდან აცილებაში. სტატისტიკა მოწმობს, რომ მეზობლური უსიამოვნებისა და ოჯახური კონფლიქტის გამო ჩადენილია ბევრი დანაშაული, მათ შორის ისეთი მძიმე დანაშაულებანი, როგორიც არის მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა. კრიმინოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის 70 პროცენტი საყოფაცხოვრებო ნიადაგზეა ჩადენილი. ამ დანაშაულობათა თავიდან აცილებაში ადგილობრივმა საბჭოებმა უფრო ფართოდ უნდა ჩააბან დეპუტატთა აქტივი, გაააქტიურონ შესაბამისი კომისიების მუშაობა, გამოიყენონ საზოგადოებრივ ფორმირებათა ყველა შესაძლებლობა.

ცნობილია, რომ 1968 წლიდან შინაგან საქმეთა რაიონული ორგანოები სახალხო დეპუტატთა რაიადმასკომების განყოფილებებად გარდაიქმნა. ეს საბჭოებისაგან მოითხოვს, ყველაფერი იღონონ მილიციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, გაზარდონ მოთხოვნილება მათდამი, მუდმივად ზრუნავდნენ მილიციის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, ამქამად საბჭოების წინაშე დგას სერიოზული ამოცანა. პარტიულ ორგანოებთან ერთად ისინი მოვალენი არიან

უზრუნველყონ მილიციის პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება ყველაზე საუკეთესო ძალებით. სახალხო დემუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ მილიციის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა, სისტემატურად განიხილონ აღმასკომის სხდომაზე და სესიებზე მათი საქმიანობის ანგარიში, დახმარება გაუწიონ მათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში. პრაქტიკაში ფართოდ უნდა დაინერგოს მილიციის მუშაკთა შეხვედრები მოსახლეობასთან, შრომით კოლექტივებთან. ასეთი კავშირუროთიერთობა ყოველმხრივ უნდა გაფართოვდეს და განმტკიცდეს.

სახალხო დემუტატთა საბჭოები ხშირად ურიგდებიან კოლმეურნეობებში დემოკრატიული საფუძვლების დარღვევის ფაქტებს, დროულად არ ახორციელებენ ღონისძიებებს კოლმეურნეობების გამგეობის უკანონო გადაწყვეტილებათა შეჩერებისათვის და მათ აუქმებენ მხოლოდ პროკურორების პროტესტების წარდგენის შემდეგ. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი და მისი დარღვევა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, ყოველად დაუშვებელია. ეს უნდა გაითვალისწინონ ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა და განახორციელონ ღონისძიებანი საკოლმეურნეო დემოკრატიის განუხრელი დაცვისათვის.

როგორც კრებაზე ითქვა, ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო სათანადოდ არ აფასებს ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორც არის მოქალაქეთა განცხადებების და საჩივრების განხილვა მათი მიღების ორგანიზაცია. ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან მტკიცედ დაცვან კანონმდებლობა მოქალაქეთა მიღების, მათი განცხადებების და საჩივრების განხილვის შესახებ. გარდა იმისა, რომ ყოველი განცხადებებისა და საჩივრების მიღმა მშრომელი ადამიანი დგას და მის კანონიერ მოთხოვნას მხარდაჭერა სჭირდება, განცხადებებში აღძრულ საკითხებს ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

როგორც ფაქტები მოწმობს, არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი რაიონის სამართალდაცვითი ორგანო უხეშად არღვევს კანონს დემუტატის სტატუსის შესახებ. ასეთი ფაქტებისა და ზოგიერთი საბჭოს მიერ კანონსაწინააღმდეგო დადგენილების მიღების შესახებ ლაპარაკია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დ. დიასამიძის წერილში — „საბჭოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის“, რომელიც ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ქვეყნდება. ასეთი ყოველად დაუშვებელი მოვლენა დაუყოვნებლივ უნდა გახდეს საბჭოების და შემდგომი სამართალდაცვითი ორგანოების მკაცრი მსჯელობის საგანი. დემუტატი, როგორც ხალხის მსახური, გარკვეული იმუნიტეტით სარგებლობს და ამის დავიწყება არ შეიძლება.

საბჭოები მოწოდებული არიან არა მარტო იღვანენ კანონის დაცვის სადარაჯოზე, არამედ ზოგჯერ თვითონაც გამოდიან სამართლებრივი აქტის შემსრულებლის როლში. მაგალითად, სასოფლო და სადაბო საბჭოები აღჭურვილი არიან უფლებით შეასრულონ ნოტარიალური მოქმედება, რომელიც წარმოშობს მოქალაქეთათვის გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს. ამიტომ ასეთი აქტები წმინდა საკანონმდებლო თვალსაზრისით სანიმუშო უნდა იყოს.

იმისათვის, რომ მთლიანად და სრულყოფილად განახორციელონ ის მრავალფეროვანი ფუნქციები, რომლებიც დაკისრებული აქვთ ადგილობრივ საბჭოებს, მათ აღმასკომებსა და დემუტატებს, საჭიროა საბჭოების ყველა რგო-

ლის მუშაკებს და დეპუტატებს ჰქონდეთ სამართლებრივი ცოდნის ერთგვარი მინიმუმი. ამისათვის საბჭოებმა უნდა გამოიყენონ სამართლებრივი პროფილის სახალხო უნივერსიტეტის ქსელიც. პერიოდულად მოაწყონ სემინარები და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები სამართლებრივ თემებზე, იზრუნონ იურიდიული ლიტერატურის შეძენისათვის და იქონიონ ისინი საბჭოებში, ბიბლიოთეკებში, დეპუტატთა ოთახებში და სხვა. ფართოდ უნდა გავრცელდეს საბჭოების ხელმძღვანელი მუშაკების გადამზადების პრაქტიკა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა მუდმივმოქმედ კურსებზე. საბჭოებმა უფრო აქტიურად უნდა გასწიონ სამართლებრივი ცოდნის პრობაგანდა მოსახლეობაში. სამართალმშობრდობითი მუშაობა ახალგაზრდობასთან, კოლმეურნე გლეხობასთან, მშრომელთა სხვა ფენებთან საბჭოებმა, მათმა აღმასკომებმა თავიანთ ღვიძლ საქმედ უნდა მიიჩნიონ.

საბჭოები მხოლოდ მაშინ შეძლებენ გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, თუ ყოველნაირად სრულყოფენ მასობრივ-ორგანიზაციულ საქმიანობას, ფართოდ დანერგავენ თავიანთ მუშაობის პრაქტიკაში საჯაროობის პრინციპს, წინასწარ გააცნობენ დეპუტატებს, მუდმივი კომისიის აქტივისტებს სესიაზე განსახილველ საკითხებს, გაითვალისწინებენ სესიაზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, მშრომელთა წინადადებებსა და მოსაზრებებს, უზრუნველყოფენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

საბჭოებმა უფრო აქტიურად უნდა ჩააბან თავიანთ მუშაობაში მშრომელთა საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანოები, მიკრორაიონების საბჭოები, რომლებსაც მოსახლეობის ფართო მასებში დამსახურებული ავტორიტეტი აქვთ მოპოვებული.

აუცილებელია საბჭოებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენების, მათი დასვენებისა და კულტურული მომსახურების საკითხს. ხშირად სწორედ ამ საკითხების მოუგვარებლობა იწვევს ლოთობას, უწესრიგობას და დანაშაულსაც კი.

ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ რესპუბლიკის სწავლული იურისტების მიმართ, რომლებიც ნაკლებად ეხმარებიან მათ საბჭოების მუშაობის სრულყოფასა და მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში. არავითარი გამართლება არა აქვს, მაგალითად, იმას, რომ დღემდე არა გვაქვს განმაზოგადებელი ნაშრომი საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილების შესახებ. საჭიროა ეს ყურად იღონ სამართლებრივი პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებმა და მეცნიერმა მუშაკებმა.

როგორც ზევით ითქვა, ბოლო წლების მანძილზე საბჭოების მუშაობაში დაისახა გარკვეული დადებითი ძვრები. ეჭვი არ არის, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საბჭოების, ხალხის ხელისუფლების საქმიანობის სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

საბჭოების საქმიანობის შედეგები სრულყოფისათვის

დ. ზინასიძე,

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ჩვენს ქვეყანაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დემუტატთა საბჭოების მეშვეობით.

სახალხო დემუტატთა როგორც უმაღლესი, ისე ადგილობრივი საბჭოები შეადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიან სისტემას. ახალი კონსტიტუციით სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები და სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოები აღკუთრვილი არიან დიდი უფლებებით. უმაღლესი საბჭოები იღებენ კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს, რომელთა დაცვა და განხორციელება მათი უპირველესი მოვალეობაა. სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოები იღებენ სავალდებულო გადაწყვეტილებებს მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ზრუნავენ საბჭოთა კანონების, საკუთარი გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

კონსტიტუციის შესაბამისად, საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისაგან. ყოველი მოქალაქე ვალდებულია იცავდეს საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას. კონსტიტუცია თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობის და ღირსების საქმედ თვლის კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, განამტკიცებდეს შრომის დისციპლინას, იბრძოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, უფრთხილდებოდეს სახალხო დოვლათს, იცავდეს სახელმწიფო ინტერესებს.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებით განსაზღვრულია საქანონმდებლო უფლებათა განხორციელებისა და კანონმდებლობის დაცვის დარგში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის, სახალხო დემუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების, მათი აღმასკომების უფლებები და მოვალეობები.

აჭარის ასსრ კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უფლებების ფარგლებს გარეთ დამოუკიდებლად წყვეტს საკითხებს, რომლებიც მის გამგებლობას განეკუთვნება, მათ შორისაა ისეთი საკითხები, როგორც

არის აჭარის ასსრ კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მიღება. სახელმწიფო წესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

აჭარის ასსრ კონსტიტუციის მიღება, მასში ცვლილებების შეტანა, აჭარის ასსრ კანონების მიღება მხოლოდ და მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაა.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ახორციელებს აჭარის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში, იგი იღებს ბრძანებულებებს და სხვა საკანონმდებლო აქტებს, შეაქვს ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში, რომლებსაც შემდეგ ამტკიცებს უმაღლესი საბჭო. ამასთან პრეზიდიუმი იძლევა აჭარის ასსრ კანონების განმარტებას.

აჭარის ასსრ ტერიტორიაზე სავალდებულოა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონები. გარდა ამისა, აჭარის ასსრ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ბოლო წლებში მიღებულია და მოქმედებს აჭარის ასსრ კანონები და საკანონმდებლო აქტები, მაგალითად, კანონები აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, აჭარის ასსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ, აჭარის ასსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს, საქალაქო საბჭოს, სადაბო და სასოფლო საბჭოს შესახებ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ, აჭარის ასსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, დებულებები: აჭარის ასსრ სახელმწიფო გერბის შესახებ, აჭარის ასსრ სახელმწიფო დროშის შესახებ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ, აჭარის ასსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების შესახებ, აჭარის ასსრ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, აჭარის ასსრ ქალთა კომიტეტების შესახებ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის შესახებ, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების შესახებ, აჭარის ასსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ, ადმინისტრაციულ, სამეთვალყურეო, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ და სხვა.

სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების, კანონებისა და საკანონმდებლო აქტების დაცვისა და განხორციელებისათვის მუშაობენ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მუდმივი კომისიები, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, ადმინისტრაციული ორგანოები და სხვა ორგანიზაციები.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უფლებამოსილია გააუქმოს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და განკარგულებები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოების გადაწყვეტილებები, თუ ისინი არ შეესაბამება კანონს. თავისი კომპეტენციის ფრგლებში აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსაც შეუძლია გააუქმოს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების აქტები.

კანონმდებლობის დაცვასა და განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნით რესპუბლიკის სახალხო დემუტატთა ადგილობრივ საბჭოებს. ისინი წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფოებრივი და თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ახორციელებენ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე საკუთარ გადაწყვეტილებებს. აჭარის ასსრ რაიონულ, საქალაქო, სიდაბო და სასოფლო საბჭოების შესახებ აჭარის ასსრ კანონებში არის სპეციალური მუხლი სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და სახალხო კონტროლის განხორციელების დარგში სახალხო დემუტატთა საბჭოს უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. მათში ნათქვამია, რომ სახალხო დემუტატთა საბჭო მოვალეა უზრუნველყოს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ კანონების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების სხვა აქტების შესრულება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვა, ორგანიზაცია გაუკეთოს მოსახლეობისათვის კანონმდებლობის განმარტებას და იურიდიული დახმარების გაწევას. ადგილობრივი საბჭო საჭიროების მიხედვით აუქმებს დაქვემდებარებული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს, კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების), საკოლმეურნეობათა შორისო საწარმოების (ორგანიზაციების) საბჭოების, სამომხმარებლო საზოგადოების წევრთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების), ამავე საზოგადოების კავშირების, საბინაო-სამშენებლო და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობების იმ გადაწყვეტილებებს. რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან, აჩერებს მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის და გამოყენების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყრფაცხოვრებო და სხვა მომსახურების საკითხებზე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც კანონს ეწინააღმდეგებიან და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოს. რაიონული და საქალაქო საბჭოები კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებენ მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

როგორ ახორციელებენ თავიანთ ამ უფლება-მოვალეობებს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭო, მისი პრეზიდიუმი, სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები!

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის მუშაობაში ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასა და განხორციელებას, ამ მიზნით სისტემატურად სწავლობს და განიხილავს ცალკეული კანონებისა და საკანონმდებლო აქტების შესრულების

მდგომარეობას, სახავს ღონისძიებებს გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

უმალღესმა საბჭომ თავის სესიაზე იმსჯელა ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორც არის რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების დაცვა, სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მართლმსაჯულების განხორციელება და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამ დარგში გაწეულ დიდ მუშაობასთან ერთად გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი, მხილებულ იქნა სოციალისტური კანონიერების დარღვევის, მოქალაქეთა უფლებების შელახვის, შწრომელთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული და უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტები. განხორციელდა ღონისძიებანი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების, მუშა-მოსამსახურეების სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის აღსაკვეთად.

სესიაზე ითქვა, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მართლმსაჯულების განხორციელება, კიდევ ვუფრო განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება, ამალდა მოსახლეობის მართლმშენება. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. სახალხო სასამართლოები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა სრულყოფილად მომზადებას განხილვისათვის. არის საქმეთა განხილვის გადადებისა და გაჭიანჭრების, უხარისხოდ გამოძიებული საქმეების წარმოებაში მიღების ფაქტები. აღმოფხვრილი არ არის შეუსაბამოდ ღმობიერი ან მკაცრი სასჯელების შეფარდების, ზოგჯერ კი უსაფუძვლო მსჯავრდადების შემთხვევები, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. უმალღესმა საბჭომ ამ საკითხებზე მიიღო კონკრეტული დადგენილებანი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებას.

საბჭოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან დემოკრატიული პრინციპების დაცვისა და მუშაობაში საჯაროობის დანერგვისათვის. ამ საკითხზე არაერთხელ ჰქონდა მსჯელობა აჭარის ასსრ უმალღესი საბჭოს პრეზიდიუმს. მაგალითად, შესწავლილ იქნა ქობულეთის რაიონის ბობოყვათის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვის მდგომარეობა. ამ საქმეში გამოვლინდა მთელი რიგი შეცდომები და ნაკლოვანებანი. ბობოყვათისა და დაგვის კოლმეურნეობათა გამგეობები ზოგჯერ ამეტებენ თავიანთ უფლებებს, განიხილვენ და წყვეტენ ისეთ საკითხებს, რომლებიც წესდებით კოლმეურნეობის წევრთა საერთო (რწმუნებულთა) კრების ან სასოფლო საბჭოს, მისი აღმასკომის უფლებამოსილებას შეადგენს, ხოლო ბობოყვათის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა არ განახორციელა ღონისძიებანი უკანონო დადგენილებების მიღების აღკვეთისათვის. ასეთივე ნაკლოვანებანი გამოვლინდა ხელვაჩაურის რაიონშიც.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი არ იცავს სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ კანონის მოთხოვნებს მუშაობაში საჯაროობის პრინციპის ფართოდ დანერგვის თაობაზე, არ იღებს გადაწყვეტილებას სესიების მოწვევის, დღის წესრიგის, სესიის დღისა და ადგილის შესახებ, სესიის მოწვევის დღესა და დღის წესრიგს არ აცნობებს დეპუტატებსა და მოსახლეობას, რის გამოც

უზრუნველყოფილი არ არის მათი აქტიურობა სესიების მომზადებასა და ჩატარებაში. ასეთი ფაქტები იყო ხულოს რაიონის ღორჯომის, დიოკნისის სასოფლო, შუახევის რაიონის შუახევის სადაბო და ზოგიერთ სხვა საბჭოში.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები იღებენ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს. იმის მაგივრად, რომ ურჩიონ ან რეკომენდაცია მისცენ, ხშირად საბჭოების აღმასკომები კოლმეურნეობებს და სხვა კოოპერაციულ საზოგადოებებს გადაწყვეტილებებით ავალებენ გარკვეულ მოქმედებათა შესრულებას და ამით არღვევენ დემოკრატიულ პრინციპებს. ასეთი გადაწყვეტილებების მიღება დაუშვს სახალხო დემუტატთა ქობულეთისა და შუახევის რაიონულმა, ბათუმისა და ქობულეთის საქალაქო, ხელვაჩაურის, მახინჯაურის და ქედის სადაბო, ურჯინის, ახალშენის, დანდალოს, ზეარეს, ქაქუთისა და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა. პრეზიდენტმა დაავალა მათ შეცვალონ ეს გადაწყვეტილებები და მოიყვანონ ისინი კანონის შესაბამისობაში.

ადგილობრივი საბჭოები კონტროლს უწევენ მიწისა და წყლის შესახებ არსებული კანონმდებლობის განხორციელებას, იბრძვიან მიწის დატაცებათა წინააღმდეგ, ზრუნავენ მიწის ფონდისა და წყლის რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის დარღვევები და ნაკლოვანებები. მიწის კანონმდებლობის დარღვევები გვხვდება ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების კოლმეურნეობებში. სოფელ ლედვას კოლმეურნეობაში ერთ კომლზე გაფორმებული იყო ორი საკარმიდამო ნაკვეთი. ამავე და ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში კოლმეურნეობის წევრთა საერთო (რწმუნებულთა) კრების დადგენილების მიუღებლად მიწის ნაკვეთი დაიკავეს ცალკეულმა მოქალაქეებმა. ასეთ დარღვევებზე კი სათანადო რეაგირება არ მოახდინეს ლედვას სასოფლო და ჩაქვის სადაბო საბჭოს აღმასკომებმა.

ზოგან არ ზრუნავენ წყლის დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის განხორციელებისათვის, რის გამოც არის წყლის გატუქყიანებისა და დანაკარგების ფაქტები. ამაზე უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტმა არაერთხელ მიუთითა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს და დაწესებულებებს, მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის გამოსწორებული, სახალხო მეურნეობასა და მოსახლეობას კვლავ დიდ ზიანს აყენებს ზღვისა და მდინარეების გატუქყიანება.

ბევრი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება სამრეწველო საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. პრეზიდენტმა შეისწავლა ქ. ბათუმში უხარისხო, არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა. დადებით გამოცდილებასთან ერთად, გამოვლინდა სერიოზული დარღვევებიც. კონტროლი არ არის დაწესებული გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი, რის გამოც წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო, რომელსაც არ აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშნაანი პროდუქცია. სავაჭრო ორგანიზაციები კი საწარმოებს იშვიათად უყენებენ პრეტენზიებს უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის მიწოდებისათვის, არ მიმართავენ ისეთ ეკონომიკურ სანქციებს.

როგორც არის უხარისხო პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვა, ჯარიმა, პროდუქციის მიღებისას განსაკუთრებული რეჟიმის — 100 პროცენტიანი ვასინჯის დაწესება, საწარმოს გეგმის შესრულებიდან და მოგებიდან იმ თანხის ამოღება, რომელიც მიღებულია უხარისხო პროდუქციის რეალიზაციით. ეკონომიკურ სანქციებს არ ავრცელებენ იმ ხელმძღვანელებისა და პირების მიმართ, რომლებიც უხარისხო პროდუქციას უშვებენ. ამ დარგში კანონმდებლობის დარღვევისათვის მკაცრად იქნენ გაფრთხილებული საწარმოთა და სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

ხორციელდება ღონისძიებანი მშენებლობის დარგში არსებული კანონმდებლობის დაცვისათვის. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული სახელმწიფო წესრიგი. დამკვეთი და სამშენებლო ორგანიზაციები ასამოქმედებელი ობიექტების მიღება-ჩაბარების დროს ზოგჯერ არღვევენ მოქმედ კანონებს, უშვებენ წამატებებს. აღკვეთილი არ არის ისეთი შემთხვევები, როცა საექსპლოატაციოდ გადასცემენ დაუმთავრებელ და დეფექტიან შენობებს, რომელთა გამოსწორება შემდეგ კონსტრუქციას ან სულ აღარ ხდება, ხოლო ის ორგანოები, რომელთაც ეხებათ კონტროლი მშენებლობის ხარისხისადმი, იჩენენ უპრინციპობას, დამნაშავეებს არ აძლევენ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში. უხარისხო და დაუმთავრებელი შენობების საექსპლოატაციოდ გადაცემა კი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ მიმართავენ სათანადო ზომებს წამატებებისა და უხარისხო მშენებლობის აღკვეთისათვის, ამ დარგში მოქმედი კანონმდებლობის დაცვისათვის.

„სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ გაზარდა საბჭოების უფლებანი და მოვალეობანი კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში. გაძლიერდა მათი საკონტროლო გავლენა თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაზე. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახსრების გაერთიანება-გამოყენების თაობაზე არსებული კანონმდებლობის შესასრულებლად ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ და მოიწონა აღმასკომის მიერ ამ დარგში განხორციელებული ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ საწარმოთა სახსრებისა და მასალების მობილიზაციით ქ. ბათუმის კეთილმოწყობის სამუშაოებს. ბევრი რამ უკვე გაკეთდა კიდევც.

ქანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრძოლა უკანონობათა და დამნაშავეობის წინააღმდეგ. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღკვეთა დეპუტატების სტატუსის შესახებ კანონის დარღვევის არაერთი შემთხვევა. აღდგენილ იქნენ სამუშაოზე ახალშენის სასოფლო საბჭოს დეპუტატები, ახალშენისა და ხეყარუს სასოფლო კლუბების გამგეები ნ. ზოიძე და თ. შერვაშიძე, რომლებიც სასოფლო საბჭოს აღმასკომის თანხმობის გარეშე სამუშაოდან გაათავისუფლა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრომ.

სახალხო დემუტატთა საბჭოები დიდ მუშაობას ეწევიან სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, ქურდობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ისინი ხშირად მართავენ სოფლის ყრილობებს, შრომითი კოლექტივების კრებებს, რომლებზეც ამხელენ დანაშაულებს და ახორციელებენ ღონისძიებებს მოსახლეობაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. მიმდინარე წლის აპრილში ყველა სადაბო და სასოფლო საბჭოში გაიმართა სოფლის ყრილობები სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და დანაშაულობათა აღმოფხვრის საკითხებზე, რომლებზეც დაისახა ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა ისეთი საკითხების შესწავლის და განხილვის დროს, როგორც არის საწარმოთა კოლექტივებში შრომის კანონმდებლობისა და სოციალისტური საკუთრების დაცვა, ჩადენილ დანაშაულობებზე რეაგირება, საყოფაცხოვრებო წიადაგზე მომხდარი დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა; ადმინისტრაციულ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებების მდგომარეობა. ქ. ბათუმის მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელები ზოგჯერ შრომის კანონმდებლობის დარღვევით ათავისუფლებენ სამუშაოდან მუშა-მოსამსახურებს; შემცირების ტენდენციის მიუხედავად, კვლავ არის სოციალისტური საკუთრების დატაცების შემთხვევები; დიდია საყოფაცხოვრებო წიადაგზე ჩადენილი დანაშაულობების რიცხვი ბელაჯანაურის რაიონში; მთელი რიგი შრომითი კოლექტივები სათანადოდ არ რეაგირებენ მომხდარ დანაშაულობებსა და დარღვევებზე; ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმი და ფორმალიზმი.

ყოველივე ეს საბჭოებისაგან მოითხოვს უფრო ენერგიულ მუშაობას თანხანთი საკონტროლო და საკოორდინაციო უფლებების განსახორციელებლად. ამიტომ არის, რომ ისინი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ საკითხების განხილვას უფრო მეტად უდგებიან კანონმდებლობის დაცვის თვალსაზრისით. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, მაგალითად, ხშირად განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორც არის კანონმდებლობის განხორციელების მდგომარეობა სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, მრეწველობის, მშენებლობის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლებისა და კულტურის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, სოციალისტური კანონიერებისა და სხვა დარგებში.

ახალი კონსტიტუციის მიღებამ და მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანამ კიდევ უფრო სრულყო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

ახლა მთავარია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად თანამიმდევრულად განვახორციელოთ და განუხრელად დავიცვათ მოქმედი კანონმდებლობა. განვაძლიეროთ სოციალისტური კანონიერება.



შრომის სამართლის რელი საზოგადოებრივი ნარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში

ს. ჯორჯანიძე, თ. ლილუაშვილი

1. მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდრობოვმა განაცხადა: „ჩვენთვის მთავარი გზა წარმოების ეფექტიანობის გაზრდა. ყველაფერი, რასაც ვაქეთობთ და ვაწარმოებთ, შეძლებისდაგვარად უნდა ვაქეთოთ და ვაწარმოოთ უმცირესი დანახარჯებით, მაღალხარისხოვნად, სწრაფად და კარგად“¹.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა².

დღეს უკვე სადავო აღარა არის, რომ სამართლის თითქმის ყველა დარგი მონაწილეობს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა ეკონომისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგებისა და სხვების გვერდით სამართალმცოდნეებსაც მოუწოდა შეიმუშაონ „წარმოების ამაღლების საიმედო გზები“³.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა შრომის სამართალი. ეს გასაგებია, რადგან შრომის სამართლის რეგულირების საგანია მუშებისა და მოსამსახურეების შრომითი ურთიერთობა, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც შრომის გამო და მის პროცესში წარმოიშობა, აგრეთვე სხვა ისეთი ურთიერთობანი, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომითს ურთიერთობებთან, მაგალითად, საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციის ურთიერთობა პროფკავშირულ ორგანოებთან შრომის პირობების, კოლექტიური ხელშეკრულებების დადების, შრომის დაცვის და ა. შ. გამო.

შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება საბჭოთა შრომის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი ამოცანები. შრომის სამართალი ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებების დაცვას და ა. შ.

ამ ამოცანების განხორციელების მიზნით საბჭოთა შრომის სამართალი განსაზღვრავს შრომით ურთიერთობათა წარმოშობისა და შეწყვეტის წესს, შრომის სავალდებულო ზომას, კერძოდ, სამუშაო დროისა და დასვენების დრო-

1 იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წ. 1 თებერვალი.
2 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1983 წლის 14-15 ივნისი, თბ., 1983, გვ. 11.
3 იქვე, გვ. 82.
4 „საბჭოთა სამართალი“, № 5

ის ხანგრძლივობას, შრომის ანაზღაურების ზომას, კეთილსინდისიერი შრომისათვის წახალისების ღონისძიებებს, შრომის დისციპლინის განმტკიცების შედეგად, შრომის დაცვის წესებს, შრომითი დაეების განხილვის წესებს და სხვ.

საუურნალო სტატიაში შეუძლებელია განვიხილოთ ყველა ეს საკითხი. ამიტომ შევეცდებით მოკლედ გავაშუქოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

2. შრომის ხელშეკრულება, როგორც მოქალაქეთა შრომაში ჩაბმის ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა. შრომის უფლება კონსტიტუციური უფლებაა, იგი განმტკიცებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 38-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად, „საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება — ანუ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი ანაზღაურებით, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, — მათ შორის უფლება — აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობის მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით“.

მოქალაქეთა შრომის უფლების განხორციელების ერთ-ერთი გავრცელებული სამართლებრივი ფორმაა შრომის ხელშეკრულება. ეს გახლავთ შეთანხმება მშრომელსა და საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას შორის, რომლითაც, ერთი მხრივ, მშრომელი ვალდებულია კისრულობს შეასრულოს სამუშაო გარკვეული სპეციალობის, კვალიფიკაციის თუ თანამდებობის მიხედვით, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს, ხოლო საწარმოო, დაწესებულება თუ ორგანიზაცია, თავის მხრივ ვალდებულია კისრულობს გადაუხადოს მშრომელს ხელფასი და უზრუნველყოს შრომის ის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებით და მხარეთა შეთანხმებით.

როგორც ვხედავთ, შრომის ხელშეკრულება, ისევე როგორც ყოველგვარი ხელშეკრულება საერთოდ, ითვალისწინებს მხარეთა ურთიერთუფლებებსა და მოვალეობებს. ამ უფლებათა განხორციელება და მოვალეობათა შესრულება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ საწარმოს ადმინისტრაცია არ ქმნის შრომის შესაბამის პირობებს, ვერც მუშა და მოსამსახურე შეასრულებს სათანადოდ მისთვის დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის იშვიათი შემთხვევა, როდესაც საწარმოს თუ დაწესებულების ხელმძღვანელები ვერ ქმნიან კანონით გათვალისწინებულ შრომის პირობებს, რაც არაერთგზის აღინიშნა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებებზე.

პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისეთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც არ არის შექმნილი შრომის სათანადო პირობები, ყოველთვის დიდია კადრების დენადობა, შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ყოველივე ეს კი, საბოლოო ანგარიშით უარყოფითს გავლენას ახდენს როგორც პროდუქციის ხარისხზე, ისე საგვემო დავალებათა შესრულებაზე საერთოდ.

ამ ბოლო დროს, როგორც სკავშირო, ისე რესპუბლიკური მტრის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება მუშებთა და მოსამსახურეების წერილები, რომლებშიც წამოყენებულია მოთხოვნები, რათა უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული სანქციები იმათ მიმართ, ვინც არ ასრულებს ან არასათანადოდ ას-



რულებს თავის მოვალეობას. ანალოგიური წერილები იგზავნება პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. კერძოდ, 1982 წლის დეკემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ თავის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილა საკითხი მშრომელთა წერილების შესახებ, რომლებიც მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა. ამ წერილებში წამოჭრილი იყო წინადადებანი და შენიშვნები ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა პრობლემებზე და მათ შორის ისეთი წინადადებანიც, რომლებიც ეხებოდა შრომის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის, შრომისა და საწარმოს დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობას, სამართალდამრღვევთა მიმართ იურიდიული და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებას¹.

შრომის სათანადო პირობების შექმნა და საერთოდ, შრომის ორგანიზაციის, მისი შემდგომი სრულყოფის პრობლემა უმთავრესად ეკონომიკური პრობლემაა. ამავე დროს, შრომის სათანადო პირობების შექმნის მოვალეობა, რომელიც შრომის სამართლებრივი ურთიერთობის სრულიად გარკვეულ მონაწილეს ეკისრება, იურიდიული მოვალეობაა, რადგან იგი სამართლით, კერძოდ, შრომის კანონმდებლობით არის განმტკიცებული.

ამიტომ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: ვის ეკისრება შრომისათვის სათანადო პირობების შექმნის მოვალეობა?

საბჭოთა შრომის კანონმდებლობით ასეთა მოვალეობა ეკისრება საწარმოს, დაწესებულებებს, ორგანიზაციის ადმინისტრაციას. შრომის სათანადო პირობების შექმნაში კანონი აკისრებს ადმინისტრაციას შემდეგ ძირითად მოვალეობებს; სწორედ მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა შრომა, შექმნას შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობები, უზრუნველყოს შრომისა და საწარმოს დისციპლინა, განუხრელად დაიცვას შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები, ყურადღებით მოეკიდოს მუშაკთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, გააუმჯობესოს მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

ამ მოვალეობის შესრულების მიზნით ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ღონისძიებანი. კერძოდ, მან ისე უნდა მოაწყოს მუშებისა და მოსამსახურეების შრომა, რომ თითოეული მათგანი მუშაობდეს თავისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით, ჰქონდეს მისთვის მიჩნეული გარკვეული ადგილი, დაზგა, მანქანა და ა. შ. ადმინისტრაციის ეს მოვალეობა პირდაპირ არის გათვალისწინებული ტიპობრივი შრომითი შინაგანაწესის მე-12 პუნქტით. სამუშაო ადგილის სწორად მოწყობაზე ბევრად არის დამოკიდებული სამუშაო ძალისა და ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ტიპობრივი შრომითი შინაგანაწესის მიხედვით, ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს აგრეთვე „ნედლეულის, მასალებისა და სხვა რესურსების მარაგი, რაც საჭიროა შეუფერხებელი და რიტმული მუშაობისათვის“. როგორც საკავშირო, ისე ჩვენი რესპუბლიკის პრესაში საკმაოდ ფართოდ შექმნილი იყვნენ შემთხვევები, როცა კადრების დენადობის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, უდისციპლინობის და საერთოდ საწარმოს ჩამორჩენის მთავარი მიზეზი სწორედ ის არის, რომ ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო საწარმო სა-

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1982 წლის 11 დეკემბერი.

ჭირო ოდენობის ნედლეულით, ვერ მოახდინა მატერიალური რესურსების მობილიზაცია, ნელი ტემპით ინერგება ახალი ტექნიკა და ა. შ.

შრომის სათანადო პირობების შექმნა გულისხმობს აგრეთვე ტექნიკის უახლესი მიღწევების, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას.

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოებაში დანერგვის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი არაერთგზის იყო როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ისე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების განხილვის საგანი. მიუხედავად ამისა, მეცნიერულ მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის დონე და მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს. თავის მოხსენებაში ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1983 წლის 6 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ახ. ე. შევარდნაძემ აღნიშნა: „ჩვენ მთლად კმაყოფილი არ ვართ იმით, თუ როგორ მტკიცდება სამეცნიერო დაწესებულებებთან თქვენი ქარხნის კავშირი. მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებანი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ სრულდება. არა გვაქვს გაბედული წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან პარტნიორობის ურთიერთსარგებლიანი ფორმების განვითარებას მალაღებეჭტიანი ნამუშევრების ავტორთა და წარმოებაში მათი დანერგვის მონაწილეთა მატერიალურ სტიმულირებას“⁵.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მოვალეობა — სრულყოფილი შრომის ორგანიზაცია, შექმნას შრომის სათანადო პირობები — იურიდიული ხასიათის მოვალეობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უნდა დაეკისროს დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა — იმის მიხედვით, თუ რით გამოვლინდა კონკრეტულად მოვალეობის შეუსრულებლობა და რა შედეგები მოჰყვა მას.

იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობა სხვა არა არის რა, თუ არა სამართალდარღვევა. პირი (თანამდებობის პირი, თუ მოქალაქე), რომელიც არ ასრულებს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მოვალეობას, — არღვევს ამ სამართლის ნორმას. იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობას კი ყოველთვის უკავშირდება არახელსაყრელი შედეგები იმ პირისათვის, რომელმაც ასეთი მოვალეობა არ შეასრულა. თუ როგორია კონკრეტულად პასუხისმგებლობის ღონისძიება, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ იმ პირის მიმართ, რომელმაც არ შეასრულა მოვალეობა, ეს გათვალისწინებულია აგრეთვე სამართლებრივი ნორმით.

იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამოუყენებლობა აცლის ამ მოვალეობას იურიდიულ შინაარსს, გარდაქმნის მას მხოლოდ ზნეობრივ მოვალეობად. სამართლებრივი ნორმის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის იურიდიული

5 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1983 წლის 9 აგვისტო.

ხერხები და საშუალებები კარგავს ყოველგვარ დანიშნულებას, რადგან ვეღარ გვაძლევს სასურველ ეფექტს.

ამიტომ ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს მშრომელთა წერილებში წამოყენებული და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს მიერ მოწონებული წინადადებანი, რათა უფრო აქტიურად გამოვიყენოთ იურიდიული ღონისძიებანი იმათ მიმართ, ვინც არ ასრულებს კანონით გათვალისწინებულ მოვალეობას, არღვევს შრომის მოთხოვნებს⁶.

3. როგორც აღვნიშნეთ, შრომის ხელშეკრულებით მშრომელი ვალდებულია კისრულობს, შეასრულოს სამუშაო გარკვეული სპეციალობის, კვალიფიკაციის თუ თანამდებობის მიხედვით და „დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს“.

ამრიგად, მშრომელი არა მარტო ვალდებულია შეასრულოს გარკვეული სამუშაო, არამედ შეასრულოს ეს სამუშაო ამ საწარმოში, დაწესებულებაში თუ ორგანიზაციაში არსებული შრომის შინაგანაწესის დაცვით. სწორედ ეს არის შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი სპეციფიკა, რომელიც განასხვავებს მას სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან.

მართლაც, შრომის საზოგადოებრივი ხასიათი მოითხოვს, რომ ცალკეული მუშისა და მოსამსახურის ქცევა შეთანხმებული იყოს მთელი კოლექტივის ქცევასთან. ამიტომ შრომის დისციპლინა ყოველგვარი კოლექტიური შრომის აუცილებელი პირობაა. წესრიგისა და დისციპლინის დაუცველად შეუძლებელია ცოტად თუ ბევრად სერიოზული ამოცანის გადაწყვეტა და მით უმეტეს ისეთი ამოცანებისა, რომლებიც დასახულია პარტიისა და მთავრობის მიერ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში.

ამიტომ სავსებით გასაგებია, ის ფართო სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების მიზნით. „საკუროა, — აღნიშნა ი. ვ. ანდროპოვმა მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრის დროს, — რომ ჩვენი წარმოების ყველა რგოლს დაეტყოს დისციპლინის განმტკიცების ეფექტი. ჩვენ გგპირდება შეგნებელი, მუშური დისციპლინა, ისეთი, რომელიც წარმოებას დააწინაურებს. ჩვენ დისციპლინისათვის ბრძოლა მეტი შინაარსით უნდა შევავსოთ, უშუალოდ საწარმოო დავალებების შესრულებას დავეუკავშიროთ... მაშინ შესრულდება ის, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დასახა“⁷.

საყოველთაოდ არის ცნობილი აგრეთვე ის დიდი ზრუნვა, რომელსაც იჩენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენს რესპუბლიკაში დისციპლინისა და ორგანიზებულობის შემდგომი განმტკიცებისათვის. სწორედ ამის წყალობით არის მიღწეული სრულიად გარკვეული დადებითი და თვალსაჩინო შედეგები. მიუხედავად ამისა, დისციპლინის დონე ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ამიტომ ბრძოლა უდისციპლინობისა და უბასუხისმგებლობის გამოვლინებათა წინააღმდეგ, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე ჩვენს რესპუბლიკაში, გრძელდება.

შრომის დისციპლინა მრავალასპექტიანი პრობლემაა. ამ პრობლემით და-

⁶ გაზ. „კომუნისტი“, 1982 წლის 11 დეკემბერი.

⁷ იბ. გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წლის 1 თებერვალი.

ინტერესებული არიან არა მარტო იურისტები, არამედ ეკონომისტები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები. შესაბამისად გამოყოფენ შრომის დისციპლინის განმტკიცების ეკონომიკურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ ასპექტებს.

შრომის დისციპლინის განმტკიცების სამართლებრივი ფორმები და მეთოდები განმტკიცებულია შრომის სამართლის კანონმდებლობით. კერძოდ, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, „საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინას უზრუნველყოფს შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, დარწმუნების მეთოდი, აგრეთვე წახალისება კეთილსინდისიერი შრომისათვის. ცალკეული არკეთილსინდისიერი მუშაკის მიმართ საჭირო შემთხვევაში იყენებენ დისციპლინურ და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს“.

ამრიგად, შრომის დისციპლინის უზრუნველყოფის კანონით გათვალისწინებული მეთოდებია დარწმუნების მეთოდი, წახალისება კეთილსინდისიერი შრომისათვის და იძულების მეთოდი.

დარწმუნების მეთოდი, რომელიც შრომის დისციპლინის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, ვლინდება იდეოლოგიურ ზემოქმედებაში, მაღალი პოლიტიკური შეგნებულობისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანებისათვის საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემის ჩანერგვას. სამართლებრივი კულტურა საზოგადოების სულიერი კულტურების შემადგენელი ელემენტია. მხოლოდ ნამდვილი იურიდიული კულტურის ატმოსფერო ქმნის როგორც საკუთრივ სამართლის, ისე სხვა სოციალური ნორმებით განსაზღვრული მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულების პირობას. ამასთან ერთად, სამართლებრივი აღზრდა არა მარტო ამაღლებს მშრომელთა სამართლებრივ კულტურას, არამედ ხელს უწყობს სხვა ისეთი მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დასახა ჩვენმა პარტიამ. საქმე ის არის, რომ სამართლებრივ ნორმებში თავის გამოხატულებას პოულობს პოლიტიკური, ეთიკური და სხვა იდეები და პრინციპები. ამიტომ ცხადია, რომ ამ იდეებისა და პრინციპების სამართლებრივი განმტკიცება სერიოზულ იდეოლოგიურ, მორალურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობითს ზემოქმედებას ახდენს. ყოველივე ეს კი საბჭოთა სამართლებრივი ნორმების ნებაყოფლობითი, შეგნებული შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

შრომის დისციპლინის განმტკიცების სამართლით განმტკიცებული მეთოდია აგრეთვე წახალისება კეთილსინდისიერი შრომისათვის. სამართლებრივი ნორმებით, ჯერ ერთი, განსაზღვრულია წახალისების სახეობანი, მაგალითად, პრემიის მიცემა, მაღლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება და ა. შ. ამავე ნორმებით განსაზღვრულია აგრეთვე წახალისების გამოყენების წესები, მაგალითად, პრემიის მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება ადმინისტრაციას შეუძლია პროფკავშირის საფაბრიკო, საქარბნო ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით. ასეთივე წესებია შემუშავებული სხვა სახეობათა წახალისების ღონისძიებათა გამოყენებისას. კანონმდებლობა შეიცავს აგრეთვე ერთ მეტად მნიშვნელოვან წესს: წახალისების ღონისძიებათა გამოყენებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს შრომის მატერიალური და მორალური სტი-

მულირების ურთიერთშეხამება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავს მორალური და მატერიალური სტიმულირების ზოგად წესს. კერძოდ, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ შრომით მოვალეობებს, პირველ რიგში ეძლევათ უპირატესობანი და შეღავათები სოციალურ-კულტურული და საბინაო მომსახურების დარგში (სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, საბინაო პირობების გაუმჯობესება და სხვა). ასეთ მუშაკებს ეძლევათ აგრეთვე უპირატესობა სამუშაოზე დაწინაურების დროს (საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 133-ე მუხლი).

წახალისების ღონისძიებას მხოლოდ მაშინ შეუძლია მოგვეცეს სასურველი ეკონომიკური თუ სოციალურ-სამართლებრივი ეფექტი, როცა ამ ღონისძიებებს კანონით დადგენილი წესით იყენებენ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი წახალისების მცდარი გამოყენების პრაქტიკა, რაზეც არაერთგზის იყო მითითებული პარტიისა და მთავრობის დადგენილებებში, კერძოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის სექტემბრის დადგენილებაში „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის, მისი შედეგების შეჯამებისა და გამარჯვებულთა წახალისების პრაქტიკის სრულყოფის შესახებ“⁸.

კანონით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა წახალისების ღონისძიებათა სწორ გამოყენებაში. მთავარია მხოლოდ ის, რომ მართლა დავაკისროთ პასუხისმგებლობა იმათ, ვინც არღვევს კანონის მოთხოვნებს და სწორად არ იყენებს წახალისების ღონისძიებებს.

დარწმუნებისა და წახალისების მეთოდი წარმოადგენს დისციპლინის უზრუნველყოფის ძირითად მეთოდს. მართლაც, მუშებისა და მოსამსახურეების უმრავლესობა მუშაობს პატიოსნად და კეთილსინდისიერად, მაგრამ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული მუშები და მოსამსახურეები არღვევენ შრომის დისციპლინას, დეზორგანიზაცია შეაქვთ წარმოებაში. ასეთი არაკეთილსინდისიერი მუშებისა და მოსამსახურეების მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ იძულების მეთოდი.

იძულების მეთოდი შრომით ურთიერთობებში გამოიხატება დისციპლინური სასჯელის დადებით, მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებით და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებათა განხორციელებით.

შრომის სამართლის ნორმები ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრავს როგორც იძულებითი მეთოდის სახეობებს, ისე მისი გამოყენების პირობებს. იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს მხოლოდ მაშინ შეუძლია შრომის დისციპლინის განმტკიცება, თუ მათ კანონის შესაბამისად იყენებენ. ამ თვალსაზრისით გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, იმას, რომ დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და, მეორეც, დისციპლინური სასჯელის დადებისას ზუსტად იქნეს გათვალისწინებული დარღვევის სიმძიმე, მისი ჩადენის მიზეზები და დისციპლინის დარღვევის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა.

მეტად საინტერესოა ამ მხრივ გაზეთ „პრავედაში“ გამოქვეყნებული წერილი იმის შესახებ, თუ რა უარყოფითს გავლენას ახდენს სხვებზე და განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებზე დისციპლინის დარღვე-

8 იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წლის 1 ოქტომბერი.

ვის ფაქტის ურეაგირებოდ დატოვება. თუ ახალგაზრდა მუშა ხედავს, რომ წუნისმკეთებელი არ დასაჯეს, სამუშაოს გამცდენს აპატიეს, მისგან ნულარელი რაიმე მონდომებას¹.

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის შესაფერისი სასჯელის გამოუყენებლობას თავისი უარყოფითი შედეგებით არაფრით არ ჩამოუყარდება ასეთი სასჯელის უსწორო გამოყენება. ამასთან ერთად დისციპლინის დარღვევისათვის სასჯელის უსწორო გამოყენება არათუ არ უზრუნველყოფს დისციპლინის განმტკიცებას, არამედ აყალიბებს კანონისადმი და მისი შემფარდებლისადმი უპატივცემლობას, წარმოშობს შრომითს დავებს, ქმნის დაძაბულობას. რაღა თქმა უნდა, სრულიად შეუწყნარებელია დისციპლინის დარღვევისათვის ისეთი სანქციების გამოყენება, რომლებიც გათვალისწინებული არ არის კანონით. ასეთი სანქციები (რასაც ზოგჯერ ვაწყდებით პრაქტიკაში) წარმოადგენს კანონიერების პრინციპის დარღვევას, თვითნებობას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

ამრიგად, შრომის დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს ურეაგირებოდ და, ამავე დროს, დისციპლინური სასჯელები სწორად უნდა იქნეს გამოყენებული.

ასეთია შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის დისციპლინური სასჯელების გამოყენების ეფექტიანობის აუცილებელი და სავალდებულო პირობა.

4. დიდ როლს ასრულებს შრომის სამართალი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და წარმართვის საქმეში. ორგანიზებულობა და წესრიგი სოციალისტურ შეჯიბრებაში შეაქვს კომუნისტური მორალის ნორმებსა და პრინციპებს. მაგრამ, ამასთან ერთად, სამართალი არ შეიძლება გულგრილი დარჩენილიყო სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოძრაობისადმი. სამართლებრივი ნორმებით, კერძოდ კი შრომის სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულია ისეთი კონკრეტული ღონისძიებანი რომელთა განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური შეჯიბრების სწორ ორგანიზაციას, მისი მონაწილეების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

საბჭოთა შრომის სამართლის ცალკეული ნორმების ანალიზი საფუძველს გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და მისი სათანადო წარმართვის მიზნით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, როგორც სოციალისტური საწარმოს მართვის ორგანოს, ევალება: 1. ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მასების შემოქმედებითს ინიციატივას; 2. მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ ვალდებულებათა შემუშავებაში, შეჯიბრების პირობების ზუსტად ჩამოყალიბებაში; 3. განხორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი შეჯიბრების მონაწილეთათვის შრომის სათანადო პირობების შესაქმნელად; 4. მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრების შედეგების შეჯამებაში და წაახალისოს გამარჯვებულები; 5. უზრუნველყოს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელება.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ეს მოვალეობები იურიდიული ხასიათის მოვალეობებია. რომელთა შეუსრულებლობისათ-

¹ იხ. გაზეთი „პრავდა“, 1983 წლის 3 ოქტომბერი.

ვის ადმინისტრაციის შესაბამის წარმომადგენელს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური თუ ადმინისტრაციული სასჯელი.

როგორც ვხედავთ, სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება დამოკიდებულია არა მარტო იმათზე, ვისი უშუალო შრომითაც უნდა განაღდდეს ვალდებულებები, არამედ იმაზეც, თუ როგორ ასრულებს ადმინისტრაცია თავის მოვალეობებს. ამიტომ თუ შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას აღმოჩნდება, რომ წარუმატებლობა გამოწვეული იყო ადმინისტრაციის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობით (მაგალითად, სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეები არ იყვნენ უზრუნველყოფილი საჭირო ნედლეულით, რაც აუცილებელია მათი შეუფერხებელი და რიტმული მუშაობისათვის და სხვა), ეს აუცილებლად უნდა გახდეს ზემდგომი ორგანოს მსჯელობის საგანი.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ ზემოთ ჩამოთვლილ მოვალეობათა სათანადო შესრულებას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ამჟამად, როცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1983 წლის სექტემბერში მიიღო სპეციალური დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის, მისი შედეგების შეჯამებისა და გამარჯვებულთა წახალისების პრაქტიკის სრულყოფის შესახებ“¹⁰.

ამ დადგენილებით პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ევალებათ „გააუმჯობესონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, აამაღლონ მისი ქმედითობა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სასურსათო და ენერგეტიკული პროგრამების განხორციელებისათვის ბრძოლაში“.

ეს დადგენილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე შეჯიბრების შედეგების სწორ შეჯამებას, გამარჯვებულთა ზუსტ და შეუცდომელ განსაზღვრას და წახალისების ღონისძიებათა შეხამებულ გამოყენებას.

მართლაც, მორალური და მატერიალური სტიმულები გათვალისწინებულია შრომაში გარკვეული წარმატებისათვის, იმათთვის, ვინც იმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამიტომ ისეთი მუშაკის წახალისება, რომელიც ამას არ იმსახურებს — გამოიწვევს პირუკუ ეფექტს: შეასუსტებს მშრომელთა შემოქმედებით ინიციატივას, შელახავს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ავტორიტეტს.

5. შრომის სამართალს შეუძლია ხელი შეუწყოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას მხოლოდ ერთი პირობით, თუ განუხრელად განხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მოთხოვნები. რაგინდ დასაბუთებელი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების სრული გათვალისწინებითაც უნდა იყოს შემუშავებული სამართლებრივი ნორმა, ის ვერ მოგვცემს სასურველ ეფექტს, თუ არ ხორციელდება. სამართლებრივი ნორმის, მათ შორის შრომის სამართლებრივი ნორმის განუხრელი შესრულება ამ ნორმის ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ნორმის ეფექტიანობაზე ვილაპარაკოთ, თუ იგი არ ხორციელდება.

¹⁰ იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წლის 1 ოქტომბერი.

პრესა, რადიო, ტელევიზია სისტემატურად აქვეყნებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ იქ, სადაც საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაცია სათანადოდ ასრულებს თავის მოვალეობებს, გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მხრივაც, როგორც წესი, ყველაფერი რიგზეა. მაგრამ იქ, სადაც ადმინისტრაცია სათანადოდ არ ასრულებს თავის შრომით მოვალეობებს, საგეგმო დავალებათა შესრულებას, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალისტურ ვალდებულებებზე, როგორც წესი, საფრთხე ექმნება.

ამიტომ, ამყამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის არა მარტო შრომითი მოვალეობების დადგენას, არამედ ამ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის ზუსტად და ნათლად განსაზღვრას, სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა თანამდებობის პირთა იურიდიული პასუხისმგებლობის სრულყოფა. საქმე ის არის, რომ შრომის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციის მოვალეობებს შრომით ურთიერთობებში, მაგრამ არ შეიცავს კონკრეტულ სანქციებს ამ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს სამართლებრივი ნორმის ეფექტიანობას, რადგან მისი განხორციელება არ არის უზრუნველყოფილი ისეთი წმინდა იურიდიული ხასიათის საშუალებით, როგორც არის სანქცია. სწორედ კონკრეტული სანქციების უქონლობით ხსნიან სამეურნეო ურთიერთობებში არსებულ ბევრ დარღვევას თანამდებობის პირთა მხრივ¹¹.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საჭიროა არა მარტო შრომის სამართლის ნორმების მოთხოვნათა რეალიზაციის პრაქტიკის სრულყოფა, არამედ აგრეთვე თანამდებობის პირთა იურიდიულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის კონკრეტული სანქციების გათვალისწინება. ამიტომ უდავოდ გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ შემუშავდეს ახალი კანონმდებლობა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ¹².

საბჭოთა კანონმდებლობა სავსებით გასაგები მიზეზით, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს საწარმოს ადმინისტრაციას, იმათ, ვინც მოწოდებულია უხელმძღვანელოს სხვა ადამიანების საქმიანობას. ამიტომ, ცვლილებანი კანონმდებლობაში უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს, რომლის თანახმად, თანამდებობის პირთა მხრივ ნორმის მოთხოვნებიდან არც ერთი გადახვევა არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირებისა და სასჯელის შესაბამისი ღონისძიების განხორციელების გარეშე.

¹¹ См. «Государство. Право. Экономика», М., 1970, с. 65.

¹² С. А. Иванов, Р. З. Ливших. Личность в советском трудовом праве, М., 1982, с. 217.



სსრ კავშირის კონსტიტუციის პრეამბულა

კრთ. ზ. ენათმეც.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი.

„პრეამბულა“ (preamble) ფრანგული სიტყვაა და მნიშვნელოვან საკანონმდებლო ან სხვა სამართლებრივი აქტის შესავალ ნაწილს ნიშნავს.

პრეამბულა შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო ხელშეკრულებას, დეკლარაციას და ა. შ. მასში უმთავრესად გადმოცემულია დოკუმენტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დებულებანი, მიზანი და ამოცანები, აგრეთვე ის, თუ რამ გამოიწვია ამ დოკუმენტის მიღება, რა დაედო მას საფუძვლად.

საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით პრეამბულა სამართლებრივი აქტის განუყოფელი ნაწილია. საბჭოთა კანონი არა მარტო სამართლებრივი აქტია, რომელიც მთელი ხალხის ნება-სურვილს გამოხატავს, არამედ არის აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტიც, რომელიც აღმზრდელობითს ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობაზე.

პარტიას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე იურიდიული აქტები — დეკრეტები მიაჩნდა მასებში პროპაგანდის მძლავრ საშუალებად. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...დეკრეტები პროპაგანდის ფორმას წარმოადგენდა“¹.

ხშირად ასეთი პროპაგანდისტული მოწოდებანი, ამოცანები, დირექტივები აისახება სამართლებრივი მნიშვნელობის აქტების, კანონების პრეამბულაშიც.

თუმცა პრეამბულა იურიდიული აქტის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მასში მოცემული დებულებანი სამართლებრივ ნორმებს არ წარმოადგენენ. ამიტომ არ არის აუცილებელი ისინი უპასუხებდნენ საკანონმდებლო ფორმისა და ტექნიკის მოთხოვნებს. პრეამბულა მუხლებად არ არის ჩამოყალიბებული, მეცნიერულ-თეორიული ხასიათისაა და ლიტერატურული თხრობით გადმოსცემს წარსულსა და აწმყოს, განსაზღვრავს მომავალ ამოცანებსაც.

ასეთი პრეამბულა აქვს სსრ კავშირის, აგრეთვე მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციებს. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მოქმედ კონსტიტუციებს შედარებით მცირე მოცულობის პრეამბულა აქვს.

მოკლე პრეამბულა ჰქონდა რსფსრ პირველ (1918 წ. 10 ივლისის), აგრეთვე სსრ კავშირის პირველ (1924 წ. 31 იანვრის) კონსტიტუციებსაც.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 356.

რსფსრ პირველი კონსტიტუციის პრეამბულაში ცალკეა ნახსენები „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“ და ცალკე „სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობის მიერ დამტკიცებული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია“, ხოლო ბოლოს აღნიშნულია, რომ ორივე ეს დოკუმენტი „...ერთად შეადგენს რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ერთიან ძირითად კანონს“, ანუ რსფსრ კონსტიტუციას.

ამავე კონსტიტუციის პრეამბულაში მაშინდელი განათლების სახალხო კომისარიატისადმი გათვალისწინებულია სპეციალური დავალებაც, რომ „სრულიად რუსეთის საბჭოთა V ყრილობა ანდობს განათლების სახალხო კომისარიატს შემოიღოს რუსეთის რესპუბლიკის ყველა სკოლაში და სასწავლო დაწესებულებაში კონსტიტუციის ძირითადი დებულებებისა და მისი ახსნა-განმარტების სწავლება“.

ეს დებულება კონსტიტუციური მნიშვნელობისა იყო და მისი დარღვევა განათლების სახალხო კომისარიატს არ შეეძლო. აქ მოცემული არ არის ამ ნორმის არც ჰიპოთეზა და არც სანქცია, მაგრამ მის დისპოზიციურ ნაწილს უდავოდ სავალდებულო ძალა ჰქონდა.

ამრიგად, უდავოა, რომ პრეამბულა რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციისა მისი შემადგენელი ნაწილი იყო.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრილობის მიერ ქ. მოსკოვში 1922 წლის 30 დეკემბერს მიღებული დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ „...არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია)“.

პრეამბულა არ ჰქონდა საბჭოთა საქართველოს არც ერთ წინა (1922 წლის 2 მარტის, 1927 წ. 4 აპრილის და 1937 წ. 13 თებერვლის) კონსტიტუციას. პრეამბულა აქვს საზღვარგარეთის უმრავლეს სოციალისტური რესპუბლიკის (უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის და ა. შ.) კონსტიტუციებს.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის პრეამბულას.

სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის პრეამბულაში გადმოცემულია ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების ძირითადი მიმართულებანი, უმთავრესი პრინციპები და იდეები, რომლებსაც ემყარება საბჭოთა კონსტიტუცია. პრეამბულა, როგორც კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული ელემენტი, თითქოს განაპირობებს ტექსტის თანამიმდევრულობას, დანარჩენ სტრუქტურულ ელემენტებს აკავშირებს ერთმანეთთან.

სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის პრეამბულა სამ გვერდზე ცოტა მეტია. მასში დახასიათებულია საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპები და ნიშნები, წარსული, აწმყო და მომავალი.

პრეამბულა განსაზღვრავს საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფოს, სსრ კავშირის შექმნის მნიშვნელობას, ეროვნებათა თანასწორ-უფლებიანობას. შემდეგ გადმოცემულია სამამულო ომში გამარჯვების შედეგები და მისი მნიშვნელობა, პროლეტარიატის დიქტატურის საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესი, პარტიის ხელმძღვანელი როლი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირში, ნათქვამია პრეამბულაში, შეიქმნა „...ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი“; ამის შემდეგ ლაპარაკია პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის შესახებ, რომ „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კანონზომიერი ეტაპია კომუნისმისაკენ მიმავალ გზაზე“; აქვე მითითებულია საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანი — „ააშენოს უკლასო კომუნისტური საზოგადოება, რომელშიც განვითარდება საზოგადოებრივი კომუნისტური თვითმმართველობა“, მოცემულია საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მთავარი ამოცანები: შექმნას კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრულყოს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი და გარდაქმნას ისინი კომუნისტურ ურთიერთობებად, აღზარდოს კომუნისტური საზოგადოების ადამიანი, აამაღლოს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, უზრუნველყოს ქვეყნის უშიშროება, ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

მრავალჯერ არის ოფიციალურად ნათქვამი, რომ ახალ კონსტიტუციას ახასიათებს მემკვიდრეობითობა. ეს მითითებულია პრეამბულაშიც. საბჭოთა ხალხი, ნათქვამია აქ, იცავს 1918 წლის პირველ საბჭოთა კონსტიტუციის, 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციისა და 1936 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას.

პრეამბულა მთავრდება იმ დეკლარაციული დებულებით, რომ საბჭოთა ხალხი „ამკვიდრებს სსრ კავშირის საზოგადოებრივი წეს-წყობილების და პოლიტიკის საფუძვლებს, ადგენს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპებსა და მიზნებს და აცხადებს მათ ამ კონსტიტუციით“.

ამრიგად, რაც კონსტიტუციის პრეამბულით უკვე თეორიულად მიზანშეწონილად არის აღიარებული, ის კონსტიტუციის მუხლებშია გამოხატული: საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად მიმართულებათა სახით (მუხ. 9), პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ (მუხ. 6), მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ და ა. შ.

დებულებანი პრეამბულაში კანონის ფორმით არ არის ჩამოყალიბებული, ამიტომ საეჭვოა ამ დებულებათა სამართლებრივ ნორმებად მიჩნევა. მაგრამ ამ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიხედვით სსრ კავშირის კონსტიტუციის პრეამბულის, როგორც ნორმატიული ხასიათის შედგენილობის, ხელაღებით სრული უარყოფაც არ არის მიჩნეული სწორად.

მაგალითად, ვ. ფ. კოტოვი, ი. ე. ფარბერი, ვ. ა. რევესკი მიიჩნევენ, რომ პრეამბულა, როგორც კონსტიტუციის შემადგენელი დეტალი, მიუკუთვნება სამართლებრივ ნორმებს. ა. ფ. შებანოვი და სხვები კი ამ შეხედულების წინააღმდეგი არიან². მიაჩნიათ, რომ პრეამბულა თვით არ წარმოადგენს კონსტიტუციის ნორმატიული ხასიათის ნაწილს, მაგრამ მას აქვს ის იურიდიული მნიშვნელობა, რომ ხელს უწყობს კონსტიტუციურ ნორმათა ახსნა-განმარტებას, ერთნაირად გაგებასა და მათ შესრულებას. არ შეიძლება სამართლებრივ ნორმად მიჩნეულ იქნეს პრეამბულის ის ნაწილები, რომლებიც ისტორიული და ფაქტობრივი ხასიათისაა, წარსულს ეხება ან დეკლარაციულია, ე. ი. ლაპარაკია

² В. С. Основин, А. П. Глебов, Преамбула Конституции СССР (природа и особенность), Журн. «Правоведение», 1980 г., № 2, стр. 23, 24.

პრეამბულის იმ ნაწილზე, რომლის მიზანიც არ არის განსაზღვრულ, კონკრეტულ ურთიერთობათა მოწესრიგება.

პრეამბულის ბოლო ნაწილი იმპერატიული ხასიათისაა. მასში მითითებულია, რომ ხალხი ამ კონსტიტუციით აცხადებს „სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპებსა და მიზნებს“. ხალხის ეს ნება კი დაამტკიცა და მას იურიდიული ძალა მისცა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესიამ.

ამავე სესიის 1977 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე კონსტიტუციის დამტკიცების წინ ითქვა, რომ „წინადადებაა ჯერ კენჭი ვუყაროთ პრეამბულას, შემდეგ ცალ-ცალკე თითოეულ კარს და დასასრულ მთლიანად კონსტიტუციის პროექტს“³.

ამ წინადადების მიხედვით, პრეამბულას კენჭი ეყარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატაში ცალ-ცალკე, რომელთაც იგი მიიღეს ერთხმად. რის შემდეგაც ორივე პალატის გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა: „ამრიგად, ამხანაგო დეპუტატებო, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პრეამბულა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო“⁴.

სახელმწიფოს ძირითადი კანონის ამ ნაწილს იურიდიული ძალა მიენიჭა ამის შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით დამტკიცდა კონსტიტუციის ცალკეული კარი, ბოლოს კი — მთელი კონსტიტუცია პრეამბულასთან ერთად.

³ სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესია, სტენოგრაფიული ანგარიში, 1977, გვ. 448.

⁴ იქვე, გვ. 449.

უდანაშაულობის პრეზუმფცია როგორც სისხლის სამართლის პროცესის კონსტიტუციური პრინციპი

პროფ. ა. ი. ფალიაშვილი

სსრ კავშირის კონსტიტუციის ერთ-ერთი სიახლეა ის, რომ მან აღიარა და ჩამოაყალიბა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი.

პრეზუმფცია არას ლათინური სიტყვა და ნიშნავს წინასწარ დადგენილ, განსაზღვრულ სამართლებრივ ვარაუდს, რომელიც ძალაშია და მოქმედებს, სანამ არ იქნება დადგენილი და დამტკიცებული მისი საწინააღმდეგო.¹

უდანაშაულობის პრეზუმფცია პირველად იყო აღიარებული და გამოცხადებული საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ 1789 წელს ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებათა დეკლარაციაში. (მუხლი მე-9). იგი აისახა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში (მუხლი მე-11), რომელიც მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს². შემდგომში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესიამ 1966 წლის 19 დეკემბერს მიიღო საერთაშორისო პაქტი მოქალაქეთა და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, რომლის მე-14 მუხლში ჩამოყალიბდა უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი: ყოველ ბრალდებულს, რომელსაც ერაცხება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ჩათვალოს თავი უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად².

სსრ კავშირის კონსტიტუციის 160-ე მუხლში პირველად ჩამოყალიბდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დებულება, რომლის ძალითაც „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად“.

ეს დებულება ეხება ყველა მოქალაქეს, არის ზოგადი, მაგრამ ამავე დროს შეიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის ძირითად ნიშნებს, პროცესუალური ვაგებით. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა არა ყველა მოქალაქე, არამედ ის პირი, რომელიც დაკავებულია დანაშაულის ჩადენაში ეჭვის გამო ან მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით. ამრი-

¹ იხ. Международное право в документах, М., 1982 г., с. 304.

² იქვე, გვ. 323.

გად, უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში ვიცე-
დება მხოლოდ ექვმიტანილზე, ბრალდებულზე (სამართალში მიცემულზე)³.

უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხი სისხლის სამართლის პროცესში
წარმოადგენდა სადისკუსიო საკითხს. ზოგი ავტორი დადებითად წყვეტდა ამ
საკითხს⁴, ზოგი უარყოფითად⁵, ხოლო ავტორთა ერთი ჯგუფი გვერდს უვლიდა
ამ საკითხის გადაწყვეტას⁶.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში უდანაშაულობის პრეზუმფცია
ნიშნავს იმას, რომ: ყოველი ექვმიტანილი, ბრალდებული (სამართალში მიცე-
მული) ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დადგე-
ნილი კანონით განსაზღვრული წესით და სასამართლოს კანონიერ ძალაში შე-
სული გამამტყუნებელი განაჩენით.

ის ფაქტი, რომ უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დაკავებულია
პირი, როგორც ექვმიტანილი, მიცემულია იგი სისხლის სამართლის პასუხის-
გებაში ბრალდებულის სახით, მიმდინარეობს მოკვლევა ან წინასწარი გამოძი-
ება, იმხილება ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში და დგება საბრალდებო
დასკვნა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მისი ბრა-
ლეულობის საკითხი დადგენილი და გადაწყვეტილია. ყოველივე ეს მხოლოდ
იმას მიუთითებს, რომ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებმა გა-
მოიტანეს წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ, რომელიც სავალ-
დებულო არ არის სასამართლოსათვის.

სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე წარმოებით
ან საერთოდ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, ე. ი. გააქარწყლოს გა-
მოძიების ორგანოების წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ. სა-
კითხი ბრალდებულის (სამართალში მიცემულის) ბრალეულობის შესახებ
წყდება, როგორც წესი, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. სასამარ-
თლო განაჩენში საბოლოო შეფასებას აძლევს დამამტკიცებელ საბუთებს,
ბრალდებულის ქმედობას და ყველა სხვა გარემოებებს, რაც ამხელს პირს და-
ნაშაულის ჩადენაში. სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის, თუ არ
იქნა გასაჩივრებული ან გაპროტესტებული ხუთი დღე-ღამის განმავლობაში,
წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გან-

³ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ გამოიხატება აგ-
რეთვე ტერმინითაც „არაბრალეულობის პრეზუმფცია“, იხ. ალ. შუშანაშვილი, სამართალწარ-
მოების აქტუალური პრობლემები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ეურნალი
„საბჭოთა სამართალი“, 1980, № 2, გვ. 34. ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში სახმარია
ტერმინები: „უდანაშაულობის პრეზუმფცია“, „უბრალეობის პრეზუმფცია“. იხ. იურიდიული
ტერმინოლოგია, თბილისი, 1963, გვ. 220

⁴ იხ. მაგალითად: Строгович М. С., Курс советского уголовного процесса
т. I, М., 1968, с. 349—353; Перлов И. Д., Подготовительная часть судебного
разбирательства в советском уголовном процессе, М., 1956, с. 38—40.

⁵ იხ. მაგალითად: Чельцов М. А., Задачи советской науки уголовно-процессу-
ального права в период развернутого строительства коммунизма. «Вопросы судо-
производства и судостройства в новом законодательстве Союза ССР», М., 1953,
с. 69—70; Мартынич Е. Г., Гарантии прав обвиняемого в суде первой инстан-
ции, Кишинев, 1975, с. 70—85.

⁶ იხ. მაგალითად: Учебник «Советский уголовный процесс» под редакцией Д. С.
Карева, М., 1975; Чельцов М. А., Советский уголовный процесс. М., 1962.



ხილვის შემდეგ. მაშასადამე, პირის ბრალეულობის შესახებ საბოლოო მსჯელობა შეიძლება მხოლოდ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

აქედან გამომდინარე, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს პრესაში არ უნდა გამოქვეყნდეს, რადიოთი და ტელევიზიით არ უნდა გადაიცეს, ის ფაქტები და გარემოებანი, რომლებმაც თავისი შეფასება უნდა პოვოს სასამართლოს განაჩენში, არ უნდა შეფასდეს საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებანი, გამოითქვას მოსაზრება ბრალდებულის მკაცრად დასჯის შესახებ, სანამ სასამართლოს მიერ არ არის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. ამას მოითხოვს მოქალაქეთა სახელის და რეპუტაციის ინტერესები, კონსტიტუციური პრინციპი — უდანაშაულობის პრეზუმფცია⁷.

უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ ბრალდებული მოვალე არ არის ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ეს დავალებული აქვთ საგამომძიებო და სასამართლო ორგანოებს. ბრალდებულს შეუძლია მისცეს ჩვენება, უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე ან მისცეს მცდარი ჩვენება, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს არის თავის დაცვის საშუალება. მომკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს უფლება არა აქვთ მტკიცების მოვალეობა (მტკიცების ტვირთი) ბრალდებულს დააკისრონ (საქართველოს სსრ სსსკ მე-18 მუხლი). მხოლოდ ეს პირები არიან მოვალენი ამხილონ ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენით გადაწყვიტოს პირის ბრალეულობის საკითხი.

უდანაშაულობის პრეზუმფცია იმასაც გულისხმობს, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს სავარაუდო მოსაზრებებს (საქართველოს სსრ სსსკ 310-ე მუხლი). ყოველი ვარაუდი ნიშნავს ობიექტურად დაუდგენელ გარემოებას, სხვანაირად რომ ვთქვათ, საეჭვო ხდება ამა თუ იმ ფაქტის არსებობა თუ არაარსებობა. ამიტომ ყოველგვარი ეჭვი და ვარაუდი წყდება ბრალდებულის (სამართალში მიცემულის) სასარგებლოდ. ამას არა ერთხელ გაუსვა ხაზი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის დადგენილებებში „სასამართლო განაჩენის შესახებ“ (პუნქტი 2)⁸, „სასამართლოს მიერ კანონთა გამოყენების პრაქტიკის შესახებ ბრალდებულის დაცვის უფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით“ (პუნქტი 2)⁹.

უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც საპროცესო პრინციპი, ფიქსირებულია აგრეთვე საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 6-ში (პუნქტი 2) აღნიშნულია: „არავის არ შეიძლება მოვექცეთ როგორც დამნაშავეს დანაშაულის ჩადენაში, სანამ მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ იქნება დამტკიცებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არსებობს, უნდა გადაწყდეს ბრალდებულისა და ეჭვმიტანილის სასარგებლოდ“¹⁰.

⁷ იხ. Ларин А. М., Презумпция невиновности, М., 1982, с. 43—44.

⁸ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1969, № 4, с. 10.

⁹ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1978, № 4, с. 9.

¹⁰ იხ. აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები: ბულგარეთის (მე-14 მუხლი), კუბის (მე-3 მუხლი), უნგრეთის (§ 3), ჩეხოსლოვაკიის (§ 2), პოლონეთის (მე-3 მუხლი), რუმინეთის (66-ე მუხლი), იუგოსლავიის (მე-3 მუხლი).

უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში, კერძოდ, შემდეგი საფუძვლებით: ხანდაზმულობით, ამნისტიით, ბრალდებულის გარდაცვალების შემთხვევაში, გარემოების შეცვლის გამო, დამნაშავის ამხანაგური სასამართლოსათვის, არასრულწლოვანთა კომისიისათვის, თავდებქვეშ გადაცემასთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა.

ყველა ამ შემთხვევაში მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს დგინდება ქმედობა, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე და საქმე წყდება წარმოებით.

იმისათვის, რომ საქმის წარმოებით შეწყვეტა ამ საფუძვლით არ ეწინააღმდეგებოდეს სისხლის სამართლის კონსტიტუციურ პრინციპს — უდანაშაულობის პრეზუმფციას, პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები: გაუქმების არასარეაბილიტაციო მოტივით სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს და გადაწყდეს ეს საკითხი სასამართლოს განაჩენით¹¹, დაწესდეს სასამართლო კონტროლი აღნიშნული მოტივით საქმის წარმოებით შეწყვეტისადმი¹², ჩაერთოს ამხანაგური სასამართლოები მართლმსაჯულების განმხორციელებელ სასამართლო სისტემაში, ან შეიცვალოს ამხანაგური სასამართლოს კომპეტენცია და არ დაეჭვებდებაროს მას იმ საქმეთა განხილვა, რომელიც წარმოადგენს დანაშაულს¹³.

ი. მოტოვილოვკერის აზრით, წინასწარი გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემასთან დაკავშირებით არ ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. გამოძიებლის დადგენილება ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ არ ადგენს პირის დამნაშავეობას და არ შეიძლება გაუთანაბრდეს სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს. ასეაი დადგენილების გამოტანა ნიშნავს, რომ საქმე წყდება წარმოებით, რადგან აღარ არის საჭირო დამნაშავეობის საკითხის გარკვევა და პირი გადაეცემა კოლექტივს აღსაზრდელად¹⁴.

ყველა ეს წინადადება იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის წესის საერთოდ გაუქმების ან არსებითი შეცვლისათვის საფუძველი არ არის. იგი საჭიროებს მხოლოდ დახვეწასა და სრულყოფას, რის შესახებაც სამართლიანად აღნიშნავს მ. ს. სტროგოვიჩი¹⁵.

¹¹ იხ. Савицкий В. М., Проблемы социалистического правосудия в свете новой Конституции СССР, «Проблемы правосудия и уголовного права», М., 1978, с. 12; Ларин А. М., Презумпция невиновности. М., 1982, с. 119—120.

¹² იხ. Петрухин И. Л., Презумпция невиновности — конституционный принцип советского уголовного процесса. «Советское государство и право», 1978, № 12, с. 23—24; Лабус И. А., Презумпция невиновности в советском уголовном процессе, Ташкент, 1981, с. 194.

¹³ იხ. Петрухин И. Л. там же, с. 24.

¹⁴ იხ. Матвеев Н., Обсуждение проблем социалистического правосудия в свете новой Конституции СССР, «Социалистическая законность», 1978, № 6, с. 71.

¹⁵ იხ. Стргович М. С., Презумпция невиновности и прекращение уголовных дел по нереабилитирующим основаниям, «Советское государство и право», 1983, № 2, с. 76; იხ. აგრეთვე ა. შუშანაშვილი, სიახლენი დამნაშავეობასთან ბრძოლის კანონმდებლობაში, „საბჭოთა სამართალი“, 1983, № 1, გვ. 11—12.

საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობა (მუხლი მე-5 და მე-200) ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს სარეაბილიტაციო მოტივით (დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო, ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო და ბრალდებულის დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის დაუდასტურებლობის გამო).

ამ დროს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოები თვლიან, რომ პირი უდანაშაულოა და ამიტომ საერთოდ არ ისმის საკითხი მათი ბრალეულობის თაობაზე.

მაშასადამე, სისხლის სამართლის საქმის წარმოება სარეაბილიტაციო მოტივით შეიძლება დამთავრდეს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს იმიტომ, რომ არ წყდება პირის ბრალეულობის საკითხი, არამედ დგინდება მისი უდანაშაულობა. ამ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობაში არ არის საჭირო რაიმე ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობა (მუხლი მე-5— მე-9) ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს არასარეაბილიტაციო მოტივით. აქ ცალკე ჯგუფად უნდა იყოს გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ხანდაზმულობის, ამნისტიის, გარემოების შეცვლის, ბრალდებულის გარდაცვალების გამო, აგრეთვე პირის ამხანაგურ-სასამართლოსათვის ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის გადაცემის მოტივით. ყველა ამ შემთხვევაში გამოძიების დროს წყდება პირის ბრალეულობის საკითხი (სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე). ამ დროსაც აუცილებელი არ არის საპროცესო კანონმდებლობის შეცვლა, ვინაიდან ბრალეულობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მაინც დამოკიდებულია არა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების თანამდებობის პირებზე (მომკვლევე პირი, გამოძიებელი, პროკურორი), არამედ თვით ბრალდებულზე.

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ამ მოტივებით დასაშვებია მხოლოდ მაშინ თუ ბრალდებული ან გარდაცვალებულის წარმომადგენელი ამის თანახმაა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის წარმოება გაგრძელდება ჩვეულებრივი წესით და ბრალეულობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო.

ბრალდებულმა ყველაზე კარგად იცის, მიუძღვის თუ არა მას ბრალი დანაშაულის ჩადენაში. თუ ბრალდებული თვლის, რომ დამნაშავე არ არის იგი დააყენებს საკითხს, რომ საქმის წარმოება გაგრძელდეს და მისი უდანაშაულობის თუ დამნაშავეობის საკითხი გადაწყვიტოს სასამართლომ. გამოძიების ორგანოსათვის ბრალდებულის ეს განცხადება სავალდებულოა.

[თუ ბრალდებული ეთანხმება საქმის წარმოებით შეწყვეტას] და მის გადაცემას საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ეს, ჯერ ერთი, იმას ნიშნავს, რომ პირი თანახმაა მისი საკითხი გადაწყვიტოს ამხანაგურმა სასამართლომ ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ, რომ მისი ავტორიტეტისა და რეპუტაციისათვის უმჯობესია საკითხის სწორედ ამგვარად გადაწყვეტა გამოძიების ორგანოები ასეთ შემთხვევაში, მართალია, ცნობენ პირს ბრალეულად ისე-

თი ქმედობის ჩადენაში, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. მაგრამ მათს დასკვნას აქვს წინასწარი ხასიათი. საბოლოოდ საკითხს გაადწყვეტს ამხანაგური სასამართლო ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისია საქმის ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური განხილვის შედეგად. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგური სასამართლო ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისია არ წყვეტენ საკითხს პირის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯის შესახებ, არამედ გამოიყენებენ მხოლოდ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს.

მაშასადამე, გამოძიების დროს არასარეაბილიტაციო მოტივით სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტისას უნდა გაირკვეს ბრალდებულის პოზიცია. მისი სურვილის შესაბამისად საქმის წარმოება უნდა გაგრძელდეს და სასამართლომ გადაწყვიტოს ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხი ან საქმე განსახილველად გადასცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არასარეაბილიტაციო მოტივით მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს საქმის წარმოებით შეწყვეტისადმი დაწესდეს სასამართლო კონტროლი და მასალები საქმის შეწყვეტის შესახებ განიხილოს სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორის მონაწილეობით და საკითხი გადაწყდეს საქმეზე განჩინების გამოტანის გზით გამოძიების ორგანოს დადგენილების ძალაში დატოვების ან მისი გაუქმების შესახებ¹⁶.

ამის შემოღება ზედმეტად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, არც ამ შემთხვევაში იქნება დაცული დებულება, რომ ბრალეულობის საკითხს წყვეტს სასამართლო თავისი განაჩენით. მეორეც, კონტროლი საქმის წარმოებით შეწყვეტისადმი, კანონით ისედაც არის გათვალისწინებული. საქმის შეწყვეტა მისი ამხანაგური სასამართლოსათვის ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის გადაცემასთან დაკავშირებით, ანდა გარემოების შეცვლის გამო დაიშვება მხოლოდ პროკურორის თანხმობით. კანონით გარანტირებულია აგრეთვე ბრალდებულის უფლება გაასაჩივროს დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამ ვითარებაში ზედმეტია კიდევ ერთი სახის კონტროლის დაწესება სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის მხრივ.

ცალკე განხილვას მოითხოვს ისეთი საკითხი, როგორც არის სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის თავდებობის ქვეშ გადაცემასთან დაკავშირებით (მუხლი მე-9), ამ შემთხვევაში გამოძიების ორგანოები უკვე საბოლოოდ ცნობენ პირს ბრალეულად ისეთი ქმედობის ჩადენაში, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და გადასცემენ მას თავდებობის ქვეშ ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის. თუ პირი თავს დამნაშავედ არ ცნობს, მის საქმეს განიხილავს სასამართლო დადგენილი წესის შესაბამისად.

თავდებქვეშ გადაცემის დროს პირს გარკვეულად ეზღუდება პიროვნების თავისუფლების კონსტიტუციური უფლება: მისი ქცევისადმი წესდება კონტროლი, ხორციელდება გარკვეული ღონისძიებანი მისი ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის და ითვლება, რომ მან ჩაიდინა ქმედობა, რომლისთვი-

¹⁶ იხ. Либус И. А., Презумпция невинности в советском уголовном процессе, Ташкент, 1981, с. 194—195.

საც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ან სხვა უფრო მსუბუქე სასჯელს (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი).

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქმის შეწყვეტა ბრალეული პირის თავდებქვემ გადაცემასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ და არა გამოძიების პროცესში.

არ არის საჭირო საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სისხლის სამართლის საქმე წარმოებით წყდება მოკვლევისა და გამოძიების პროცესში პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით. მართალია, ამ დროს გამოძიების ორგანოებს გამოაქვთ დაუკვნა პირის მიერ ისეთი ქმედობის ჩადენის შესახებ, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაგრამ ასეთი დასკვნა წინასწარი ხასიათისაა. საბოლოოდ ამ საკითხს წყვეტს მოსამართლე ან სასამართლო, რომელსაც შეუძლია, საქმის მასალების განხილვის შედეგად, დაეთანხმოს გამოძიების ორგანოს და გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები (შრომა-გასწორებითი სამუშაოები, დაპატიმრება, ჯარიმა) ან შეწყვიტოს საქმე წარმოებით, ანდა დაუბრუნოს იგი პროკურორს გამოძიებისათვის. სასამართლო უფლებამოსილია აგრეთვე თავისი ინიციატივით შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმის წარმოება და გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ხასიათის ზომები.

უღანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის კონსტიტუციური პრინციპის, საკიდების სწორი გარკვევა ხელს შეუწყობს პროცესუალური კანონმდებლობის დახვეწას, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სწორ განხორციელებას და ბრალდებულის უფლებათა გარანტიის განმტკიცებას.

საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა საბაზის კრიმინოლოგიური მნიშვნელობა

გ. ლლონი

სსსრ კენტრალური კომიტეტის 1979 წლის დადგენილებაში „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ აღნიშნულია, რომ „სამართალდაცვითმა ორგანოებმა და საზოგადოებრიობამ უნდა გაააქტიურონ ბრძოლა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი სხვადასხვაგვარი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად“¹.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულების ერთ-ერთი პირობა არის გაანალიზდეს საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ ძალადურ დანაშაულთა ფორმირების მექანიზმი და აღმოიფხვრას ის გარემოებანი, რომლებიც ხელს უწყობს ამ დანაშაულთა ჩადენას. ასეთ გარემოებათა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენის საბაზს.

სამართლებრივ ლიტერატურაში და პრაქტიკაში ფართოდ იყენებენ ცნებებს: „საყოფაცხოვრებო დამნაშავეობა“, „საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულობანი“, „საოჯახო და საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილი დანაშაულობანი“ და ა. შ. ამასთან საყოფაცხოვრებო დანაშაულის ნიშნად აღიარებულია საყოფაცხოვრებო კონფლიქტი, ესე იგი ინტერესთა შეჯახება, მწვავე წინააღმდეგობა დამნაშავესა და დაზარალებულს შორის, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ან პიროვნულ-საყოფაცხოვრებო (მეუღლეები, ოჯახის წევრები, ნათესავები, მეზობლები), ან საზოგადოებრივ საყოფაცხოვრებო (მგზავრი — კონდუქტორი, მყიდველი — გამყიდველი) ურთიერთობებით².

საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა კრიმინოლოგიური შესწავლის აქტუალურობას განაპირობებს ის, რომ ამ სფეროში ყველაზე გამძლეა წარსულის ჩვევები და ტრადიციები, მათ შორის ისინი, რომლებსაც აქვთ კრიმინოლოგიური მნიშვნელობა, ასრულებენ ძალადურ დანაშაულთა ჩადენის ფაქტორების, პირობებისა და საბაზის როლს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ხდება ყველა უმძიმეს ძალადურ დანაშაულთა ნახევარზე მეტი. კერძოდ, განზრახ მკვლელობათა 68 პროცენტი და სხეულის მძიმე დაზიანებათა ყველა შემთხ-

¹ Правда 1979 г. 11 сентября.
² Алимов С. Б. и др. — Насильственная преступность в сферах быта и досуга. Сб.: Вопросы борьбы с преступностью. М., 1980, № 33, с. 15; Антонян Ю. М., Панфилов Г. А. — Профилактика преступлений в сфере быта, М., 1979.

ვევის³ ორი მესამედი ხდება მეუღლეთა, თანამცხოვრებთა, ნათესავთა, ახლობელ პირთა წინააღმდეგ.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ძალადური დანაშაულის თითქმის 75 პროცენტს საფუძვლად ედო დაზარალებულთა ან სხვა პირთა კონკრეტული მოქმედება, რომელიც ბრალეულისათვის დანაშაულის ჩადენის საბაბი გახდა. მასთან ეს მოქმედება 39 პროცენტ შემთხვევებში მართლზომიერი იყო. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ დაზარალებულთა მოქმედება 39 პროცენტ შემთხვევებში მართლსაწინააღმდეგო და 61 პროცენტ შემთხვევებში მართლზომიერი იყო. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ დაზარალებულთა მოქმედება 93 პროცენტს შემთხვევაში განზრახი და 7 პროცენტ შემთხვევებში გაუფრთხილებელი იყო.

ეს მონაცემები მოწმობს, რომ საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ძალადურ დანაშაულთა ჩადენის ყველაზე გავრცელებული საბაბია დაზარალებულთა მართლზომიერი მოქმედება, რომელიც, როგორც წესი, გამოიხატება: ბრალეულისაგან იმის მოთხოვნით, რომ შეწყვიტოს მართლსაწინააღმდეგო თუ ამორალური საქციელი (მაგალითად, სპირტიანი სასმელების სისტემატური ბოროტად გამოყენება და ამასთან დაკავშირებული ხულიგნური თუ ამორალური მოქმედება ყოფა-ცხოვრებაში); ბრალეულის უკანონო მოქმედებისა და მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობით და წინააღმდეგობითაც კი შინაგან საქმეთა ორგანოებში, პროკურატურაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ბრალეული პირის მუშაობის ადგილას ადმინისტრაციისათვის მიმართვით დაზარალებისათვის, რომ იგი ეწევა ანტისაზოგადოებრივ ან ამორალურ ცხოვრებას და სხვა. რამდენადმე უფრო იშვიათად საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ ძალადურ დანაშაულთა საბაბია დაზარალებულთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, მაგალითად: შეურაცხყოფა, ცემა, წამება, რომლებიც აიძულებს პირს უბასუხოს ამას ძალადური დანაშაულით, აგრეთვე ცოლქმრული დალატი; ბრალეულის სახელგამტები კორების გავრცელება; უარი მისი კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და ა. შ. ზოგჯერ საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ძალადურ დანაშაულთა ჩადენის საბაბის როლს ასრულებს დაზარალებულის გაუფრთხილებელი (მართლზომიერი ან მართლსაწინააღმდეგო) მოქმედება. ასეთი მოქმედება, ჩვეულებრივ, გამოიხატება იმით, რომ საკუთარ თავს მიიყვანენ უსუსურ მდგომარეობამდე ძლიერი ალკოჰოლური სიმთვრალის ან ნარკოტიკული აგზნების შედეგად. ბრალეულს გაუფრთხილებლად მიაყენებენ სხეულის სხვადასხვა ხარისხის სიმძიმის დაზიანებას ან მატერიალურ ზარალს; ჩადენენ სხვა გაუფრთხილებელ მოქმედებას.

დაზარალებულთა მოქმედება, რომელიც ოჯახისა და ყოფა-ცხოვრების სფეროში ძალადურ დანაშაულთა ჩადენის საბაბის როლს ასრულებს, განსხვავდება არა მარტო თავისი სოციალური მნიშვნელობით, არამედ ბრალეულის პიროვნებაზე ზემოქმედების მექანიზმითაც. ამ კლასიფიკაციური ნიშნით შე-

³ Тугаринов В. П. — О категориях «общественное бытие» и «общественное сознание» учебник «Научный коммунизм». М., 1975, с. 409; Сыров А. П., Серебрякова В. А. — Методологические и методические предпосылки комплексного криминологического исследования проблемы быта и преступности. Сб.: Методологические вопросы изучения социальных условий преступности. М., 1979, с. 101—105.

იძლება გამოვყოთ საბაბთა ოთხი კატეგორია და პირობითად მათ ვუწოდოთ: კონფლიქტური, განმმუხტველი, დამავალდებულებელი და მაცდუნებელი.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ოჯახსა და ყოფა-ცხოვრებაში ძალადურ დანაშაულთა ჩადენის ყველაზე გავრცელებული საბაბია განმმუხტველი საბაბი, რომელსაც შევხვდით 52 პროცენტ განზრახ მკვლელობის და სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების 57 პროცენტ შემთხვევებში.

განმმუხტველი საბაბია დაზარალებულთა ისეთი მოქმედება, რომელზეც ბრალეული რეაგირებს ძალადური დანაშაულის ჩადენით არა მისი ობიექტურად პროვოცირებული ჩასიათის გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს მოქმედება აღმოჩნდება „გარეგნული ბიძგი“, რომელიც იწვევს ბრალეულის იმ ნერვულ-ფსიქოლოგიური დაძაბულობის განმუხტვას, რომელიც განპირობებულია დაზარალებულთან ან სხვა პირებთან ამის წინ მომხდარი კონფლიქტით.

შეგროვილი მონაცემები მოწმობს, რომ საოჯახო-საყოფაცხოვრებო სფეროში ძალადურ დანაშაულთა ჩადენის განმმუხტველი საბაბის როლს უფრო ხშირად ასრულებს დაზარალებულთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (60-65 პროცენტ შემთხვევებში), რომელიც გამოიხატება: ბრალეულის მიმართ დაცინვით, შარის მოდებით (45 პროცენტი შემთხვევები); ამორალური მოქმედებით (25 პროცენტი); უარით — შეასრულოს ბრალეულის კანონიერი თხოვნა ან მოთხოვნები (20 პროცენტი); სხვა მოქმედებით (8 პროცენტი). დაზარალებულთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება უფრო იშვიათად ასრულებს განმმუხტველი საბაბის (30 პროცენტ შემთხვევებში) როლს და გამოიხატება: ბრალეულის მიმართ კანონიერი მოთხოვნებით და შენიშვნებით (45 პროცენტ შემთხვევებში); ბრალეულის მართლსაწინააღმდეგო წინადადებათა და თხოვნის შეუსრულებლობით (45 პროცენტი); სხვა მოქმედებით (7 პროცენტი).

დაზარალებულთა ანალიზი, რომელთა მოქმედება გახდა ოჯახსა და ყოფა-ცხოვრებაში ძალადურ დანაშაულთა ჩადენის განმმუხტველი საბაბი, გვიჩვენებს, რომ 57 პროცენტ შემთხვევებში ისინი იყვნენ ოჯახის წევრები, 21 პროცენტ შემთხვევებში — მეზობლები, 19 პროცენტ შემთხვევებში — ნათესავები, 8 პროცენტ შემთხვევებში — მეგობრები და 5 პროცენტ შემთხვევებში — ნაცნობები.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ზოგჯერ ბრალეულის განმმუხტველი რეაგირება დანაშაულებრივი საქციელის სახით მიმართულია ხოლმე არა იმ პირის წინააღმდეგ, ნერვულ-ფსიქოლოგიური დაძაბულობა რომ გამოიწვია, რომელიც ან არ არის მოცემულ მომენტში, ან ბრალეულს არ მიაჩნია შესაძლებლად მის მიმართ ჩადინოს დანაშაულებრივი მოქმედება (ეშინია, ეცოდება და ა. შ.), არამედ გადააქვს სხვა პირზე ან ობიექტზე. ასეთი „გადატანა“ შეიძლება მიმართული იყოს ოჯახის წევრების, ნათესავების ან იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც შემთხვევით „მოხვდა ხელში“.

საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ ძალადურ დანაშაულთა მექანიზმში, გავრცელების თვალსაზრისით, შემდეგია კონფლიქტური საბაბი. კონფლიქტური საბაბის ცნება მოიცავს დაზარალებულთა როგორც მართლზომიერ, ისე მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, რომელსაც მოჰყვება აშკარა შეტაკება (კონფრონტაცია) ბრალეულთან და რომელიც აიძულებს ჩადინოს ძალადური დანაშაული. თავისი როლით დანაშაულის ჩა-

დენაში კონფლიქტური საბაბი ემთხვევა ამგვარი საქციელის უშუალო მიზეზს.

გამოკვლევის მონაცემებით, ოჯახსა და ყოცა-ცხოვრებაში ძალადურ დანაშაულთა ჩადენის კონფლიქტური საბაბის როლს ასრულებს დაზარალებულთა 56 პროცენტ შემთხვევებში მართლზომიერი, ხოლო 44 პროცენტ შემთხვევებში მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედება.

დაზარალებულთა მართლზომიერი მოქმედება, რომელიც კონფლიქტური საბაბის როლს ასრულებს, გამოიხატება: ბრალეულთა ნეგატიური (ამორალური თუ დანაშაულებრივი) საქციელის აქტიური აღკვეთით (19 პროცენტ შემთხვევებში); ბრალეულის მიმართ მოთხოვნებით, რომ შეწყვიტოს მართლსაწინააღმდეგო საქციელი (43 პროცენტი); უარით — შეასრულოს ბრალეულის უკანონო მოთხოვნები ან ბრძანებანი (24 პროცენტი); სხვა მართლზომიერი მოქმედებით (12 პროცენტი). დაზარალებულთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება გამოიხატება: ძალადობით ბრალეულის მიმართ (17 პროცენტი); შეურაცხყოფითა და მუქარით (39 პროცენტი); ამორალური ქცევით (37 პროცენტი); ცილისწამებით (5 პროცენტი); სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (2 პროცენტი). ზოგჯერ კონფლიქტური საბაბის როლს ასრულებს დაზარალებულთა გაუფრთხილებელი მოქმედება, რომელიც გამოიხატება წინდაუხედავი, დაუდევარი მოქმედებით, რომელსაც მოჰყვა ბრალეულის კუთვნილი ძვირფასი ნივთების გაფუჭება ან ფულის დაკარგვა; ბრალეულისათვის სხეულის დაზიანების გაუფრთხილებელი მიყენება და სხვ. საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ ძალადურ დანაშაულთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ კონფლიქტური საბაბის წყაროები (დაზარალებულნი) იყვნენ: 72 პროცენტ შემთხვევებში — ოჯახის წევრები, 15 პროცენტ შემთხვევებში — ნათესავები; 3 პროცენტ შემთხვევებში — მეგობრები; 2 პროცენტ შემთხვევებში — ნაცნობები.

შემდეგი სახეობის საბაბია დამავალდებულებელი, რომელიც გამოიხატება მოქმედებით ან მოვლენებით, რომლებიც აიძულებენ დანაშაულის ჩადენას იმ სოციალურ ერთობაში მიღებული ჯგუფური ნორმებისა და წესების გამო, რომელსაც ეკუთვნის (ან მიაკუთვნებს თავის თავს) ბრალეული პირი, და რომლის აზრსაც იგი ანგარიშს უწყევს. პიროვნებათა ურთიერთობების საოჯახო-საყოფაცხოვრებო სფეროში დამავალდებულებელი საბაბი შედარებით იშვიათად გვხვდება. იგი საფუძვლად უდევს სისხლის აღების ნიადაგზე ან ფეოდალურ-რელიგიური ზრახვებით ჩადენილ ძალადურ დანაშაულებს. სისხლის აღების ჩვეულება წარსულის გადმონაშთია, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩათ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ხალხს. სისხლის აღება ჩვეულებრივი შურისძიებისაგან განსხვავდება, უმთავრესად, მისი წარმოშობის საფუძვლებით. თუ შურისძიება ღრმად პირადული ხასიათისაა, სისხლის აღების დროს პირი, რომელიც ძალადურ დანაშაულს სჩადის, იმდენად პირადი კმაყოფილების მიღებას არ ცდილობს, რამდენადაც ვალის მოხდას, რომელიც გამომდინარეობს გარკვეული ერთობისადმი კუთვნილებიდან. ამასთან შურისძიებაზე უარის თქმას, მოკემული სოციალური ერთობის ნორმებით, დიდ ცოდვად მიიჩნევენ⁴.

⁴ См. Дирасалидзе Г. И. — Убийство на почве кровной мести по советскому уголовному праву. Автореферат дисс. канд. Свердловск, 1974, с. 6.

დამავალდებულებელი საბაბით არის გამოწვეული ზოგიერთი ძალადურა დანაშაული, რომელსაც სწადიან ქალების წინააღმდეგ, შარიათისა და ადათის რელიგიურ დებულებათა საფუძველზე. ამ დებულებათა მიზანი, უწინარე ყოვლისა, ის არის, რომ გამორიცხონ ქალები საწარმოო და პოლიტიკური საქმიანობის სფეროდან⁵ და ავალდებულებენ მეუღლეებს, მშობლებს თუ ნათესაებს, ქალის ურჩობის შემთხვევებში, ძალადურ ღონისძიებებს, ასე განსაჯეთ, განზრახ კვლელობასაც კი მიმართონ.

საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ ძალადურ დანაშაულთა მექანიზმში განსაკუთრებული ადგილი უკავია მაცდუნებელ საბაბს, როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, მაცდუნებელ საბაბად თითქმის ყოველთვის გვევლინება დაზარალებულთა წინაუხედავი ან თავდაჯერებული მოქმედება, რომელიც ბრალეულს უქმნის მაცდუნებელ სიტუაციას, რათა ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედობა. მაგალითად, უპატრონოდ დატოვებულმა ძვირფასმა ნივთებმა შეიძლება აიძულოს ბრალეულს ქურდობა, ხოლო სიმთვრალის შედეგად დაზარალებულის მიერ თავისი თავის უსუსურ მდგომარეობაზე მიყვანამ — აცდუნოს გაუპატიურების ან ძარცვის ჩასადენად. ემპირიული მონაცემების ანალიზი მოწმობს, რომ საოჯახო-საყოფაცხოვრებო სფეროში ძალადურ დანაშაულთა ჩადენის მაცდუნებელი საბაბის წყაროები (დაზარალებულნი) იყვნენ: ოჯახის წევრები (80 პროცენტ შემთხვევებში), ნათესავები (10 პროცენტ შემთხვევებში), მეზობლები (5 პროცენტ შემთხვევებში), მეგობრები (2 პროცენტ შემთხვევებში) და ნაცნობები (3 პროცენტ შემთხვევებში).

ვაკამებთ რა ზემოთქმულს, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ ძალადურ დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის.

ჯერ ერთი, იმის გამო, რომ საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ ძალადურ დანაშაულთა დაახლოებით სამი მეოთხედი გამოწვეულია დაზარალებულთა მოქმედებით, რომელმაც შექმნა ამ ქმედობათა ჩადენის საბაბი, თანაც ხშირად მოქმედება ამორალური, მართლსაწინააღმდეგო ანდა დანაშაულებრივიც კი არის, ასეთ დანაშაულთა თავიდან აცილების ღონისძიებანი ორიენტირებული უნდა იყოს არა მარტო შესაძლო დამნაშავეებზე, არამედ იმათზეც, ვინც ვიქტიმურობის გამო შეიძლება გახდეს მათი მსხვერპლი.

მეორე, პროფილაქტიკის პროცესში ის გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ ძალადურ დანაშაულთა ნახევარზე მეტი გამოწვეულია საბაბით, რომლის ფორმირება შემთხვევითი კი არ არის, არამედ მომზადებულია ხანგრძლივი დროის მანძილზე დაზარალებულებთან ბრალეულთა არაკეთილგანწყობილი ან მტრული ურთიერთობით. მაშასადამე, ამგვარ დანაშაულთა თავიდან აცილება მოითხოვს სამართალდაცვითი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის აქტიურ მეცადინეობას ცალკეულ ოჯახებსა და ადამიანთა საყოფაცხოვრებო-პირადულ ურთიერთობებში წარმოშობილ კონფლიქტურ სიტუაციათა ნეიტრალიზაციისა და აღკვეთისათვის.

⁵ См. Могилевский А. Л. — Борьба с преступлениями против жизни и здоровья совершаемые на почве пережитков местных обычаев. М., 1971, канд. дисс., с. 7.

სანარკომო ერთეულის სტატუსი

სკკ XXVI ყრილობის და სკკ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების მიზნით, სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1988 წლის 14 ივლისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება მრეწველობაში მოქმედ საწარმოო გაერთიანების უფლებათა შემდგომი გაფართოების შესახებ. (СП СССР, 1988, № 20, СТ. 109).
წინამდებარე სტატიაში გაშუქებულია საწარმოო გაერთიანების და მისი შიდასტრუქტურული ერთეულების სამართლებრივი ბუნება.

ბ. ზამბახიძე

თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ეკონომიკის განვითარების მთავარი მიმართულებაა წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მართვის გაუმჯობესების საფუძველზე. მისი წარმატებით გადაჭრა მოითხოვს სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას. ამის აუცილებელი პირობაა საწარმოო გაერთიანების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტების ღრმა შესწავლა. „საჭიროა ყურადღებით გავანალიზოთ გაერთიანებების ორგანიზაციის პრინციპები და ფუნქციონირების მექანიზმი, ვნახოთ — ყველგან ხორციელდება თუ არა წარმოების საჭირო კონცენტრაცია და სპეციალიზაცია. საკმაოდ დასაბუთებულად არის თუ არა განაწილებული უფლება-მოვალეობანი გაერთიანებებსა მათ შემადგენლობაში შემავალ საწარმოო ქვედანაყოფებს შორის? ცხადია, ზოგისთვის უფლებების შეკვეცა და ზოგისთვის მათი მეტისმეტი გაფართოება ხელს ვერ შეუწყობს წარმატებით მუშაობას“¹. სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ „ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ გაფართოვდეს გაერთიანებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობა. ვგონებ დადგა დრო, პრაქტიკულად მივუდგეთ ამ საკითხის გადაწყვეტას. ამასთან დაკავშირებით დავალებანი მიეცათ მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. აქ წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ, თუ საჭირო გახდა, მოვაწყოთ ექსპერიმენტები, ავწონდავწონოთ და გავითვალისწინოთ მოძმე ქვეყნების გამოცდილებაც. დამოუკიდებლობის გაფართოება ყველა შემთხვევაში უნდა შეეხამებოდეს პასუხისმგებლობის ზრდას, საერთო-სახალხო ინტერესებისათვის ზრუნვას“².

1 „სკკ XXVI ყრილობის მასალები“, თბ., 1981, გვ. 188.

2 ვახუთი „კომუნისტი“, 1982 წლის 23 ნოემბერი

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია და მოქმედებს რამდენიმე სახის გაერთიანება („სამრეწველო, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, აგროსამრეწველო, აგროსაწარმოო, აგროქიმიური, სამშენებლო საწარმოო-სამონტაჟო-და სხვა)³.

ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებს 802 საწარმოო და სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება. ამასთან საწარმოო გაერთიანებათა ხვედრითი წილი დღით დღე მატულობს. მათი შექმნა განპირობებულია სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების და კონცენტრაციის აუცილებლობის ობიექტური პროცესებით. პრაქტიკაში დიდი გაქანება პოვა ე. წ. „შერეული“ ტიპის საწარმოო გაერთიანებებმა, რომელთა ხვედრითი წილი ჩვენს ეკონომიკაში საკმაოდ მაღალია. ასე, მაგალითად, მიმდინარე ხუთწლედის დამდეგს საწარმოო გაერთიანებაში შემავალი ერთეულების (ფაბრიკების, ქარხნების) 42 პროცენტს შენარჩუნებული ჰქონდათ თავისი ეკონომიკური და იურიდიული დამოუკიდებლობა⁴. ამის მაგალითია თბილისში შექმნილი ერთ-ერთი პირველი საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“, რომელსაც საწარმოო ერთეულებისადმი სამეურნეო ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება აქვს. ზოლო ე. წ. „წმინდა“ სახის საწარმოო გაერთიანებას მიეკუთვნება ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შექმნილი გაერთიანებანი, აგრეთვე ფეხსაცმელის საწარმოო გაერთიანება „ისანი“. მათში გაერთიანებულ არცერთ საწარმოო ერთეულს არა აქვს იურიდიული პირის უფლება.

ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა საწარმოო გაერთიანების სამართლებრივი ტიპების შესახებ. საწარმოო გაერთიანება ან გაიგივებულია სამრეწველო სოციალისტურ საწარმოსთან და მიჩნეულია გამსხვილებულ საწარმოდ⁵, ან აღიარებულია მისი თვითმყოფადობა, და საწარმოო გაერთიანებას მიიჩნევენ თვისობრივად ახალ ერთეულად, რომელიც განსხვავდება სამრეწველო საწარმოსაგან⁶. ამ დავას ზოგჯერ უარყოფითი პრაქტიკული შედეგი მოსდევს. არის შემთხვევები, როდესაც იქმნება თავისი შინაარსით საწარმოო გაერთიანება, მაგრამ მისი სტატუსი განსაზღვრულია სამრეწველო გაერთიანების დებულებით, ან პირიქით, ფაქტობრივად შექმნილია

³ სამეურნეო გაერთიანებებმა დაიმკვიდრეს მტკიცე ადგილი მომხმე სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაშიც. დაწერილებით ამის შესახებ იხ.:

в странах СЭВ, «Экономика и организация производства», 1977, № 3, с. 102—136; Суханов Е. А. Хозяйственные объединения в Европейских социалистических странах «Сов. государство и право», 1981, № 1, с. 93—97; Пржибыл З. Хозяйственные отношения производственных единиц в ЧССР, «Хозяйство и право», 1981, № 1, с. 68—72; Гаджер В. Содержание нового экономического механизма в Народной Республике Болгарии, «Хозяйство и право», 1981, № 6, с. 64—67.

⁴ Народное хозяйство СССР в 1980 году, Статистический ежегодник, М., «Финансы и статистика», 1981, с. 121.

⁵ Яковлева В. Ф., Собчак А. А. Правовая природа отношений с участием производственных единиц, «Сов. государство и право», 1975, № 5, с. 86—87; Собчак А. А. Хозрасчет и правосубъектность, «Сов. государство и право», 1981, № 2, с. 76.

⁶ Лаптев В. В. Правовое положение промышленных и производственных объединений, «Наука», М., 1978, с. 137—140; Экономика СССР на этапе развитого социализма (1960—1970-е годы), т. 7, «Наука», М., 1980, с. 100—101; Цимерман Ю. С. Производственная единица — правовое положение и хозяйственные связи, «Юридическая литература», М., 1983, с. 3—5.

სამრეწველო გაერთიანება, მაგრამ მის საქმიანობას აწესრიგებს დებულება საწარმოო გაერთიანების შესახებ⁷.

მრეწველობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფა მოითხოვს საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთიანი სამეურნეო კომპლექსების შექმნას, ერთეულთა ორგანიზაციულ გაერთიანებისა და კოოპერირების საფუძველზე მათს სამართლებრივ განმტკიცებას, ამით განისაზღვრება იურიდიული ასპექტის პრაქტიკული ხასიათი.

საწარმოო გაერთიანება განსხვავდება სოციალისტური სამრეწველო საწარმოსაგან და სამრეწველო გაერთიანებისაგან თავისი სტრუქტურით, იმ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების წესით, რომლებიც გაერთიანების ფარგლებში წარმოიშობა⁸.

შიდასამეურნეო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება, საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) შემადგენლობაში შემავალი ფაბრიკების, ქარხნების, სამეცნიერო საკონსტრუქტორო, საპროექტო საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ და სხვა შინაგან სტრუქტურულ ქვედანაყოფებს კანონმდებელი უწოდებს საწარმოო ერთეულებს. მასზე არ ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ. საწარმოო ერთეული⁹ შიდასამეურნეო ურთიერთობათა აუცილებელი სუბიექტია და კანონით დადგენილ ფარგლებში სარგებლობს დამოუკიდებლობითაც.

სსრ კავშირის სამინისტროს (უწყების) ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად საჭიროების მიხედვით საწარმოო გაერთიანებას (კომბინატს) შეიძლება დაექვემდებაროს ცალკეული დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ იმ უფლებებით, რომლებიც გათვალისწინებულია დებულებით სოციალისტური სახელმწიფოს საწარმოს შესახებ (მე-6 პუნქტი). გაერთიანება, რომელსაც ექვემდებარება დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, მათთან ურთიერთობაში გვევლინება ზემდგომ ორგანოდ.

როგორც წესი, საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) ხელმძღვანელობა ხორციელდება მეთაური ქარხნის, ფაბრიკის (მეთაური საწარმოო ერთეულის) მმართველობის აპარატით, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში სსრ კავშირის მთავრობის ნებართვით გაერთიანების ხელმძღვანელობა შეიძლება განხორციელდეს მმართველობის სპეციალური აპარატითაც (მე-17 პუნქტი). ასეთი აპარატი ფაქტიურად შექმნილია თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“, რომლის ძირითადი ბირთვია დირექტორთა საბჭო, მისი სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამისი წესდებით. მეთაური საწარმოო ერთეული სამეურნეო ურთიერთობებში უთანაბრდება სხვა „რიგით“

⁷ Гук И. Шифрин И. Статистика должна все знать (Четкость производственной структуры — важное условие совершенствования хозяйственного механизма), Газ. «Известия», 2 апреля 1980.

⁸ დღეისათვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მოქმედი გაერთიანებების სტატუსის უნიფიკაცია.

Лаптев В. В. Хозяйственное право и совершенствование руководства экономикой, «Сов. государство и право», 1982, № 4, с. 26—27.

⁹ აღსანიშნავია რომ ტერმინს „საწარმოო ერთეული“ კანონმდებელი ადრეც ხმარობდა, იხ. СУ РСФСР, 1923, № 29, с. 336.

საწარმოო ერთეულებს. დაუშვებელია გაერთიანების ადმინისტრაციის მხრივ მისთვის რაიმე პრივილეგიების შექმნა სხვა ერთეულების ხარჯზე. ეს ფაქტობრივად გააბათილებდა საწარმოო ერთეულის კერძო ეკონომიკურ ინტერესს, მის სამეურნეო ანგარიშს და საბოლოო ანგარიშით ზიანს მოუტანდა გაერთიანების საჭეურნეო საქმიანობას.

საწარმოო ერთეული განაგებს თავის ძირითად და საბრუნავ საშუალებებს, შრომითა და მატერიალურ რესურსებს, მუშაობს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე კანონმდებლობით დადგენილი და საწარმოო გაერთიანებების (კომბინატის) მიერ მისთვის გადაცემულ უფლებათა ფარგლებში. გარდა ამისა, საწარმოო ერთეულს უფლება აქვს გაერთიანების სახელით დადოს სამეურნეო ხელშეკრულებანი, რომლისთვისაც პასუხისმგებელია გაერთიანება. ამგვარ ხელშეკრულებათა სახეებს განსაზღვრავს თვით გაერთიანება (მე-11 პუნქტი). მაგალითად; ქ. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“. რომელშიც გაერთიანებულია სამი საწარმოო ერთეული და ორი საკონსტრუქტორო ბიურო (მეთაურია ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა); გაერთიანების ადმინისტრაციამ ასეთი უფლება მიანიჭა ერთ-ერთ საწარმოო ერთეულს — თბილისის სახეხ ჩარხსაშენებელ ქარხანას. საწარმოო ერთეულს, რომელიც არ მდებარეობს გაერთიანების ადგილსამყოფელში, აქვს მიმდინარე (და არა ანგარიშსწორების) ანგარიში სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებაში. მას ასევე შეიძლება სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებაში ჰქონდეს კაპიტალურ დაბანდებათა ფინანსირების ანგარიში.

სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების ერთეულებს უფლება აქვთ სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში მონაწილეობა მიიღონ გაერთიანებისაგან დამოუკიდებლად. დადონ სამეურნეო ხელშეკრულებები როგორც გაერთიანების, ასევე თავისი სახელით (სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების 22-ე პუნქტი)¹⁰. სამშენებლო სამონტაჟო საწარმოო გაერთიანება კი მასში შემავალ საწარმოო ერთეულს უფლებას ანიჭებს სსრ კავშირის სახბანკში გახსნილ ჰქონდეს ანგარიშსწორების ანგარიშიც (სამშენებლო-სამონტაჟო საწარმოო გაერთიანების დებულების მე-11 და 23-ე პუნქტები)¹¹ და ეს მაშინ, როდესაც ამ გაერთიანებებში შემავალი საწარმოო ერთეულები არ სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით.

გაერთიანებაში შემავალ საწარმოო ერთეულს კანონმდებელი ანიჭებს მთელ რიგ უფლებებს, რითაც იგი ემსგავსება სოციალისტურ სამრეწველო საწარმოს (იხ. საწარმოო გაერთიანების კომბინატის შესახებ დებულების 23-ე, 43, 46-49, 51 ნაწ. მე-2, 52-ე, 60 ნაწ. მე-2, 93, III „ბ“, „მ“ და სხვ. პუნქტები). გარდა ამისა, საწარმოო ერთეული შრომის სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტია, რაც გამოიძინარეობს დებულების 23-24-ე; 111-ე, 117-ე და 122-ე პუნქტებიდან.

საწარმოო ერთეული აღჭურვილია მთელი რიგი უფლებებით წარმოების მართვის, დაგეგმვის, წარმოების ორგანიზაციის, შრომისა და ხელფასის დარგში (ეს უფლებამოსილება აისახა დებულების 47-ე, 48-ე; 51-52-ე, მე-6ა, 93-ე, 122-ე და 124-ე პუნქტებში).

¹⁰ СП СССР, 1976, № 2, ст. 13.

¹¹ «Экономическая газета», Еженедельник, 1979, № 49.

საწარმოო ერთეული იქმნება გაერთიანების ზემდგომი ორგანოების მიერ, გაერთიანების გენერალური დირექტორის (დირექტორის) წარდგენით და არა თვით გაერთიანების მიერ. ხოლო სოციალისტური საწარმოო სხვაგვარად ქმნის მასში შემავალ საამქროებს. გარდა ამისა, საამქროები მონაწილეობენ მხოლოდ სოციალისტური საწარმოს ფარგლებში, არიან ყოველთვის შიდასამეურნეო ანგარიშზე. საწარმოო ერთეული კი მონაწილეობს გაერთიანების ფარგლებს გარეთ ურთიერთობებშიც და ამ ურთიერთობათა წრეს განსაზღვრავს გაერთიანების ადმინისტრაცია. ამასთან საწარმოო ერთეული მოქმედებს არა შიდასამეურნეო ანგარიშის საფუძველზე (როგორც საამქრო), არამედ აქვს სამეურნეო ანგარიშის დამოუკიდებელი ფორმა — საწარმოო ერთეულის სამეურნეო ანგარიში. საწარმოო ერთეული ხშირად თვითონ წარმოადგენს რთულ ფორმირებას, როდესაც მის შემადგენლობაში შედიან საამქროები, უბნები, განყოფილებები. ამის გამო საწარმოო ერთეულის სამართლებრივი ბუნების გაიგივება საამქროს სამართლებრივ ბუნებასთან მცდარია.

შეცდომაა საწარმოო ერთეულის გაიგივება ფილიალთანაც. ჯერ ერთი, თვით კანონმდებელი დებულებაში საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) შესახებ არ სარგებლობს ტერმინით „ფილიალი“ და ხმარობს სახელწოდებას „საწარმოო ერთეული“. მეორე, ფილიალისა და საწარმოო ერთეულის შექმნის წესი განსხვავებულია. მესამე, საწარმოს ფილიალი სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში გამოდის ყოველთვის იურიდიული პირის მინდობილობის საფუძველზე, ეს მაშინ, როდესაც საწარმოო ერთეული ამგვარ ურთიერთობებში მონაწილეობს შესაბამისი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე (დებულების მე-II პუნქტი). ამგვარ ხელშეკრულებათა სახეებს განსაზღვრავს გაერთიანება. მეოთხე, თუ ფილიალი გამოეყოფა იურიდიულ პირს იურიდიული პირი არ წყვეტს თავის არსებობას, მაგრამ თუ საწარმოო გაერთიანებას გამოაკლდება ყველა მისი საწარმოო ერთეული, მაშინ საწარმოო გაერთიანება ლიკვიდირებულად ჩაითვლება¹².

იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა საწარმოო გაერთიანების შიგნით წარმოშობილ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ხასიათის გამო.

ავტორთა ერთი ჯგუფი. სამართლებრივ ურთიერთობებად მიიჩნევს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოო ერთეულებსა და საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაციას შორის და მათ შიკუთვნებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებს. აქედან გამოაქვთ დასკვნა, რომ ამ ურთიერთობათა მოწესრიგება ხდება ადმინისტრაციულ სამართლებრივი ნორმებით. რაც შეეხება საწარმოო ერთეულის ურთიერთობებს სხვა საწარმოო ერთეულებთან გაერთიანების ფარგლებში, მათ არა აქვთ სასაქონლო ფულადი ურთიერთობების ბუნება, არ რეგულირდებიან სამოქალაქო სამართლის ნორმებით, ვინაიდან წარმოადგენენ მხოლოდ ორგანიზაციული ტექნიკური ხასიათის ურთიერთობებს. ამასთან ეს ჰორიზონტალური ურთიერთობებია და ვერ მო-

¹² Коняев Н. И. Правосубъектность хозяйственных систем и подразделений хозяйственных органов. «Сов. государство и право», 1978, № 2, с. 94.

წესრიგდება ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმებით¹³. ეს შეხედულება ვერ ხსნის საწარმოო ერთეულის ბუნებას, საწარმოო ერთეულის მონაწილეობა ჰორიზონტალურ (საწარმოო გაერთიანების ფარგლებში სხვა საწარმოო ერთეულებთან და გაერთიანების გარეთ მისი სახელით სასაქონლო ფულად ურთიერთობაში) და ვერტიკალურ (საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაციასთან) ურთიერთობაში ატარებს სამეურნეო სამართლებრივ ხასიათს, თავისი შინაარსით ეს ურთიერთობები ქმნიან ერთიანი საგეგმო ღირებულებითი ხასიათის სამეურნეო ურთიერთობათა სახეებს, რომლებსაც ახასიათებთ საერთო გვარეობითი და სპეციფიკური ნიშნები¹⁴.

საწარმოო გაერთიანებაში (კომბინატში) შიდასამეურნეო ურთიერთობათა წესებს, საწარმოო ერთეულთა მიერ თავიანთი ვალდებულებების დარღვევით გამოწვეულ შედეგებს, ასევე გაერთიანებაში შიდასამეურნეო დავების გადაჭრის წესებს განსაზღვრავს გაერთიანება (დებულების მე-12 პუნქტი). ამ უფლებების განხორციელებისას გაერთიანება ემყარება გაერთიანების მთავარი ამოცანების შესრულებას.

ყოველმა ცალკეულმა გაერთიანებამ უნდა შეიმუშაოს ლოკალური ხასიათის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მოაწესრიგებენ შიდასამეურნეო ურთიერთობებს გაერთიანების ფარგლებში. მაგალითად: საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“ საწარმოო ერთეულებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს „შეკვეთა“, რომელსაც ერთი საწარმოო ერთეული აძლევს მეორეს. მისი მიღება შესასრულებლად საფუძველია სახელშეკრულებო ხასიათის ვალდებულებათა ურთიერთობების წარმოშობისათვის, ხოლო თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენში“ ამ ურთიერთობათა წარმოშობის საფუძველი საწარმოო ერთეულებს შორის არის ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი „შეთანხმება“, როგორც „შეკვეთა“, ასევე „შეთანხმება“ წარმოადგენს ლოკალური კანონმდებლობის მაგალითებს.

საწარმოო გაერთიანებებში მომქმედი ლოკალური ნორმების ძირითადი დებულებები აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ (СП СССР, 1973, № 7, ст. 31).

ლოკალურ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ საწარმოო ერთეულთა სამეურნეო საქმიანობას, აქვთ დამახასიათებელი თავისებურებანი, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ასეთი ხასიათის ნორმებისაგან¹⁵.

¹³ Халфина Р. О. Общее учение о правоотношений. М., 1974, с. 277—278; Яковлева В. Ф., Собчак А. А. Указ. соч., с. 91; Рахмилович В. А., Правовые формы хозяйственного расчета в промышленных объединениях, М., 1978, с. 88.

¹⁴ დაწვრილებით ამ ურთიერთობების შესახებ იხ.: Теоретические проблемы хозяйственного права, М., 1975, с. 6, 103; Цимерман Ю. С. Хозяйственные связи производственных единиц, «Хозяйство и право», 1977, № 9, с. 37; его же, Производственная единица правовое положение и хозяйственные связи, с. 15—22; 70—108; Лаптев В. В. Хозяйственное право и совершенствование руководства экономикой, «Сов. государство и право», 1982, № 4, с. 22—25.

¹⁵ Эффективность законодательства о производственном объединении в промышленности. М., «Наука», 1981, с. 39; Хозяйственное право (коллективная монография), М., «Наука», 1983, с. 72.

სამწუხაროდ გაერთიანება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში საწარმოო ერთეული (ყოველთვის ეფექტიანად) ვერ იყენებს უფლებას ლოკალური კანონმდებლობის შემუშავების დარგში. გაერთიანების იურიდიულ სამსახურს ყოველთვის არა აქვს სათანადო გამოცდილება და არ ძალუძს ეფექტიანი ლოკალური ნორმების შექმნა. ამ მხრივ მათ უნდა დაეხმარონ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები, რომელთა დაქვემდებარებაშიც არიან საწარმოო გაერთიანებები. მისაბამია ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის საკავშირო სამინისტროს იურიდიული განყოფილება, რომელმაც მიიღო მთელი რიგი მეთოდოლოგიური მითითებანი საწარმოო გაერთიანების, საწარმოო ერთეულის სამართლებრივი ბუნების განსასაზღვრელად. მიღებულია დებულება საწარმოო ერთეულის შესახებ. სამეურნეო ანგარიშის შესახებ და სხვ. სასურველია ყველა სამინისტრომ, უწყებამ შეიმუშაოს ზოგადი მეთოდოლოგიური დებულებანი საწარმოო ერთეულის შესახებ. საწარმოო გაერთიანების (და საწარმოო ერთეულის) სამეურნეო ანგარიშის შესახებ მხოლოდ ამ ნორმატიული მასალის საფუძველზე შემუშავებული და დახვეწილი ნორმატიული მასალა იქნება ეფექტიანი და სარგებლობის მომტანი. მეთოდოლოგიური აქტები ყოველთვის სარეკომენდაციო ხასიათისა უნდა იყოს.

II იურიდიულ ლიტერატურაში უკვე გამოთქმული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ საწარმოო ერთეულებს ჰქონდეთ უფლება საწარმოო გაერთიანების ფარგლებს გარეთ გამოვიდნენ თავისი სახელით სასაქონლო ფულად ურთიერთობაში¹⁶. დაიცვან თავიანთი დარღვეული უფლებები არბიტრაჟსა და სასამართლოში¹⁷.

საწარმოო ერთეულის კომპეტენციის შემდგომი ზრდა მართებულად უნდა ჩაითვალოს, გარდა აღნიშნულისა, საწარმოო ერთეულს უფლება უნდა მიენიჭოს სახბანკის ორგანიზაციაში ჰქონდეს არა მარტო მიმდინარე, არამედ ანგარიშსწორების ანგარიშიც¹⁸. ასეთი უფლებებით უნდა აღიჭურვონ ის ერთეულები, რომლებიც ტერიტორიულად დაცილებული არიან მეთაურ საწარმოს და არსებობს ეკონომიკური, სამეურნეო აუცილებლობა (იგულისხმება საწარმოო ერთეულის როლი საწარმოო გაერთიანებაში, რომელიც უნდა იყოს მსკვილი საწარმოო რთული შინაგანი სტრუქტურებით). ასეთ საწარმოო ერთეულს უნდა ჰქონდეს მეტი უფლებები შრომის სამართლებრივ სფეროშიც¹⁹.

¹⁶ Лаптев В. В. Правовое положение объединений в промышленности, «Сов. государство и право», 1973, № 8, с. 13.

¹⁷ Правовое положение производственного объединения (комбината) и производственных единиц, «Сов. государство и право», 1974, № 9, с. 66.

¹⁸ ჩვენი აზრით, კანონმდებელიც ამ ორიენტაციას იზიარებს. დაწვრილებით იხ. დებულება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შესახებ (პუნქტი 22ე) და დებულება სამშენებლო-სამონტაჟო საწარმოო გაერთიანების შესახებ (პუნქტი 23-ე) უფლებების ასეთი გაფართოება ასეთი ერთეულებისათვის შეესაბამება დღევანდელი მობილურობის მოთხოვნას.

¹⁹ საწარმოო ერთეულთა შრომის სამართლებრივი უფლებამოსილების შესახებ დაწვრილებით იხ. Липень Л. Совершенствовать правовое регулирование заработной платы в производственной единице объединения, «Хозяйство и право», 1981, № 5, с. 42—45.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაციის უფლებამოსილების ცენტრალიზაციის შესახებ.

(Липень Л., Руководителям объединений — широкие права «Хозяйство и право», 1982, № 7, с. 57—61). მაგრამ ადმინისტრირების მეთოდის ფართო გამოყენება, საწარმოო ერთეულთა უფლებამოსილების შეკვეცა არ პასუხობს დღევანდელი მობილურობის მოთხოვნას.

რაც შეეხება გაერთიანების ფარგლებში სამეურნეო დაგების გადაჭრის წესის დადგენას, ეს მთლიანად გაერთიანების უფლებამოსილებაა, მათი განზილვა გაერთიანების იურიდიული სამსახურის კომპეტენციაა. ამ მიზნით, საწარმოო გაერთიანებაში შემოღებული უნდა იყოს და მოქმედებდეს შიდასამეურნეო უთანხმოებათა განხილვის წესები (საკმაოდ ეფექტიანად წყვეტენ სამეურნეო დავებს საწარმო ერთეულებს შორის თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანებას „ჩარხმშენებლის“ იურიდიულ განყოფილებაში ლოკალური ნორმების საფუძველზე) და დებულება გაერთიანების შიდასამეურნეო ანგარიშის შესახებ. განსაკუთრებით რთული საქმეები შეიძლება განიხილოს კომპეტენტურმა კომისიამ, რომელსაც გამოყოფს გაერთიანების ადმინისტრაცია, მაგრამ მასში აუცილებელია იურიდიული სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობა²⁰.

საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) დებულებაში მკაფიოდ არ არის ასახული მეთაური ქარხნის სტატუსი. არ არის სამართლებრივად რეგლამენტირებული „შერეული“ ტიპის გაერთიანებაში შემავალ საწარმოო ერთეულთა ურთიერთობა, სადაც ერთ-ერთ მხარეს შენარჩუნებული აქვს ეკონომიკური და იურიდიული დამოუკიდებლობა (სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით)

რაც შეეხება საწარმოო ერთეულის სამართლებრივ მდგომარეობას, შეიძლება დავასკვნათ, რომ მის სამეურნეო საქმიანობას აწესრიგებს სამეურნეო სამართლებრივი ნორმები. საწარმოო ერთეული სამეურნეო სამართლის სრულ უფლებიან სუბიექტად გვევლინება. საწარმოო ერთეული არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და ამ მიზეზით არ არის სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

საწარმოო ერთეულს თავისი სამართლებრივი ბუნებით შუალედური ადგილი უკავია სოციალისტურ საწარმოსა და საამქროს შორის. მომავალში მისი კომპეტენცია კიდევ უფრო გაიზრდება და დაუახლოვდება იურიდიული პირის სტატუსს.

საწარმოო ერთეული წარმომადგენს ორგანიზებულად გაფორმებული და თავისი სახელწოდების მქონე საწარმოო გაერთიანების შინაგან სტრუქტურულ ქვეგანაყოფს, რომელიც მასზე გაბიროვნებულ შიდასამეურნეო მართვის უფლებით ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას როგორც წარმოების შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სახალხო სამეურნეო გეგმის შესაბამისად, თავისი კოლექტივის ძალებით, მეთაური საწარმოს ხელმძღვანელობით და სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

საწარმოო ერთეულის სამეურნეო საქმიანობას აწესრიგებენ სამეურნეო კანონმდებლობის ნორმები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლოკალურ ნორმატიულ აქტებს, ამ აქტების სრულყოფა ხელს შეუწყობს საწარმოო ერთეულის სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას და საბოლოო ანგარიშით საწარმოო გაერთიანების ეფექტიანობის ამაღლებას.

²⁰ ამ მხრივ მასაბაძია რსდსრ საავტომობილო წარმოების სამინისტროს მეთოდოლოგიური ნორმატიული მასალა და მის საფუძველზე მოქმედი ლოკალური საკანონმდებლო აქტები, იხ.: Кондратьев В. Хозяйственные споры в производственном объединении «Хозяство

კანონის ენის შესახებ*

მ. ბაგრატიანი

მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის დროს, როდესაც სამართლის თითქმის ყველა დარგის კანონმდებლობის თავმოყრა-გადახალისებანდა ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნებთან მისდაგება ხდება, კანონის ენის სკაიოხსაც უნდა დაეუთმოთ ჯეროვანი ყურადღება. მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა, რაც ამ რეფორმის უმთავრეს მიზანს შეადგენს, წარმოუდგენელია კანონის ენობრივი ქსოვილის სრულქმნა-დახვეწის გარეშე. საკანონმდებლო ტექსტი ისეთივე ნათელი და ყველასათვის გასაგები ენით უნდა იწერებოდეს, როგორც ფართო მკითხველისათვის განკუთვნილი ლიტერატურული ნაწარმოები. ამის გამო მოქმედი კანონმდებლობა ენობრივი თვალსაზრისითაც უეჭველად უნდა გადაისინჯოს.

როდესაც თანამედროვე ქართული საკანონმდებლო ენის ავ-კარგზე ვლ-ბარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარე-მოება. საქმე ის არის, რომ საკანონმდებლო ტექსტები ჩვენში რუსული ენიდან ითარგმნება. როგორც ცნობილია, საკავშირო კანონმდებლობა, რომელიც მთე-ლი კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებს, რუსულად იწერება და მხოლოდ შემ-დეგ ითარგმნება მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე. ამიტომ ჩვენ აქ ითარგმ-ნას, რაღა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით. მაგრამ საქმეს უფრო მეტად ის ართულებს, რომ რესპუბლიკური კანონპროექტებიც ჩვენში, სამწუხაროდ, რუ-სულ ენაზე იწერება. ამის გამოა, რომ ქართული საკანონმდებლო ტექსტების ენა ითარგმნისას ხშირად მახინჯდება და კარგავს თავის ბუნებრივ იერს. ამ ტექსტებში შეიმჩნევა ჩვენი ენისათვის შეუფერებელი, უცხო გამოთქმები და კონსტრუქციები. ბევრ შემთხვევაში ისინი მოკლებულია იმ სიზუსტეს, სი-ხადეს და ლაკონიურობას, რაც საკანონმდებლო ტექსტის აუცილებელ ნიშან-თვისებად ითვლება. ეს გარემოება გვახალღებულებს საგულდაგულოდ შევ-ხოთ საკანონმდებლო ტექსტების ითარგმნის საკითხებს.

ამ ოციოდე წლის წინათ დამუშავდა და გამოიცა „რუსულ-ქართული იუ-რიდიული ტერმინოლოგია“, რომელმაც დიდი სამსახური გაგვიწია და დღესაც გვეხმარება სამართლებრივი ტექსტების რუსულიდან ქართულად ითარგმნის საქმეში. ამ ლექსიკონის წყალობით ბევრ რუსულ სამართლებრივ ტერმინს მოეძებნა ზუსტი ქართული შესატყვისი, ბევრი მათგანი მტკიცედ დამკვიდრდა პრესის ფურცლებზე და გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში. თუმცა ვერც იმას უარყოფთ, რომ ნაწილი ამ ტერმინებისა ჯერ კიდევ მოითხოვა დაზუსტე-ბას და დახვეწას. შემოდის ახალი ტერმინებიც, რომლებსაც შესაფერისი ქარ-თული შესატყვისები უნდა მოეძებნოს.

* იბეჭდება განხილვის წესით.

მაგრამ საკანონმდებლო ტექსტის თარგმნისას მართო ტერმინოლოგიით ფონს ვერ გავალთ. ტერმინოლოგიური საკითხების განხილვასთან ერთად, საჭიროა სამართლებრივი აქტების ენისა და სტილის გაანალიზებაც. ამიტომ ჩვენც სწორედ ამ საკითხების გაშუქებით გვინდა დავიწყოთ ჩვენი მსჯელობა.

სამართლებრივი აქტის თარგმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის თავისებურება, რომელიც ამ სახის ტექსტს ახლავს თან, სხვა სახის ლიტერატურული ტექსტისაგან განსხვავებით. მაგალითად, იმის გამო, რომ ნორმატიული აქტი ქცევის სავალდებულო წესს ადგენს, აზრობრივად ის ზედმიწევნით სიზუსტით უნდა ითარგმნოს. აქ არ შეიძლება დავუშვათ ეგრეთ წოდებული თავისუფალი თარგმანის პრინციპი, რადგანაც კანონმდებლის ნება, მისი აზრი ისევე ზუსტად უნდა გადმოიციეს თარგმნილ ტექსტში, როგორც ის დედანშია გამოხატული. უნდა ითქვას, რომ ეს დებულება ძირითადად მიღებულია და გამოიყენება საკანონმდებლო აქტების მთარგმნელობითს პრაქტიკაში, ამიტომაც ამ მხრივ ჩვენ მთარგმნელთა მიმართ საყვედური თითქმის არ გვეთქმის.

სამაგიეროდ, თარგმნის დროს თავს იჩენს ხოლმე მეორე უკიდურესობა. საქმე ის გახლავთ, რომ ხშირად აზრის სიზუსტით გადმოთარგმნა გაიგივებულია აზრის გარეგანი გამომსახველობითი ფორმების, კანონის ენობრივი ქსოვილის ზუსტად გადმოტანასთან რუსულიდან ქართულ ენაზე, რაც კანონის ქართულ ტექსტს უკარგავს მისთვის დამახასიათებელ სისხარტეს და ლაკონიურობას და საბოლოოდ ქართულისათვის არაბუნებრივი, უცხო კონსტრუქციების დამკვიდრებისაკენ მივყავართ. მაგალითად, რამდენად გამართლებულია სტილი „სტიკურად რუსულ საკანონმდებლო ტექსტებში გამოყენებული „о“ („ინ“) სიტყვის ქართულად ყველა შემთხვევაში გადმოთარგმნა, რასაც ასე ხშირად ვხვდებით ჩვენა მთარგმნელობით პრაქტიკაში? ავიღოთ თუნდაც ისეთი საკანონმდებლო აქტის სათაური, როგორიც არის «Закон Грузинской ССР о судоустройстве Грузинской ССР», ან კიდევ: «Закон Грузинской ССР об охране и использовании памятников истории и культуры». ქართულად ეს ტექსტები ასე ითარგმნა: „საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ და „საქართველოს სსრ კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“. შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მსგავსი ნიმუში: „კანონი... ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“, „კანონი... ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, „კანონი... სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ და სხვ. აქ სიტყვა „შესახებ“, რომელსაც რუსული „ин“ შეესატყვისება, სრულიად ზედმეტია. ზედმეტსიტყვაობას კი კანონმდებელი ყოველთვის უნდა ერიდებოდეს. ჩემი აზრით, ეს ტექსტები ქართულად ასე უნდა ვთარგმნოთ: „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონი“, „საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების კანონი“, „სახელმწიფო ნოტარიატის კანონი“ და ასე შემდეგ.

თუმცა სამართლებრივი აქტების მთარგმნელობითი პრაქტიკა ამ პრინციპს ბოლომდე მაინც ვერ იცავს და „о“-ს თარგმნაზე ზოგჯერ უარს ამბობს ხოლმე. მაგალითად, «Кодекс законов о труде Грузинской ССР» სრულიად მართებულად ასე გადმოქართულდა: „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი“, «Кодекс о браке и семье Грузинской ССР» — „საქართველოს სსრ სა-

ქორწინო და საოჯახო კოდექსი¹, «Кодекс Грузинской ССР о недрах» — „საქართველოს სსრ წიაღის კოდექსი“.

როგორც მკითხველი ხედავს, ზემოთ მოყვანილი ტექსტების ქართულ თარგმანებში რუსული „О“-ს ჩამოცილება შედარებით იოლად მოხდა და ქართულ ტექსტში მას რაიმე შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. შედეგად მივიღეთ ის, რომ ქართული ტექსტი გაიმართა, იგი უფრო ლაკონიური, სხარტი და მოქნილი გახდა.

მაგრამ ზოგჯერ „О“-ს ჩამოცილება ქართულ თარგმანში ასე იოლად ვერ ხერხდება, რაც მთარგმნელისაგან მეტ დაკვირვებასა და ოსტატობას მოითხოვს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილების სათაური «О судебном приговоре» ქართულად ასეა თარგმნილი: „სასამართლო განაჩენის შესახებ“. ვფიქრობ, რომ ეს არ არის ბუნებრივი ქართული. „შესახებ“ სიტყვა აქაც ზედმეტი ჩანს. ალბათ ეს სათაური ქართულად ასე უნდა ითარგმნოს: „სასამართლო განაჩენისათვის“. ასეთი თარგმანი, ჩემი აზრით, ქართული ენის ბუნებასაც შეეფერება და გამოსაყენებლადაც უფრო მოსახერხებელია.

ამ პრინციპით თარგმნა განსაკუთრებით გაგვიადვილებს საქმეს ისეთი ტექსტების გადმოქართულების დროს, სადაც სიტყვა „О“ ერთსა და იმავე წინადადებაში ორჯერ არის გამოყენებული. მაგალითად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წ. 4 დეკემბრის № 10 დადგენილების სათაურია «О практике применения Судами Основ законодательства Союза ССР и Союзных республик о браке и семье, ხოლო № 11 დადგენილებისა — «О практике применения судами законодательства о необходимой обороне». ეს ტექსტები ქართულად ასე ითარგმნა: „სასამართლოების მიერ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების პრაქტიკის თაობაზე“ და „სასამართლოების მიერ აუცილებელი მოგერიების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის თაობაზე“.

როგორც ჩანს, მთარგმნელს ერთგვარი უხერხულობა უგრძვნია წინადადებაში „შესახებ“ სიტყვის ორჯერ გამეორების გამო და იძულებული გამხდარა ერთ შემთხვევაში ის „თაობაზე“ სიტყვით შეეცვალა. თუმცა ამ სიანხლეს ტექსტის სტილისტიკური გაუმჯობესება მაინც არ მოჰყოლია. ქართული ტექსტის სტილი აქ კვლავ დამძიმებულია. ჩემი აზრით, სასურველი იყო ეს სათაურებიც ასე გვეთარგმნა: „სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების პრაქტიკისათვის“ და „სასამართლოების მიერ აუცილებელი მოგერიების კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკისათვის“.

მაგრამ ქართული საკანონმდებლო ტექსტები მართა „შესახებ“ სიტყვით როდია აჭრელებული. თითქმის ვერ შეხვდები ტექსტს, სადაც სიტყვა „პირი“ არ იყოს სრულიად უადგილოდ ჩართული. გადახედეთ, მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ან თუნდაც შრომა-გასწორების თუ სხვა კოდექსს, რათა დარწმუნდეთ, რამდენად სწორია ეს საყვედური. სანიმუშოდ მოვიყვან საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის VIII თავს, რომ-

¹ მართალია ამ კოდექსის სათაური სწორად ითარგმნა, ტექსტში ეს პრინციპი კვლავ დარღვეულია (იხ. კოდექსის მეორე თავის სათაური, მე-7 მუხლი და სხვ.).

ლის სათაურია „თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომა“. ამ თავში სულ ექვსი მუხლია მოქცეული. აი მათი სათაურებიც: „თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში“ (მ 50), „თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომის პირობები“ (მ. 51), „თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომის ანაზღაურება“ (მ. 52), „დაქვითვები თავისუფლებააღკვეთილ პირთა ხელფასიდან“ (მ 53), „თავისუფლებააღკვეთილ პირთა სამუშაოში ჩაბმა შრომის ანაზღაურების გარეშე“ (მ. 54) და თავისუფლებააღკვეთილ პირთა საპენსიო უზრუნველყოფა შრომის უნარიანობის დაკარგვასთან დაკავშირებით“ (მ 55).

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ძალიან ხშირად გვხვდება გამოთქმა „საქმეში მონაწილე პირები“, რომელიც რუსული „участствующие в деле лица“-დან არის კალკირებული. (იხ. მ. მ. 141, 149, 155, 156, 161, 162, 163, 164 და სხვ.).

რამდენად მოიგებდა თარგმანი, მთარგმნელს რომ დედნის უაზრო ერთგულებაზე უარი ეთქვა და ეს ტექსტები ბუნებრივი ქართულით გადმოეღო? სიტყვა „პირი“ ხომ აქ სრულიად ზედმეტია? მით უმეტეს, რომ ამ სიტყვების ამოღებით კანონის აზრი არ იცვლება. უმჯობესი არ იყო, მაგალითად, დაგვეწერა: „თავისუფლებააღკვეთილის შრომა“, „თავისუფლებააღკვეთილის ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში“ (მ 50), „თავისუფლებააღკვეთილის შრომის პირობები“ (მ. 51) და ასე შემდეგ.² „საქმეში მონაწილე პირები“ კი არა, „საქმის მონაწილე“ და სხვ. განა „თავისუფლებააღკვეთილი“ ან „საქმის მონაწილე“ „პირს“ თავისთავად არ გულისხმობს?

ქართულ საკანონმდებლო ტექსტებზე უბრალო დაკვირვებითაც კი ადვილად შეიმჩნევა კიდევ ერთი ისეთი სახის ნაკლი, რომლის აღმოფხვრა. ჩემი აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ ტექსტების სტილისტიკურ დახვეწას და უფრო ადვილად წასაკითხს გახდიდა მათ. ეს გახლავთ მრავლობითი ფორმის ძალზე ხშირად და უადგილო ადგილას გამოყენება, რაც ასევე დედნისადმი მთარგმნელის ბრმა ერთგულების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ოცდამეხუთმეტე თავის სათაურია „საქმის წარმოება საზედამხედველო ინსტანციაში“, მაშინ, როცა კოდექსის II კარის სათაური ასეა თარგმნილი: „საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში“. ვითომ რა დაშავდებოდა საქმე, რომ „საქმის წარმოება“ გვეხმარა? ამავე კოდექსის მეხუთმეტე თავის სათაურია „სამოქალაქო საქმეების მომზადება სასამართლო გარეგნისათვის“. აქაც ასევე „სამოქალაქო საქმის მომზადება...“ უნდა დაგვეწერა და სხვ.

«О статусе народных депутатов...» ასეა თარგმნილი: „სახალხო დეპუტატთა სტატუსის...“ დეპუტატის სტატუსის კანონის მე-2 მუხლის სათაურია: „დეპუტატთა მონაწილეობა საბჭოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში“, მე-3 მუხლისა — „კანონმდებლობა დეპუტატების უფლებამოსილების შესახებ“ და სხვ. მაგრამ იმავე კანონის მე-4 მუხლის სათაურში ვკითხულობთ: „დეპუტატის უფლებამოსილების ვადა“. ხომ შეგვეძლო,

² საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში გვხვდება ზოგიერთი ტერმინოლოგიური შეუსაბამობაც. მაგალითად, იქ რუსული „взыскание“-ს ქართულ შესატყვისად „სახდელის“ ნაცვლად გამოყენებულია „სასჯელი“ (იხ. მ. მ. 68, 69).

რომ მხოლოდითი ფორმა „დეპუტატის“ წინა ორ მუხლშიც გვეხმარა? ცხადია, შეგვეძლოს. მაგალითად: „დეპუტატის მონაწილეობა საბჭოს მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში“ და „დეპუტატის უფლებამოსილების კანონმდებლობა“. გარეგნულად აქ „დეპუტატი“ და „საბჭო“ მხოლოდითი ფორმით არის მოცემული, თუმცა არსებითად ისინი მრავლობითს გულისხმობენ და, მაშასადამე, კანონის აზრი არ იცვლება. ასეთი გახლავთ ქართული ენის ბუნება, რასაც უეჭველად ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ცხადია, გვხვდება შემთხვევებიც, როცა სიტყვა მარტო არსებითად, შინაგანად კი არა, გარეგნული სახითაც მრავლობითს ფორმას მოითხოვს. მაგალითად, «Советский Союз» აუცილებლად „საბჭოების კავშირად“ ანუ „საბჭოთა კავშირად“ უნდა ითარგმნოს, ხოლო «Совет народных депутатов» — „სახალხო დეპუტატთა საბჭოდ“ და სხვ. ერთი სიტყვით, თარგმნისას საკითხს შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ.

ქართულ საკანონმდებლო ტექსტებში ენის არამომჭირნეობითი გამოყენების სხვაგვარი შემთხვევებიც შეიმჩნევა. მაგალითად, საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 45-ე მუხლის სათაური «Свидания осужденных к лишению свободы с родственниками и иными лицами» ასეა გადმოქართულებული: „იმ პირთა პაემანი ნათესავეებთან და სხვა პირებთან, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა“. როგორც ვხედავთ, თარგმნილი ტექსტი თორმეტი სიტყვისაგან შედგება. ვფიქრობთ, შეიძლებოდა ამ აზრის უფრო მოკლედ და ბუნებრივი ქართულით გადმოცემა: „თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პაემანი ნათესავეებთან და სხვებთან“. ტექსტი აქ უფრო გამარტივდა, სიტყვების რაოდენობაც თორმეტიდან ექვსამდე შემცირდა ისე, რომ კანონის აზრი არ შეცვლილა. საგულისხმოა, რომ ამ კოდექსის 41-ე მუხლში გვხვდება მარჯვე ტერმინი „თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული“. მაგრამ ეს ტერმინი შემდეგ არც ზემოთ დასახელებულ და არც სხვა მუხლში აღარ არის გამოყენებული. ავიღოთ თუნდაც შრომა-გასწორების კოდექსის 49-ე მუხლი: „იმ პირთა საჩივრები, განცხადებები და წერილები, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა“. ან კიდევ „იმ პირთა დღის განაწესი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა“ (მ. 42, იხ. აგრეთვე მმ 46, 47, 48). ეს ტექსტებიც ქართულად ასე გაიმართებოდა: „თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის საჩივარი, განცხადება და წერილი“, „თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის დღის განაწესი“ და სხვ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიცია ასეთია: „გაუპატიურება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ასეთივე დანაშაული“. საოცარი დამთხვევაა. ამ თერთმეტი სიტყვიანი წინადადების ადგილას თავისუფლად შეგვეძლოს ჩაკვესვა ორსიტყვიანი წინადადება ისე, რომ კანონის აზრი იოტისოდენადაც არ შეიცვლებოდა. აი ისიც: „გაუპატიურება განმეორებით“. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორი არაეკონომიურია, როგორი არალაკონიურია თანამედროვე ქართული საკანონმდებლო ენა და რა დიდი მეცადინეობა გვმართებს მომავალში ამ საქმის მეცნიერულ ნიადაგზე დასაყენებლად.

კანონის ტექსტი, როგორც ითქვა, თავისებურია და განსხვავდება სხვა სახის ლიტერატურული ტექსტისაგან, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იგი

დაცილებული იყოს ხალხის სალაპარაკო ენას. კანონის აზრი ისეთივე ბუნებრივი ქართულით უნდა იყოს გამოხატული, როგორც ხალხი ლაპარაკობს. კანცელარულობა, სტილის გართულება მხოლოდ აწინებს კანონის ტექსტს. კანონმდებელი შეიძლება დაგვარად უნდა ერიდოს არქაიზმებისა და ნეოლოგიზმების, აგრეთვე ხალხის ფართო ფენებისათვის გაუგებარი უცხო ტერმინების ხმარებას.

არქაიზმებს რომ ვახსენებთ ამით ცხადია, მიზნად არ ვისახავთ ყველა ძველი წარმოშობის ტერმინის არქაულობის ნიშნით დაწუნებას. ცნობილია, რომ ქართული სამართლებრივი ენა უძველესია და ბევრ ტერმინს, რომლებიც ამჟამად გამოიყენება, შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. ისეთი ტერმინები, როგორც არის ვთქვათ, განჩინება, განაჩენი სისხლის სამართალი და მრავალი სხვა, ძველი დროიდან მომდინარეობს. მაგრამ მათ ჩვენ არქაულობას ვერ დავწამებთ. საქმე ის არის, რომ ეს ტერმინები ხალხის მეხსიერებამ დღემდე შემოინახა და სალაპარაკო ენაში კიდევ გვხვდება. არქაულობის ნიშნით შეიძლება დავიწუნოთ ისეთი ტერმინი ან სიტყვა, რომელიც ენაში აღარ იხმარება და ხალხს იგი ამდენად დავიწყებული აქვს, რომ მისი საკანონმდებლო ტექსტში ან საერთოდ სამართლებრივ ენაში შემოტანა მიზანშეწონილი არ არის. მაგალითად, „რუსულ-ქართულმა იურიდიულმა ტერმინოლოგიამ «длящиеся преступления»-ს ქართულ შესატყვისად შემოგვთავაზა „მყოვარი დანაშაული“. „მყოვარი“ არქაიზმია და თანაც იმდენად მოძველებული, რომ ის პრაქტიკულად ხალხის სალაპარაკო ენაში აღარ იხმარება. ამიტომ იგი ვერ შეცვლის თანამედროვე ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებულ „დენად დანაშაულს“, რომელიც «длящиеся преступления»-ს შესატყვისად გამოიყენება. ამ აზრის სისწორეს ისიც მოწმობს, რომ ხსენებული ლექსიკონის გამოცემის ოცწლიან პერიოდში ამ ტერმინმა ოდნავადაც ვერ მოიკიდა ფეხი ვერც ლიტერატურაში და ვერც სასამართლო პრაქტიკაში.

რასაკვირველია, ის გარემოება, რომ სიტყვამ ან გამოთქმამ ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი ლიტერატურაში, თავისთავად როდი ნიშნავს მის უვარგისობას. მაგალითად, იმავე „რუსულ-ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ «определить, определять» რამდენიმე მნიშვნელობით არის თარგმნილი. ერთ-ერთ მნიშვნელობად სრულიად მართებულად მიჩნეულია „განჩინება (განაჩინება)“. როგორც ცნობილია, საკასაციო განჩინებაში რუსულად წერენ «Судебная коллегия... определила». ქართულად ამის შესატყვისად ვხმარობთ გამოთქმას „სასამართლო კოლეგიამ... დაადგინა“, მაშინ, როცა შეგვეძლო დავწვეწერა: „სასამართლო კოლეგიამ... განაჩინა“. ეს გამოთქმა ზუსტად ემთხვევა რუსულ ტერმინს (определение — განჩინება, определила — განაჩინა). ამავე დროს, ის წმინდა ქართული გამოთქმაც არის. მართალია, სიტყვა „განაჩინა“, „განაჩინე“ დღეს სასაუბრო ენაში აღარ გვხვდება, მაგრამ ეს არ გამოიწვევს გაუგებრობას, რადგანაც მისი ბირია „განჩინება“, რომელიც უკვე დამკვიდრებულია სალაპარაკო ენაში. ამიტომ, ვფიქრობ, კარგი იქნება, თუკი ჩვენი სასამართლო საბუთების ენა კვლავ აითვისებს ამ ძველებურ ქართულ გამოთქმას.

არქაიზმებთან ერთად, სამართლებრივ აქტებში უნდა ვერიდოთ ისეთი კუთხური სიტყვების ხმარებას, რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ გამოიყენება. სამართლის ენა ადვილად გასაგები უნდა იყოს ყოველი კუთხის მცხოვრებისათვის. ამ თვალსაზრისით ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია „რუსულ-ქართუ-

ლი იურიდიული ტერმინოლოგიის“ მიერ „ревность“-ის შესატყვისად შემოთავაზებული „ლაზო“. „Ревновать“—„ლაზობა“ („ილაზებს“), „ревнивый“—„ლაზოიანი“ — ვკითხულობთ ხსენებულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში. „ლაზო“, „ლაზობა“ კუთხური გამოთქმაა, რომელიც შურის, გაღიზიანების, ხანაც უნარიანობის მნიშვნელობით იხმარება კახურ დიალექტში, კერძოდ, ქიზიყურ კილოში (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 7) და საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთათვის სრულიად უცნობია. სამაგიეროდ, „ревность“-ის ქართულ შესატყვისად დღეს საყოველთაოდ მიღებულია „ეჭვიანობა“. ამიტომ მიზანშეუწონელია ამ ტერმინზე უარის თქმა და მისი შეცვლა სალიტერატურო ენისათვის უცნობი კუთხური გამოთქმით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი ხმარობს ტერმინს „საცხოვრებელი სადგომი“. ეს ტერმინი ერთ ხანს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც იყო მიღებული (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე, 151-ე და 152-ე მუხლების 1980 წ. 21 მაისის რედაქცია). მაგრამ „საცხოვრებელი სადგომი“ ხალხის სალაპარაკო ენისათვის უცნობია. აბა, ვის უნახავს კაცი, რომელსაც აღმასკომში განცხადება შეეტანოს, „საცხოვრებელი სადგომის“ მიღების რიგში ჩამაყენეთ ან „საცხოვრებელი სადგომი მომეცითო. მე ვფიქრობ, არც გაქურდულს უჩივლია სადმე, წუხელ „საცხოვრებელი სადგომი“ გამიქურდესო. ამიტომ სწორად მოიქცა კანონმდებელი, როცა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, „საცხოვრებელი სადგომის“ ნაცვლად შემოიტანა ტერმინი „ბინა“ (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე, 151-ე და 152-ე მუხლების 1982 წლის 29 დეკემბრის რედაქცია).

„საცხოვრებელი სადგომი“ ორსიტყვიანი ტერმინია. ის კიდევ შეიძლებოდა გვეხმარა, ენაში რომ მისი შემცვლელი არ გავგაჩნდეს. ამავე დროს, სწორედ ამ ორსიტყვიანობის გამო იგი მოუქნელიც არის და ყველა შემთხვევაში ვერ გამოიყენება. ალბათ ამიტომაც არის, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ვერ იცავს თანმიმდევრობას და იძულებულია შემოიტანოს ტერმინები „ბინის ქირა“ (მმ 298, 299, 315, 326), „საბინაო-სამშენებლო კოლექტივი“ (მ 104), „საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი“ (მმ 35, 106, 293, 299) და სხვ. ამჟამად მიღებულია საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი. ამის გამო, ვფიქრობ, აჯობებდა საბოლოოდ დაგვეკვიდრებინა ტერმინი „ბინა“.

არსებითად იგივე შეიძლება ითქვას ტერმინ „კრედიტორის“ მიმართაც. „კრედიტორი“ უცხო სიტყვაა და ხალხის სალაპარაკო ენაში არ გვხვდება. უცხო ტერმინიც კანონმდებელმა მხოლოდ მაშინ უნდა იხმაროს, როცა მისი შემცვლელი ენაში არ მოგვეპოვება. ქართულში კი გვაქვს „კრედიტორის“ შესატყვისი ზუსტი ტერმინი „მევალე“. მაგრამ რატომღაც მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაში ამ სიტყვის ხსენებაც კი არ არის. უმჯობესი არ იყო, მაგალითად, „კრედიტორისა“ და „მოვალის“ ნაცვლად, მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაში რომ გვხვდება (იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მმ 206-212 და სხვ.), „მევალე“ და „მოვალე“ გამოგვეყენებინა? „მევალის“ უპირატესობა, „კრედიტორთან“ შედარებით, ის არის, რომ იგი ისევე, როგორც „მოვალე“, ქართულ ფუძეზეა აღმოცენებული და ყველასათვის ადვილად გასაგებია. „მევალე“, ამავე დროს, წმინდა სამართლებრივი ტერმინია და დიდი ხანია დამკვიდრებულია ქართულ სალაპარაკო ენაში. მაგალითად, ხალ-

ხი ამბობს: კარის ზღურბლზე ნუ ჩამოჯდები, მევალე მოგვადგებაო. სულხან-საბას „სიტყვის კონაშიც“ ვკითხულობთ: „მევალე — ვალის გამცემი“. ამრიგად, ამ სიტყვის მთლიანად გამოდევნა სამართლებრივი ენიდან და მის ნაცვლად უცხოური „კრედიტორის“ დამკვიდრება, ჩემი აზრით, გაუმართლებელი უნდა იყოს.

პროფ. გ. შალამბერიძე სამართლიანად იწუხებს ისეთ გრამატიკულ ფორმას, როგორც არის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი, საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი და სხვ. მისი აზრით, მსაზღვრელი სიტყვა ეკონომიკური ნათესაობით ბრუნვაში უნდა იყოს მოცემული, რადგანაც იგი გამოხატავს კუთვნილებას. ამიტომ უნდა დაიწეროს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი კი არა, საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტი და ასე შემდეგ. მაგრამ როგორც კი საქმე იურადაულ ფაკულტეტზე მიდგა, აქ უკვე შეუძლებელი გახდა მსაზღვრელი სიტყვის (იურიდიული) ნათესაობით ბრუნვაში დაყენება. მაგალითად, ხომ ვერ ვიტყვით: იურიდიის ფაკულტეტი. ამის სანაცვლოდ ავტორი გვთავაზობს ტერმინს — იურისპრუდენციის ფაკულტეტი.³ გრამატიკულად აქ მართლაც ყველაფერი რიგზეა. როცა ვკითხულობთ, რომელი ფაკულტეტი დაამთავრა მავანმა, ვერ ვუპასუხებთ, იურიდიული-თქო, რადგან კითხვა „რომელი“ სწორედ ნათესაობით ბრუნვას მოათხოვს (იურისპრუდენციის). მაგრამ იურისპრუდენციის ნაცვლად, ჩემი აზრით, აჯობებდა გვეხმარა სამართალმცოდნეობა. თუკი არსებობს სახელწოდება ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, რატომ არ შეიძლება ვთქვათ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მიუხედავად, რომ ამჟამად ბევრგან არის გახსნილი სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტები. ქართულ ტერმინს ყოველთვის უპირატესობა უნდა მიეცეს უცხო ტერმინის მიმართ.

რუსული ენიდან ტერმინოლოგიის თარგმნის დროს ზოგჯერ გვხვდება პირდაპირი კალკირების შემთხვევებიც, როცა ვერ არის ხოლმე მიგნებული ტერმინის ბუნებრივი ქართული შესატყვისი. მაგალითად, „протест в порядке надзора“ თარგმნილია ასე: „პროტესტი ზედამხედველობის წესით“ (იხ. „რუსული ქართული იურიდიული ტერმინოლოგია“, სასამართლოს საბუთების ბლანკები), ნაცვლად იმისა, რომ გვეთარგმნა — „საზედამხედველო პროტესტი“. „Рыноловство“-ს ქართულ შესატყვისად ხან „თევზჭერა“ გამოიყენება, ხანაც „მეთევზეობა“. მონკავშირის წესდების 57-ე მუხლში ვკითხულობთ: „მოხალისე თევზმჭერთა სექციის წევრებს ეძლევათ მოხალისე თევზმჭერთა ბილეთი“, ხოლო წესდების 61-ე მუხლში წერია: „მონადირის ბილეთი ცვლის მოხალისე თევზმჭერის ბილეთს“. „მოხალისე თევზმჭერი“ კალკია. ბუნებრივი ქართული უნდა ითქვას ასე: „მოხალისე მეთევზე“, „მეთევზეთა სექცია“ და სხვ.

„Прекращение дела производством“-ის შესატყვისად დამკვიდრებულია „საქმის შეწყვეტა წარმოებით“, მაშინ, როცა შეგვეძლო ქართულად გვეთქვა: „საქმის წარმოების შეწყვეტა“, „საქმის წარმოება შეწყდა“ და სხვ.

პირდაპირ კალკირებულია ქართულად აგრეთვე ისეთი რუსული ტერმინები, როგორც არის, მაგალითად, „составление заведомо ложных документов“ („შეგნებულად ყალბი დოკუმენტების შედგენა“), „заведомо ложный данос“ („შეგნებულად ცრუ დასმენა“) და „заведомо ложное показани-

³ იხ. გ. შალამბერიძე, „ნუ შევზღუდავთ ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციებს!“ გაზ. „სახალხო განათლება“, 1981 წ. № 75.

ние“ („შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა“, იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე, 196-ე და 197-ე მმ). „რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია“ „заведомо ложный донос“-ის და „заведомо ложное показание“-ს ქართულ შესატყვისად გვთავაზობს „შეგნებულად ცრუ დასმენას“ და „შეგნებულად ცრუ ჩვენებას“, ხოლო „ложный данос“-ისა და „ложное показание“-ს შესატყვისად — „ცრუ დასმენას“ და „ცრუ ჩვენებას“. მაგრამ მე ვფიქრობ, აქ სხვადასხვა კი არა, ერთი და იგივე ტერმინებთან გვაქვს საქმე. ქართული „სიყალბე“ და „სიცრუე“ შეგნების მომენტს თავისთავად გულისხმობენ. არ არსებობს შეუგნებელი „სიცრუე“ და „სიყალბე“. ვინც ცრუობს, მან წინასწარ იცის, რომ სხვა ადამიანს ან დაწესებულებას არასწორ ცნობას აწვდის. სწორედ შეგნების ნიშნით განსხვავდება „სიცრუე“ და „სიყალბე“ შეცდომისაგან. ამიტომ ეს ტერმინები ქართულად ასე უნდა ვთარგმნოთ: „ყალბი დოკუმენტის შედგენა“, „ცრუ დასმენა“, „ცრუ ჩვენება“.

„Особое мнение судьи“-ს შესატყვისად ქართულად საყოველთაოდ მიღებულია „მოსამართლის განსაკუთრებული აზრი“. ჩემი ღრმა რწმენით, ამ შემთხვევაში „განსაკუთრებული“ ვერ ასახავს ზუსტად „особое“-ს მნიშვნელობას. ეს ტერმინი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს რომელიმე მოსამართლეს რაღაც არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული აზრი გამოეთქვას, მაშინ, როცა მასში სულ სხვა რამ არის ნაგულგები. აქ ძირითადი ის არის, რომ განსახილველ საკითხზე ერთ მოსამართლეს დანარჩენი ორისაგან განსხვავებული აზრი შეექმნა. ამიტომ, ვფიქრობ, ხსენებული ტერმინი ასე უნდა ვთარგმნოთ: „მოსამართლის განსხვავებული აზრი“. „განსაკუთრებული“ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა. იგი გულისხმობს თავისებურს, სხვებისაგან გამოირჩეულს, საგანგებოს, არაჩვეულებრივს და სხვ. „განსხვავებული“ კი ერთმნიშვნელოვანია. ამის გამო ის უფრო ზუსტად ასახავს „особое“-ს შინაარსს. რაც უფრო ზუსტი და ერთმნიშვნელოვანია ტერმინი, მით უფრო კარგად შეასრულებს ის თავის პრაქტიკულ დანიშნულებას.

იგივე უნდა ითქვას „особое производство“-ს მიმართაც, რომელიც ქართულად „განსაკუთრებულ წარმოებად“ ითარგმნება. „особое“ არც აქ უნდა ნიშნავდეს „განსაკუთრებულს“. ცნობილია, რომ ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოება რაიმე განსაკუთრებული კი არა, უბრალოდ საერთო სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებული წესით ხდება. სწორედ ამ განსხვავებაზეა აქ გადატანილი მთელი დატვირთვა და ტერმინშიც ეს ნიშანი უნდა გამოიკვეთოს ნათლად. ერთი სიტყვით, „особое производство“ ქართულად „განსხვავებულ წარმოებად“ უნდა ვთარგმნოთ.

რუსულ „осужденный“-ის შესატყვისად ქართულ საკანონმდებლო ტექსტებში დიდი ხანია დამკვიდრდა „მსჯავრდებული“, რომელიც თავის დროზე „რუსულ-ქართულმა იურიდიულმა ტერმინოლოგიამ“ შემოგვთავაზა. მაგრამ უკანასკნელ წლებში ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გავლენით პრესის ფურცლებზე, „მსჯავრდებულის“ ნაცვლად კვლავ გავრცელდა ერთ დროს უკუგდებული „მსჯავრდადებული“. „მსჯავრდადება“, „მსჯავრდადებული“ და არა „მსჯავრდებული“, — ვკითხულობთ ხსენებულ ლექსიკონში (იხ. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, ვ. თოფურის რედაქციით, თბ., 1968).

მე მაინც მგონია, რომ ამ საკითხში „რუსულ-ქართული იურიდიული ტერ-

მინოლოგიის“ პოზიცია უფრო სწორი უნდა იყოს. „მსჯავრდადება“, „მსჯავრდადებული“ არალაკონიურია, არაეკონომიურია. „მსჯავრდება“, „მსჯავრდებული“ უფრო თავისუფლად, სხარტად წარმოითქმება. ვფიქრობ, ეს ფორმა არც გრამატიკულად უნდა იყოს მიუღებელი. თუკი დასახელებული ორთოგრაფიული ლექსიკონი სწორად მიიჩნევს სიტყვა ბრალიდან „ბრალდებისა“ და „ბრალდების“ და არა „ბრალდადებისა“ და „ბრალდადების“ წარმოევბას, რა გვიშლის ხელს, რომ მსჯავრიდან „მსჯავრდება“ და „მსჯავრდებული“ ვაწარმოოთ? იგივე ორთოგრაფიული ლექსიკონი სწორ ფორმად თვლის აგრეთვე „სჯულდებას“ და არ უჭერს მხარს „სჯულდადებას“.

ბოლო წლებში პრესის ფურცლებზე გავრცელდა ტერმინი „правоохранительные органы“, რომელიც ქართულად სხვადასხვა დაწერილობით ითარგმნება. ზოგჯერ წერენ „სამართალდამცავ ორგანოებს“, ზოგჯერ კი — „სამართალდამცველ ორგანოებს“. ჩემი აზრით, არც ერთი ეს დაწერილობა სწორი არ უნდა იყოს. სიტყვა „правоохранительный“ მსაზღვრელია და ის ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს. ქართულად ეს ტერმინი, ვფიქრობ, ასე უნდა ვთარგმნოთ: „სამართალდამცვის ორგანო“.

ზოგჯერ ესა თუ ის ქართული სამართლებრივი ტერმინი არ გამოხატავს იმ შინაარსს, რომელიც ამ ტერმინის რუსულ შესატყვისშია ჩაქსოვილი. მაგალითად, „Верховный совет“ და „Верховный суд“ ქართულად „უმაღლეს საბჭოდ“ და „უმაღლეს სასამართლოდ“ არის თარგმნილი. „უმაღლესი“ ვერ გამოხატავს „верховный“-ს შინაარსს. „უმაღლესი“ რუსულ „высший“-ის შეესაბამება, ხოლო „Верховный“ ქართულად „უზენაესია“. ამ პოზიციას იცავს „რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია“. ამ საკითხზე აზრთა სრული ერთიანობაა სამართალმცოდნეთა და ენათმეცნიერთა შორის. ჩვენი პრესის ფურცლებზე ალბათ არც ერთი სამართლებრივი ტერმინის დასაცავად იმდენი არ დაწერილა, რამდენიც „უზენაესის“ გამო ითქვა. თუმცა ჯერჯერობით ეს თქმა რჩება ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა და მას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუცია ჩვენი სახელმწიფოს ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოებს კვლავინდებურად უწოდებს „უმაღლეს საბჭოს“ და „უმაღლეს სასამართლოს“ („Высший совет“ და Высший суд“), მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ამ ორგანოებს სხვა სახელს, კერძოდ, „უზენაეს საბჭოს“ და „უზენაეს სასამართლოს“ („Верховный совет“ და „Верховный суд“) არქმევს. მოკავშირე რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტს არა აქვს უფლება შეუცვალოს ამ ორგანოებს ის სახელწოდება, რომელიც მათ უმაღლესი დონის საკავშირო აქტმა, კერძოდ, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ დაარქვა.

ქართული საკანონმდებლო ენის ირგვლივ მეცნიერული სჯა-ბაასი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, რადგანაც ბევრი საკითხი ჯერ კიდევ შესწავლას, დაზუსტებას და საბოლოო გადაწყვეტას საჭიროებს. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ტერმინოლოგიურ სიძნელესა და საკანონმდებლო ტექსტების სტილისტიკურ თავისებურებაზე გავამახვილეთ ყურადღება. იმედია, რომ ეს სჯა-ბაასი კვლავ გაგრძელდება და ამ საკითხზე იურისტებთან ერთად, ენის სპეციალისტებიც იტყვიან თავიანთ ავტორიტეტულ სიტყვას. რაც მთავარია, საკითხით ალბათ დაინტერესდებიან შესაბამისი სახელმწიფო უწყებანიც და განახორციელებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ქართული სამართლებრივი ენის შემდგომი სრულყოფისა და დანეწვის მიზნით.



საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბინათმშენო კოლეგია

სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლის ნ. ბურდულის მიერ მართლმ-საჯულებიან განხორციელებისას სოციალისტური პანონიერების უხეშად დარღვევის შესახებ

კოლეგიის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლე ნ. ბურდული მართლმსაჯულების განხორციელებისას უხეშად არღვევს სოციალისტური კანონიერების მოთხოვნებს. შემოწმებამ ცხადყო, რომ არის ფაქტები მისი თავმჯდომარეობით უკანონო განაჩენების დადგენისა.

ასე, მაგალითად, ნ. ბურდული თავმჯდომარეობით სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ, 1982 წლის 16 ივლისის განაჩენით, სამართალში სამჭერ ნაძყოფი ა. ბილანიშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 1 წლის და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. პროცესზე მონაწილე სახელმწიფო ბრალდებულმა ი. მხარგრძელმა მოითხოვა დამნაშავეს შეფარდებოდა ორი წლის თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა და არ გაპროტესტებულა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1982 წლის 14 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი შედამხედველობის წესით და განაჩენი, როგორც აშკარად უკანონო და ლმობიერი, გაუქმდა.

საბრალდებო დასკვნით ა. ბილანიშვილს ბრალი ედებოდა იმაში, რომ 1980 წლის ივნისში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით სოფელ კაჭრეთის კინოთეატრის ეზოდან ფარულად გაატაცა მოქ. ვ. გეთიაშვილის კუთვნილი ავტომანქანა „უიგული“, რომელიც გადაძალდა და მის დასაბრუნებლად ვ. გეთიაშვილს გამოსძალდა 1500 მანეთი.

მანვე, 1980 წლის სექტემბერში საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდიდან იმავე მიზნით გაიტაცა მოქ. დ. მეკოშვილის კუთვნილი ავტომანქანა „უიგული“, რომლის დაბრუნებაში მფლობელს გამოსძალდა 5000 მანეთი.

წინასწარმა გამოძიებამ ა. ბილანიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული სწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის II ნაწილით და 154-ე მუხლის II ნაწილით. წინასწარ გამოძიებაში ა. ბილანიშვილმა მთლიანად აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული და განმარტა, რომ ვ. გეთიაშვილის და დ. მეკოშვილის კუთვნილი ავტომანქანები მან გაიტაცა მფლობელებსათვის ფულის გამოძალვის მიზნით და ამისათვის მიიღო 4500 მანეთი. ბილანიშვილი წინასწარ გამოძიებაში ხუთჯერ არის დაკითხული და ყველა შემთხვევაში აღიარებს დანაშაულს. ორჯერ ჩვენება მისი ხელით არის დაწერილი.

დაზარალებულმა ვ. გეთიაშვილმა და დ. მეკოშვილმა წინასწარ გამოძიებაში რამდენჯერმე დაადასტურეს ა. ბილანიშვილის მიერ მათი კუთვნილი ავტომანქანების ფარულად გატაცება და მანქანების დაბრუნების მიზნით 4500 მანეთის გამოძალვა ა. ბილანიშვილის მიერ. იგივე დაადასტურეს მოწმეებმა გ. გეთიაშვილმა და მ. მეკოშვილმა.

სახალხო სასამართლომ სამსჯავრო გამოძიება ჩატარა ტენდენციურად. კერძოდ, მხედველობაში არ მიიღო წინასწარი გამოძიების მიერ შეტყობილი მტკიცებულებანი, დაზარალებულთა თანამხედვერული ჩვენებანი, ა. ბილანიშვილის აღიარება და მოწმეთა ჩვენებები. კრიტიკულად არ შეაფასა სამართალში მიცემულისა და დაზარალებულების მიერ სამსჯავრო გადაწყვეტის მიზეზი. სასამართლომ უყრყმანოდ გაიზიარა სამსჯავრო გამოძიებისას სამართალში მიცემულის და დაზარალებულების შეცვლილი ჩვენებები, რომლითაც უარყოფილ იქნა საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის II ნაწილით და სსკ 154-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებანი. მტკიცებულებათა ზერელე და არაობიქტური შეფასების შედეგად ა. ბილანიშვილს უსაფუძვლოდ მოუხსნა ავტომანქანების ფარულად გატაცება და მათ დასაბ

რუნებლად ფულის გამოძალდა. იგი დამნაშავედ ცნო მხოლოდ საქართველოს სსრ სსკ 242-ე მუხლის I ნაწილით (ავტომანქანის გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით), რისთვისაც შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

საქმის ბელაბალი განხილვისას ლაგოდნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1988 წლის 10 იანვრის განაჩენით ა. ბილანიშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის II ნაწილით და ერთი წლისა და 6 თვის ნაცვლად მიესაჯა 4 წლის თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ლაგოდნას რაიონის სახალხო სასამართლომ გ. წიქარიძის თავმჯდომარეობით დაადგინა კერძო განჩინება დაზარალებულების ვ. გეთიაშვილის და დ. მეკოშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1989 წლის I სესიის განჩინებით, განაჩენი ა. ბილანიშვილის მიმართ დატოვებულია უცვლელად.

5. ბურდულმა დაუშვა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევა აგრეთვე ნ. პაპუაშვილის და ი. დუგლაძის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

ღენიშნული საქმე გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოსაგან აცილების წესით ხელნაღის რაიონის სახალხო სასამართლოში მიღებულია 1980 წლის 18 ნოემბერს და განსახილველად გადაეცა მოსამართლე ნ. ბურდულს, 27 ნოემბერს და 10 დეკემბერს პროცესი არ გაიმართა დაზარალებულთა და მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, საქმის არსებითად განხილვა დაიწყო 1980 წლის 22 დეკემბერს.

1980 წლის 28 დეკემბრის სამსჯავრო სხდომაზე სასამართლო კამათის დროს, მას შემდეგ, რაც მოხმენილ იქნა სახელმწიფო ბრალდებლის, დაზარალებულების და სამართალში მიცემული ნ. პაპუაშვილის ინტერესების დამცველის სიტყვები, სამართალში მიცემული ი. დუგლაძის ინტერესების დამცველმა იშუამდგომლა საქმის განხილვის გადადება 24 დეკემბრისათვის, ვითომდა დაცივით სიტყვის მოსამზადებლად. 24 დეკემბერს სხდომაზე არ გამოცხადდა სამართალში მიცემული ი. დუგლაძე (მისი შვილის განმარტებით, ავადმყოფობის გამო). 25 დეკემბერს პროკურორმა ი. მხარგრძელმა იშუამდგომლა ი. დუგლაძის ავადმყოფობის გამო მას საქმის გამოყოფა და წარმოებით შეჩერება, ხოლო ნ. პაპუაშვილის მიმართ — საქმის დამთავრება. შუამდგომლობას მხარი დაუჭირა პროცესის მონაწილე ყველა პირმა და სასამართლოს შემადგენლობამ სათათბირო ოთახში განჩინებით დაადგინა შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

იმავე დღის განაჩენით ნ. პაპუაშვილი დამნაშავედ ცნეს საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით (პროკურორმა იშუამდგომლა მისთვის თავისუფლების აღკვეთის შეუფარდება 5 წლის ვადით).

განაჩენი საქაცაიო წესით არ გასაჩივრებულა და არ გაპროტესტებულა.

5. პაპუაშვილს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ 1980 წლის 2 მარტს, მართავდა რა „უიგულის“ მარკის მსუბუქ ავტომანქანას, პირადი გამორჩენის მიზნით, ტექნიკურად გაუმართავ ანტომანქანით გადაჰყავდა 8 მგზავრი. სოფელ კაქრეთის მახლობლად, კახეთის ცენტრალურ ტრასაზე მოძრაობის დროს, დაახლოებით 160 მეტრის დაშორებით შენიშნა გზის მარცხენა ნაპირიდან მის სავალ ნაწილში მოძრაობის წესების დარღვევით გადმოსული ავტომანქანა „კოლგა“, რომელსაც ი. დუგლაძე მართავდა. მან დროულად არ მიიღო ზომები სიჩქარის შესამცირებლად და მანქანის გასაჩერებლად, რის გამოც ავტომანქანა გზის მარცხენა ნაწილში დააჯახა დუგლაძის ავტომანქანას. ამის შედეგად გარდაიცვალა „უიგული“ მქდომი ერთი მგზავრი, ერთს მიაღდა სხეულის მიძიმე ხარისხის დაზიანება, ხოლო ერთმა მგზავრმა და თვით მძღოლებმა ნ. პაპუაშვილმა და ი. დუგლაძემ მიიღეს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ქანწრთელობის მოშლით.

1981 წლის 28 მაისს სასამართლომ ნ. ბურდულის თავმჯდომარეობით განიხილა ი. დუგლაძის სისხლის სამართლის საქმე. სახელმწიფო ბრალდებელმა ი. მხარგრძელმა სასამართლო კამათის დროს იშუამდგომლა გამამართლებელი განაჩენის დადგენა. სასამართლომ 1981 წლის 28 მაისის განაჩენით ი. დუგლაძე გამართლა მიიჩნია რა, რომ ი. დუგლაძეს არ დაურღვევია გზებზე მოძრაობის წესები.

განაჩენი არ გასაჩივრებულად და არ გაპროტესტებულა.

ი. დუგლაძეს საბრალდებო დასკვნით ბრალი ედება მასში, რომ 1980 წლის 2 მარტს, ნოვრალი მართავდა ავტომანქანა „ვოლგას“. უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები, რაც გამოიხატა შემდეგით: კახეთის გზატკეცილზე სოფელ კაპრეთთან ავტომანქანის მოხვევა დაიწყო ისე, რომ ჩართული არ ჰქონდა მოხვევის მაჩვენებელი შუქნიშანი, არ გაატარა თავის გზაზე მიმავალი ავტომანქანა, რომელსაც ნ. პაპუაშვილი მართავდა, რის შედეგად ნ. პაპუაშვილის გზის სავალ ნაწილზე ი. დუგლაძის ავტომანქანას დაეჯახა ნ. პაპუაშვილის ავტომანქანა.

წინასწარი და სამსჯავრო გამოძიებისას შეგროვილ მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის გარეშე, გამამართლებელ განაჩენს საფუძვლად დაედო შემდეგი მოსაზრებანი: სასამართლომ სარწმუნოდ არ ჩათვალა საავადმყოფოს მორიგი ექიმის ს. დავითაშვილის მიერ გაცემული ცნობა შემთხვევის დროს ი. დუგლაძის მძიმე ხარისხის ნახვამ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ. უგულვებელყო მსჯავრდებულ ნ. პაპუაშვილის ყველა ჩვენება, რომლითაც დანაშაულის ჩადენაში ამხელდა ი. დუგლაძეს. აგრეთვე მოწმე ბ. სამხარაძის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება იმის შესახებ, რომ შემთხვევის მომენტში ავტომანქანა „ვოლგას“ ჩართული არ ჰქონდა მოხვევის მაჩვენებელი შუქნიშანი, უკრიტიკოდ გაიზიარა ი. დუგლაძის განმარტება იმის შესახებ, რომ გზაზე მოხვევის დაწყების დროს ჩაუჭრა ავტომანქანის ძრავა და ამიტომ ვერ შეძლო მოხვევის დაშვება ნ. პაპუაშვილის „უზღუდლის“ მოახლოებამდე. აგრეთვე უგულვებელყო წინასწარ გამოძიებაში ჩატარებული რამდენიმე ექსპერტიზის დასკვნა და ექსპერტის ჩვენება სამსჯავრო გამოძიების დროს, რომლითაც დადასტურებული იყო ი. დუგლაძის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა. ამრიგად, წინასწარ გამოძიებაში შეგროვილი მასალების საპირისპიროდ კანონის უხეში დარღვევით დადგენილ იქნა აშკარად უკანონო განაჩენი.

საგულისხმოა, რომ სასამართლომ 1980 წლის 25 დეკემბრის სსდომაზე დაუშვა კანონის მოთხოვნათა აშკარა უგულვებელყოფა, როცა განაჩენი დაადგინა ნ. პაპუაშვილის მიმართ, ხოლო ი. დუგლაძის მიმართ საქმის წარმოება შეაჩერა ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ, დანაშაულის ჩადენას ერთმანეთს აბრალდებდნენ და ბრალეულობის საკითხის ცალ-ცალკე გადაწყვეტა პროცესუალურად შეუძლებელი იყო. ამასთან, აშკარად ლმობიერია განაჩენი ნ. პაპუაშვილის მიმართ. იგი დამნაშავედ არის ცნობილი ქმედებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ერთი პირის სიკვდილი, ერთი პირის მძიმედ დაზიანება და სამი პირის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოშლით.

ნ. ბურდულის მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას დაშვებული კანონიერების უხეში დარღვევები, საქმისადმი მის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასთან ერთად გარკვეულ წილად განპირობებულია სასამართლოს თავმჯდომარის ი. კოჭლამაზაშვილის მიერ კონტროლის შესუსტებით. კერძოდ, მან მხედველობაში არ მიიღო, რომ ნ. ბურდული ანაღდ იყო არჩეული მოსამართლედ და მოითხოვდა განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას.


სისხლის სამართლის ამ საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოში შექმნილი არ არის. კოლეგიური შემოქმედებითი ატმოსფერო, რაც გამორიცხავდა სოციალისტური კანონიერების დარღვევის უხეშ უაქტებს. ეს გარემოება აყენებს სასამართლო საქმიანობის კომპლექსური შემოწმების საჭიროებას, რაც ეგვიპის შესაბამისად ვათ ვალისწინებულია მიმდინარე წელს. შემოწმებამ გამოავლინა აგრეთვე, რომ არის სისხლის სამართლის საქმეთა არასწორი აცილების ფაქტები. მაგალითად, ა. ბილანიშვილის სისხლის სამართლის საქმე უნდა განეხილა გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს. სასამართლო პროცესზე ა. ბილანიშვილის დამცველმა დააყენა საკითხი საქმის გ. მათიაშვილისათვის ჩამოცილების შესახებ, რდგან დაზარალებული ე. გეთიაშვილი აღმოჩნდა მოსამართლე გ. მათიაშვილის ნათესავი. სახალხო მსაჯულებმა განჩინებით არასწორად აცილეს საქმე არა მარტო გ. მათიაშვილს, არამედ მთლიანად გურჯაანის სახალხო სასამართლოს.

რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომაც კრიტიკულად არ შეაფასა საქმის აცილების კანონიერება და საქმე განსახილველად გადაეგზავნა სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს. ანალოგიურად, არასწორად იქნა აცილებული გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ი. დუგლაძის და ნ. პაპუაშვილის სისხლის სამართლის საქმე.

მართლმსაჯულების განხორციელების საქმენი სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევისათვის, რამაც განაპირობა ა. ბილანიშვილის, ნ. პაპუაშვილისა და ი. დუგლაძის მიმართ უკანონო, ლმობიერი და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, დაისვა საკითხი სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლის ნ. ბურდულის ვადამდე გამოწვევის შესახებ.



პირველი ქართველი იურიდიული უნივერსიტეტი



გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ქუთაისის ქუჩებში გამოჩნდა ევროპულად ჩაცმული ინტელიგენტი. მაშინდელი ტრადიციის წინააღმდეგ. იგი ერთადერთი კაცი იყო, რომელიც წვერულვაშგაპარსული დადიოდა ქალაქში. ეს პიროვნება გახლდათ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული გიორგი ლოლობერიძე. იგი იყო არა მარტო პირველი ქართველი იურისტი, არამედ პირველი ქართველი უმაღლესდამთავრებული ქუთაისის გუბერნიაში.

გიორგი ბესარიონის ძე ლოლობერიძე დაიბადა ქუთაისში 1832 წელს, ქუთაისის ეპისკოპოსის კანცელარიის მდივნის ოჯახში. თვით ბესარიონს დამთავრებული ჰქონდა ამიერკავკასიაში პირველი საშუალო სასწავლებლის — თბილისის სასულიერო სემინარიის (გაიხსნა 1817 წელს) კურსი.

ბესარიონსა და მის მეუღლეს ეკატერინეს, რგანელი (ჭიათურა) აბაშიძის ასულს, ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, იმ დროის ქუთაისში ერთ-ერთი სანიმუშო ოჯახი ჰყავდათ. მათ ხუთი შვილი აღზარდეს: გიორგი, ნიკო, დავითი, ანა და სიმონი — ხუთივე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. გიორგი უფროსი იყო და-ძმებს შორის. როცა გიორგი სასკოლო ასაკისა გახდა, ქუთაისში ყველაზე მაღალი ტიპის სასწავლებელი იყო ოთხკლასიანი სკოლა. ამიტომ მშობლებმა იგი სასწავლად თბილისის გიმნაზიაში გაგზავნეს, რომლის დამთავრების შემდეგ გიორგი მოსკოვს მიემგზავრება და უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შედის.

მოსკოვის უნივერსიტეტის კურსი გიორგი ლოლობერიძემ 1856 წელს დაასრულა და 24 წლისა მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. იმდროინდელ ქუთაისში და მთელ დასავლეთ საქართველოში გიორგი ლოლობერიძე ერთადერთი უმაღლესდამთავრებული ქართველი ყოფილა. მოსკოვიდან ჩამოსულ გიორგი ლოლობერიძეს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში დაუწყია მუშაობა საქმის მწარმოებლად. შემდეგ ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწედ დაუნიშნავეს, საიდანაც იგი რაჭის მაზრის უფროსად დაუწინაურებიათ. რაჭაში მას ადგილობრივი მოსახლეობის დიდი პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია.

„იგი იცვნეს მფარველად უსამართლობით დაჩაგრულთა, გულითად მრჩეველად ყოველს საქმეში, მიუდგომელ და გამბედავ მამხილებლად მათდა, ვინც გაკადნიერდებოდა და სხვისი პირადი არსებობისა და თავისუფლების დარღვევას განიზრახავდა“, — წერდა მის შესახებ ამ ოთხმოცი წლის წინათ ცნობილი იურისტი მოსე ქიქოძე, რომელიც პირადად იცნობდა გიორგი ლოლობერიძეს.

გასული საუკუნის სამოციან წლებში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების დღის წესრიგში დადგა ბატონყმობის გაუქმება, გიორგი რაჭიდან კვლავ ქუთაისში გადმოჰყავთ. იგი მუშაობს ქუთაისის მაშინდელი გენერალ-გუბერნატორის დიმიტრი ივანეს ძე სივატოსლავ-მირსკისთან საგანგებო მინდობილობაა მოხელედ. სხვათა შორის, იქვე იმავე თანამდებობაზე 1864 წლის მაისიდან ნოემბრამდე მუშაობდა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე. დიას, ილია და გიორგი ლოლობერიძე ერთსა და იმავე თანამდებობაზე არიან და ერთა დმოღვაწეობენ მთელ ექვს თვეს.

რადგან ეს ფაქტი ვახსენეთ, არ შეიძლება არ შევეხოთ გიორგი ლოლობერიძისა და მისი ოჯახის სხვა წევრების ურთიერთობას ილია ჭავჭავაძესთან.

ილიასთან ახლო მეგობრული და იდეური ურთიერთობა ჰქონდათ გიორგის ძმას ნიკოს და ბიძაშვილს ბესარიონ ლოლობერიძეებს, ისინი ილიასთან სწავლობდნენ ჯერ თბილისის გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნიკო და ბესარიონ ლოლობერიძეები თბილისში მოღვაწეობენ. როცა ილია „საქართველოს მოამბის“ გამოცემისათვის მზადებას შეუდგა, ცნობილია, რომ მას ძველი თაობის წარმომადგენლები ეწინააღმდეგებოდნენ. ამ დროს ახალგაზრდა ილიას მხარში ამოუდგა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობა. ძველი თაობის წარმომადგენლები, მათ შორის ყურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე შიშს შეეპყრო: „საქართველოს მოამბის“ გამოცემით მათი ყურნალი ისედაც მცირერიცხოვანი ხელისმომსწერები რომ ჰყავდა, ვაითუ დახურულიყო. ი. კერესელიძე ქუთაისში მყოფ რაფიელ ერისთავს 1862 წლის 27 დეკემბერს სწერდა: „ეგების ქუთაისში ნაცნობი ვინმე გყავდეს დაგვენმაროს ხელის მომწერთათვის, ილია მამაცაშვილი და გიორგი ლოლობერიძე ქუთაისში ძლიერა ცდილობენ ჭავჭავაძისათვის, ჯერჯერობით ორმოცი თუმანი გამოუგზავნიათ, ისეთი ხმა დაუგდეს ჭავჭავაძის პარტიამ იმათ მომავალ ყურნალს, რომ ჩვენი ყურნალი სულ გაიყინა“...

ასეთი თანაგრძნობით და პრაქტიკული დახმარების განევით შეეგება გიორგი ლოლობერიძე ახალი თაობის, კერძოდ, ილიას მიერ გადადგმულ ნაბიჯს — ახალი ყურნალის გამოცემას.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე იძულებულია სახელმწიფო სამსახურში შევიდეს. ამის გამო იგი ტოვებს თბილისს და სამუშაოდ და საცხოვრებლად ქ. ქუთაისში გადადის. ზემოთ ითქვა, რომ ილიას და გიორგი ლოლობერიძეს ერთ დანესებულებაში მოუხდათ მუშაობა ერთსა და იმავე თანამდებობაზე. ამით როდი ამოიწურებოდა მათი ურთიერთობა. ქუთაისში ჩასულ ილიას ძალზე გასჭირვებია

შესაფერისი საცხოვრებელი ბინის შოვნა. იგი ქუთაისიდან მეუღლეს წერილით ატყობინებს: ღმერთმა უშველოს ლოლობერიძეს, ამან დაგვითმი ბინაო. მართლაც, ილიას 1864 წელს მეუღლე ჩაუყვანია ქუთაისში და გიორგი ლოლობერიძის მამისეულ სახლში უცხოვრია. ცხადია, ეს არ იყო გამონვეული მართოდენ სტუმართმოყვარეობით, არამედ იგი დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისადმი იდეური თანადგომითა და თანამოაზრეობითაც იყო განპირობებული.

1868 წელს გიორგი ლოლობერიძე დაინიშნა ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ: მომდევნო წელს თავს ანებებს სამსახურს და გარდაცვლებამდე, თითქმის საუკუნის მესამედი, ნაფიცი ვექილია. როგორც იურისტი, იგი იყო უაღრესად პრინციპული, სიმართლისმოყვარე, ყოველგვარი ბოროტების მტერი. ამიტომაც მან თანამედროვე მოწინავე საზოგადოებისა და მშრომელი მოსახლეობის დიდი ნდობა და პატივისცემა მოიპოვა.

მისი თანამედროვე, გასული საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი იურისტი მოსე ქიქოძე გიორგი ლოლობერიძეს ასე ახასიათებდა: იგი იყო თავისი დროისათვის დიდად ერუდირებული, ჰუმანური, თავმდაბალი და გონიერი, გამბედავი და პრინციპული, მტერი გაიძვერობისა და დამცირებისა, ქვემძრომობისა და პირმოთნეობისა, ძვირის მეტყველებისა და ბეზლობისა, რაც ნათლად ადასტურებს მის სულიერ სისპეტაკესო.

სხვა ძვირფას თვისებებთან ერთად გიორგი ლოლობერიძე დაჯილდოებული ყოფილა მჭევრმეტყველების საუცხოო უნარით. მისი საჯარო გამოსვლები სასამართლო პროცესებზე დამსწრეთა დიდ მოწონებას იმსახურებდა, პრინციპული დასკვნები გაჭირვებულთ მალამოდ ედებოდა, ხოლო თვითნება მჩაგვრელთ თავს ესხმოდა, შიშის ზარს ჰგვრიდა. მოსე ქიქოძე ასე გადმოგვცემს გიორგი ლოლობერიძის მჭევრმეტყველების ერთ სურათს:

„მთლად გავშეშდიო, მითხრა ბოლოს ერთმა ჩემმა მოსაუბრემ, როცა გიორგი სრულიად მოულოდნელად მე და ჩემს ამხანაგებს თავს დაგვესხა მაშინ, როდესაც ნათესაგების ხელიდან ჩვენ უნდა გამოგვეტაცა ჩემი არჩეული მდიდარი გასათხოვარი ქალი. სისხლის სამართლით სასჯელის მოლოდინს ისე არ შევეუშინებოვარ, რამდენადაც ამლაგმა და მიწასთან გამასწორა გიორგის საყვედურმა და მკაცრმა მხილებამ: „პირადის თავისუფლებისა და ხორციელად ხელშეუხებლობის დარღვევას, თავის მოგვარე არსებათა, თითქმის პირუტყვებიც კი ერიდებიან, მეტადრე ადამიანი, რიგიანი საზოგადოების წევრი, ამას არ უნდა კადრულობდეთ“..

მორალის ქადაგებას მაშინ აქვს აზრი, როცა იგი მიზანს აღწევს, სანინააღმდეგო პოზიციაზე მდგომი იდეურად განიარაღდება და არა მართო გნებდება, არამედ შეცდომას, როგორც ცოდვას, ისე ინანიებს. ასეთი გამარჯვება კი დიდბუნოვანთა და დიდი ნიჭით დაჯილდოებულთა ხვედრია. სწორედ ამ კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნებოდა გიორგი ლოლობერიძე.

ამ პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწის სულიერ სინძინ-

დესა და საყოველთაოდ აღიარებულ პატიოსნებას მრავალი მისი თანამედროვე და მომდევნო თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იგონებს. „გიორგი ლოღობერიძე პირველი უნივერსიტეტდამთავრებული საზოგადო მოღვაწე იყო, ვეცილი, ყოველ საზოგადო საქმეში საუკეთესო ორატორი“, — წერდა მის შესახებ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლორთქიფანიძე.

გიორგი ლოღობერიძეს ახლო იცნობდა სახელოვანი შალვა დადიანი. შალვას მოგონებაში გაცოცხლებულია დიდი აკაკის აზრი და შეხედულება გიორგის შესახებ. ქუთაისში ახალგაზრდა შალვა დადიანის რეჟისორობით წარმოუდგენიათ აკაკის ვოდვეილი „ბუტიაობა“. ორი წყვილი ცოლ-ქმარი ერთნაირად ყოფილან გამოწყობილნი, ორივე ქმარი თავ-თავის ალაგას ასეთ ფრაზას ამბობს: „მაშინ შემირცხვეს მე უღვაში“ ისინი რეჟისორს სცენაზე უუღვაშოდ გამოუყვანია. როცა ზემოთ მითითებული ფრაზა წარმოუთქვამთ, მაყურებელს დარბაზში სიცილი აუტეხია. შალვა ამის შესახებ წერდა: „აკაკიმაც ბევრი იცინა, თუმცა წარმოდგენის შემდეგ ამოვიდა ჩემთან და მანუგეშა: „ეგ არაფერია, შეიძლება კაცს უღვაში არ ჰქონდეს და მაინც თავის უღვაშის შეურცხვენლობაზე ილაპარაკოსო. აი, გიორგი ლოღობერიძეს ხომ იცნობ, ამჟამად ერთი კაცია ჩვენში, რომელიც უღვაშებს იპარსავს, მაგრამ ამას თამამად შეუძლიან თავის უღვაშის შეურცხვენლობაზე ილაპარაკოსო“. შემდეგ შალვა დადიანი დაასკვნის: „მართლაც იმ დროს ამ საპატიო პიროვნების გარდა საქართველოში თითქმის არავინ იპარსავდა უღვაშებს და ცნობილი იყო როგორც ყოვლად უმნიკველო პატიოსნების პატრონი“.

გიორგი ლოღობერიძის შესახებ აკაკის შეხედულება ამ ერთი მოგონებით არ ამოიწურება.

მცხეთის აკაკი, 1860 წელს, პეტერბურგში წერს ვოდვეილს ერთ სცენად. ნაწარმოები შეეხება ქუთაისის თავად-აზნაურთა მარშლის არჩევნებს. ეს ნაწარმოები პოეტმა 1873 წელს, დაწერიდან 13 წლის შემდეგ გამოაქვეყნა, ხოლო 1912 წელს, დაწერიდან 52 წლის გასვლის შემდეგ, მოგონებაში პირდაპირ მიუთითა მოქმედ პირთა ვინაობა და აღნიშნა, რომ ეს სცენა პირია სინამდვილისაო. ამ ნაწარმოებში გამოყვანილი პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენელი გიორგი ლოღობერიძე არის.

გიორგი ლოღობერიძე მრავალი ეროვნული საქმის მოთავე და ორგანიზატორი იყო. იგი ხელს უწყობდა ქ. ქუთაისში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. გიორგი აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დაარსებაში. მისი უშუალო მონაწილეობით 1886 წელს მამამისის მშობლიურ სოფელ გოჩა ჯიხაიშში გაიხსნა სახელმწიფო სკოლა, წლების განმავლობაში ამავე სკოლის მზრუნველი იყო.

როგორც გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს დღეებში მწერლის საოჯახო არქივში აღმოჩენილი დოკუმენტი გვაცნობს, პირველი ქართული წარმოდგენა ქუთაისში გაიმართა 1859 წლის თებერვალში. წარმოადგინეს ერისთავის პიესა „გაყრა“. თაოსნობა და ხარჯი ამ შემთხვევაში იყო გიორგი ბესარიონის ძე ლოღობერიძისა“...

ამგვარად, ქ. ქუთაისში პირველი წარმოდგენის დადგმის ინიციატორი და მატერიალურად დამხმარე გიორგი ლოლობერიძე ყოფილა.

მკითხველს გავაცნობთ კიდევ ერთ დოკუმონტს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა დიდად აფასებდა აკაკი გ. ლოლობერიძის ღვაწლს.

გ. ლოლობერიძე გარდაიცვალა 1900 წლის 11 დეკემბერს (ძვ. სტ). ქ. ქუთაისში. იგი დაკრძალეს ბაგრატიის ტაძრის გალავანში. გიორგის დასაფლავებაზე სიტყვები წარმოუთქვამთ აკაკისა და იურისტ. მოსე ქიქოძეს. აკაკის სიტყვა არ შესულა პოეტის გამოცემებში. ჩვენ მის ტექსტს მივაკვლიეთ გაზეთ „ცნობის ფურცელის“ 1900 წლის № 1130-ში, რომელიც 1973 წლის 17 თებერვალს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა სათანადო კომენტარით. შემდეგ საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ვიპოვეთ ამ სიტყვის აკაკისეული ხელნაწერი. აკაკი ამ სიტყვაში ხაზგასმით მიუთითებს:

„წინამორბედ — მახარობლად მოეველინა განსვენებული გიორგი იმ ახალგაზრდა გუნდს, რომელიც ჩვენში მესამოცე წლების მოღვაწეებად არიან ცნობილნი.

მართალია მწერლობითი საშვილიშვილი საბუთი თვისის მოღვაწეობისა არა დაუტოვებია რა განსვენებულს, მაგრამ ჩვენ, მის ნაამხანაგებს გვახსოვს და მოვალეთა ვხით ჩვენს თავს, არ დავივიწყოთ, რომ იმ გზისაკენ, რომელზედაც შემდეგში მესამოცე წლების მოღვაწეებმა გაიარეს ჩვენში, პირველად გიორგი ლოლობერიძემ მიგვითითა“...

ესე აფასებდა თერგდალეულთა ერთ-ერთი მებაირახტრე, — აკაკი წერეთელი იურისტ გიორგი ლოლობერიძის ღვაწლსა და ამაც ამით პოეტმა ყველაფერი გასაგებად თქვა, ნათლად წარმოგვისახა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი კაცის დიდებული სახე.

საბჭოთაეთის მშენებელი

გერმანიის
საბჭოთაეთის

1. მიმღები იმპორტული საქონლის მიღების დროს ვალდებულია დაუყოვნებლივ შეადგინოს სარეკლამაციო აქტი და სათანადო ინსტრუქციის დაცვით, სხვა შესაბამის საბუთთან ერთად, წარუდგინოს საქონლის შემკვეთ გაერთიანებას.

სახალციხის სარაიონთაშორისო საბითუმო სავაჭრო ბაზამ 1982 წელს მიიღო იმპორტული ქსოვილი, რომელიც მას გამოუგზავნა „საქქსოვილვაჭრობამ“. ერთი თვის შემდეგ საქონლის რაოდენობრივი მიღების მიზნით საქონელი გადაეცა ექსპერტს, რომლის აქტით დადგინდა იქნა დანაკლისი.

სახალციხის ბაზამ სახელმწიფო არბიტრაჟში შეიტანა სარჩელი, რომელშიც მოითხოვა გადახდოდათ „საქქსოვილვაჭრობას“ და იმპორტული საქონლის ვაჭრობის საკავშირო გაერთიანებას დანაკლისის ღირებულება — 1021 მანეთი.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მიძიებულს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მან დაარღვია პრეტენზიის წარდგენის წესი და ვადები.

განცხადებაში სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ მიძიებული აღნიშნავდა, რომ მას საპრეტენზიო წესი არ დაურღვევია, ვინაიდან საქონელი უნდა შეემოწმებინა არა მას, როგორც საბოლოო მიმღებს, არამედ პირველად მიმღებს — „საქქსოვილვაჭრობის“ ბაზას.

საიმპორტო საქონელზე სარეკლამაციო

აქტების შედგენის ვადებისა და წესის ინსტრუქციის თანახმად, ასეთი აქტი უნდა შეადგინოს ტვირთის საბოლოო შიმღებმა, რომელმაც იგი გახსნა შეფუთული, საზღვარგარეთელი გამომგზავნის ხელუხლებელი ტარით.

ტვირთის რაოდენობრივი მიღება უნდა გაფორმებულიყო ტვირთის მიღებისთანავე, ვინაიდან საკავშირო გაერთიანებასა და საზღვარგარეთელ დამამზადებელს შორის დადებული შეთანხმებით დადგენილია უკანასკნელის მიერ პრეტენზიის განხილვის შეზღუდული ვადები.

პრეტენზია შემკვეთს, საკავშირო გაერთიანებას ეგზავნება არა უგვიანეს 40 დღისა შემოღონიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული პრეტენზიის განხილვის ვადის გასვლამდე.

გარდა ამისა, სარეკლამაციო აქტში უნდა იყოს ტვირთის ძირითადი გზავნილებიდან გამომდინარე მონაცემები. მოტივი, რომ ეს რეკვიზიტები მოსარჩელისათვის უცნობია, არბიტრაჟს არ შეუძლია გაიზიაროს, ვინაიდან მას საჭირო რეკვიზიტები უნდა დაედგინა მიმწოდებლის (ტვირთის პირველადი მიმღების) მეშვეობით.

2. გამგზავნი ვალდებულია სარკინიგზო ზედნადებში მიუთითოს ის საკონტროლო ნიშნები, რომლებიც მან აღნიშნა პლომბზე ვაგონში ტვირთის ჩატვირთვისას.

ბრესტის საიმპორტო საქონლის ვაჭრობის ბაზამ საქართველოს „საქქსოვილვაჭრობას“ № 08299468 სარკინიგზო ზედნადებით გადაუტვირთა იმპორტული ქსოვილი, რომლის ღირებულება მიმღებმა სრულად გააანაღდა.

დანიშნულების სადგურში ტვირთის მიღების მომენტში აღმოჩნდა დანაკლისი, რის გამოც შედგა კომერციული აქტი № 2930, რომლითაც დადგინდა ტვირთის წესიერული გადაზიდვა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამგზავნის მიერ ქსოვილით დატვირთული ვაგონი მიმღებს ჩაბარდა ტექნიკურად წესიერულ მდგომარეობაში გამგზავნის ხელუხლებელი პლომბებით.

ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის მიერ დანაკლისის ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

„საქქსოვილვაჭრობის“ ბაზამ სახელმწიფო არბიტრაჟში შემოიტანა სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და ბრესტის ბაზისათვის 3073 მანეთის გადახდვიინების შესახებ.

მოთხოვნა დაკმაყოფილდა ტვირთის გამგზავნის ხარჯზე.

გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ტვირთის გამგზავნი ბაზა ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ რკინიგზის მიერ შედგენილ კომერციულ აქტში არ იყო აღწერილი ვაგონ-



ნის პლომბების საკონტროლო ნიშნები, რაც თითქოს იმას ნიშნავდა, რომ ტრანსპორტირების პროცესში პლომბები არ იყო ხელუხლებელი.

ეს მოტივი არ გაიზიარა არბიტრაჟმა, ვინაიდან თვით გამგზავნის სარკინიგზო ზედნადების სათანადო გრაფაში არ ჰქონდა მითითებული, თუ კონკრეტულად რა საკონტროლო ნიშნები დაადო მან პლომბებს.

საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თავისი და-

დგენილებით მთავარმა არბიტრმა, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა დადგენილებაში ნათქვამია, რომ, თუ გამოძიებით დადგინდება საქონლის დანაკლისში გადამზიდველის ბრალი, ბრესტის ბაზას უფლება აქვს მიმართოს არბიტრაჟის თხოვნით ახალი გარემოების აღმოჩენის გამო სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავათა განხილვის წესების 103-ე მუხლის შესაბამისად გადაისინჯოს გადაწყვეტილება.

3. სსრ კავშირის რკინიგზების წესდებით დადგენილი ნორმების დაცვა სავაღდებულოა როგორც ტვირთის გამგზავნებისა და მიმღებთათვის, ასევე რკინიგზისათვის.

ერევის საფეკავმა ქარხანამ არბიტრაჟში წარდგენილი სარჩელით მოითხოვა ამიერკავკასიის რკინიგზას დაეისრებოდა 900 მანეთის გადახდა, რაც რკინიგზის მხრივ ვაგონების დაუსუფთაობის გამო ჩამოწერილი ჯარიმის თანხას შეადგენდა.

მოთხოვნის შინაარსი ასეთია: რკინიგზების წესდების 161-ე მუხლით რკინიგზას უფლება აქვს მოსთხოვოს ტვირთის მიმღებს ჯარიმის გადახდა ტვირთის ჩამოტვირთვის შემდეგ ვაგონის დაუსუფთაობისათვის.

ჯარიმათა სახეობანი, რომელთა უდავო წესით ჩამოწერის უფლება რკინიგზას აქვს, ჩამოთვლილია სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 160-ე მუხლში.

ვაგონების დაუსუფთაობისათვის ჯარიმა

ზეწმით მითითებულ მუხლში აღნიშნული არ არის, ამიტომ უდავო წესით ჯარიმის ჩამოწერა უკანონოა. ასეთი მოთხოვნა რკინიგზამ საპრეტენზიო და სასარჩელო წესით უნდა გააფორმოს.

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული დარღვეული სამოქალაქო უფლებების აღდგენა რკინიგზის მიერ უნდა მომხდარიყო სათანადო წესით და ვადებში, პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, არბიტრაჟში სარჩელის წარდგენის გზით.

დადგენილი წესის დარღვევის გამო მაძიებელს დაუბრუნდა რკინიგზის მიერ ჩამოწერილი თანხა საქმის არსებითად განხილვის გარეშე.

4. გადაზიდვიდან გამომდინარე საპრეტენზიო და სასარჩელო მოთხოვნა რკინიგზას წარედგინება იმ საფუძვლითა და ოდენობით, რომლებსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის რკინიგზების წესდება.

ქარელის რაიონულმა სამომხმარებლო საზოგადოებამ სახელმწიფო არბიტრაჟში შეიტანა სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და სამტრედიის სავეჯო კომბინატისათვის 4385 მანეთის გადახდევინების შესახებ. ძიების თანხაში მაძიებელმა შეცდომით შეიტანა სახელმწიფო ბაჟის თანხა 112 მანეთი.

ძიების თანხა შეადგენს დაზიანებული ავეჯის ღირებულებას (2811 მან.), ჯარიმას (562 მან.) და საურავის თანხას (899 მან.).

საქმის მასალებით დადგენილი იყო რკინიგზის ბრალი ავეჯის დაზიანებაში. რკინიგზების წესდებით გათვალისწინებულია გადამზიდველის პასუხისმგებლობა ტვირთის დაზიანებისათვის, ამიტომ სარჩელის ეს ნაწილი

2811 მანეთის ოდენობით დაკმაყოფილდა რკინიგზის ხარჯზე.

სარჩელის დანარჩენ ნაწილში მაძიებელს უარი ეთქვა, ვინაიდან სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 143-ე მუხლის თანახმად, რკინიგზა პასუხს აგებს მხოლოდ იმ ნორმათა საფუძველზე და იმ დარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესდებით.

პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით ტვირთის ხარისხის გაუარესებისათვის, აგრეთვე საურავის გადახდევინება რკინიგზისათვის წესდებით გათვალისწინებული არ არის, რის გამოც სასარჩელო თანხის დაკმაყოფილებაზე ამ ნაწილში მაძიებელს უარი ეთქვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

„წამატებებისა და გვეგების შესრულების ანგარიშების სხვა დამახინჯებათა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1973 წლის 12 იანვრის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 14 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ი. გოგილაშვილმა.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის, — თქვა მომხსენებელმა, — საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინის განმტკიცებას, წამატებათა წინააღმდეგ ბრძოლასა და გვეგების შესრულების ანგარიშების სხვა დამახინჯებათა აღმოფხვრას.

როგორც სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელები თავიანთი საგეგმო დავალებების შესრულებლობის დროს დანაშაულებრივი გზით ცდილობენ მდგომარეობის გამოსწორებას და ზემდგომ ორგანოებს უგზავნიან განზრახ დამახინჯებულ მონაცემებს. ეს კი სერიოზულად აფერხებს სახალხო მეურნეობის სწორ დაგეგმვას, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსებზე რაციონალურ გამოყენებას. არის შემთხვევები, როდესაც წამატებებს თან სდევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება, მეჭრთამეობა და სხვა საშიში დანაშაულობანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლომ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო და თბილისის საქალაქო სასამართლოებმა უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა გასწიეს ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ. წამატებების საქმეთა განხილვის დროს ისინი ძირითადად სწორად იყენებენ მო-

კმელ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმების სახელმძღვანელო განმარტებებს.

მაგრამ პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები წარმოებაში იღებენ უხარისხოდ გამოძიებულ საქმეს, თვითონაც უშვებენ არსებითი ხასიათის შეცდომებს, მთელი პასუხისმგებლობით არ არკვევენ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსა და პირობებს, ჯეროვნად არ აფასებენ საზოგადოებრივ საშიშროებას, რასაც ეს დანაშაულს იწვევს, ყველა ბრალდებული პირი არ ეძლევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მომხსენებელმა პლენუმზე მოიყვანა ასეთი დამახინჯების პრაქტიკული მაგალითები, გააანალიზა შექმნილი მდგომარეობა და წამოაყენა მოსაზრებანი მათი აღმოფხვრისათვის.

„იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“—სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 25 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“—ასეთი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის გ. ციარაშაის მოხსენება.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის საქმეებს სასამართლოები ძირითადად სწორად განიხილავენ, — თქვა მომხსენებელმა, — ისინი ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობითა და ზემდგომი ორგანოების, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმების შესაბამისი განმარტებებით და ძირითადად დროულად და კვალიფიციურად წყვეტენ სადავო საკითხებს.

ამასთან შეიმჩნევა, რომ ზოგიერთი სახალხო სასამართლო უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ კატეგორიის საქმეთა განხილვას, არ ითხოვს მასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ მტკიცებულებას, სათანადოდ არ არკვევს განმცხადებლის მოთხოვნის საფუძვლიანობას და საქმეს განიხილავს დაინტერესებული პირების



მონაწილეობის გარეშე. საქმისადმი ასეთი ზე-რეაქცი, გამარტივებული დამოკიდებულება კი იწვევს იურიდიული ფაქტის მცდარად დადგენას, რაც თავისთავად დაკავშირებულია მოქალაქის მიერ უსაფუძვლოდ ქონებრივი გამოჩენის მიღებასთან. იურიდიული ფაქტის დადგენის დროს დაშვებული შეცდომა კი ზიანს აყენებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კოპერატიული ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების ინტერესებს.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები იხილავენ თავიანთ არაქვემდებარე საქმეებს. იგულისხმება შრომის სტაჟის, შრომის-

უნარიანობის დაკარგვის მიზეზებისა და ხარისხის, ინვალიდობის, მოქალაქეთა ასაკის და ზოგიერთი სხვა სადავო საკითხის დადგენა. ამით სასამართლოები სცილდებიან თავიანთ კომპეტენციას რაც ხელს უწყობს მოქალაქეთა უსაფუძვლო მოცდენებს, საკითხის გადაწყვეტის გაუმართლებელ გაჭიანურებას, ხოლო არცთუ იშვიათად მოქალაქეთა მიერ პირადი და ქონებრივი უფლებების უკანონო მოპოვებას.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ბარაბაძე.

იურიდიული სამსახურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სამინარეო

26 ოქტომბერს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის იურიდიული სამსახურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სამინარეო. იგი მიემდგინა იმ ამოცანების განხილვას რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. აბესაძე.

საკითხთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსმა თ. საბიაშვილმა, საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგემ გ. ბახტაძემ, რესპუბლი-

კის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა ნ. ამბოჯაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ნ. წერეთელმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის უფროსმა რევიზორმა ე. სტაუაძემ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსმა ა. კუპრეიშვილმა.

თათბირმა შეიმუშავა უახლოესი პერიოდისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ რესპუბლიკის იურიდიული სამსახურის მუშაკები პერიოდულად შეიკრიბონ, რათა იმსჯელონ იმაზე, თუ როგორ სრულდება 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

თ. საბიაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი.



სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

უურნალ „საბჭოთა სამართლის“ სარედაქციო ფოსტა მრავალფეროვანია. გარდა თეორიული და პრაქტიკული სტატიებისა რედაქცია სისტემატურად იღებს გამოხმაურებებსა და რეცენზიებს ამა თუ იმ საინტერესო წიგნებსა და ნაშრომებზე, წერილებს, რომლებშიც გამოთქმულია გულწრფელი მადლობა სამართალდაცვითი ორგანოებისა და მისი მუშაკებისადმი, ჩანახატებს ჩვენი პროფესიის ადამიანების შესახებ, წინადადებებს უურნალის პუბლიკაციების სოფლყოფის თაობაზე, საჩივრებს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ საქმეებზე.

1988 წლის ექვსი თვის მანძილზე რედაქციაში შემოვიდა 400-მდე სტატია, წერილი. რეცენზია, ნარკვევი, საჩივარი, შეკითხვა და სხვა მასალები რესპუბლიკის 45 ქალაქიდან და რაიონიდან. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის ასეთი მასალა მიღებული თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ბათუმიდან, ჭიათურიდან, მცხეთიდან და ზოგიერთი სხვა რეგიონიდან.

სარედაქციო ფოსტის ზოგადი ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში შეუროგებელი ბრძოლა წარმოებს კანონის უოველგვარი დარღვევებისა და გადაცდომების წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანებმა სწორად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და 1988 წლის ივნისის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებანი და ერთსულფონად უჭერენ მხარს პარტიის ბოლოდროინდელ საინინაო და საგარეო პოლიტიკას. ნათლად იგრძნობა ისიც, რომ უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო ამაღლდა ადმინისტრაციული ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა, ჩვენთან ჯერ კიდევ არსებულ კანონიერების დარღვევებთან ბრძოლის საქმეში მოქალაქეებს მათი თანდგომისა და მხარდაჭერის მეტი იმედი აქვთ.

ბუნებრივია, რედაქციაში შემოსული მასალების ძირითადი ნაწილი, რომელიც უფრო აქტუალური და მოწონებულია სარედაქციო კოლეგიის მიერ, დროულად პოულფობს ადგილს უურნალის ფურცლებზე და იგი ფართო მკითხველთა განსჯის საგანი ხდება. გამოქვეყნებულ მასალებზე პროფესიული კამათი უურნალის ფურცლებზე სისტემატურად წარმოებს და, ვფიქრობთ, რომ ამას სარგებლობა მოაქვს სწავლული და პრაქტიკოსი იურისტებისთვის და იმათთვის, ვინც უშუალოდ წყვეტს ამა თუ იმ საქმეს, ადამიანების ბედინაღობს.

არცთუ იშვიათად რედაქცია დებულფობს საჩივრებს, რომლებიც შეეხება სასამართლოს, პროკურატურისა და იუსტიციის ორგანოების მუშაკთა უსულფული დამოკიდებულფობს მოქალაქეთა ბედინაღობში, საქმეთა განხილვისა თუ გამოძიების უსაფუძვლო გაჭიანურებას, სამართალდაცვითი ორგანოს ზოგიერთი მუშაკის უსულფტურობასა და უცოდინარობას. ასეთი საჩივრების მიმართ რედაქცია დროულად ახდენს რეაგირებას. თუ სჭიროება მოითხოვს ჩვენი თანამშრომელი უშუალოდ სწავლფობს საჩივარს, ზედმიწევნით ეცნობა საქმეს. ასე იქმნება კრიტიკული წერილები განყოფილებისათვის — „რედაქციაში წერილი მოვიდა“. ამ რუბრიკით უკვე დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლში სამოქალაქო საქმეთა უსაფუძვლო გაჭიანურების უეუწყენარებელი ფაქტები იყო აღწერილი. მათ არა მარტო მკითხველთა მოწონება დაიმსახურეს, არამედ მიზანსაც მიადღეს, რადგან, ჯერ ერთი, წერტილი დაეხვა წლობით განუხილველად დატოვებულ სამოქალაქო საქმეთა განხილვას, ამასთანავე, მოპკითხეს კიდევ იმათ, ვინც პერსონალურად აგებდა პასუხს საქმის გაჭიანურებისათვის.

შესტაფონდმა ა. ჩიბურდანიძემ საჩივრით მიმართა რედაქციას. შემოწმებით მართლაც გამოირკვა რაიონის სამართალდაცვითი ორგანოების მიკერძოება. სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ადრული იყო შესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშის ა. ჩიბურდანიძისა და ამავე ქალაქის ტაქსის მძღოლის ნ. დათუაშვილის თითქოსდა ხულიგნობის ფაქტთან დაკავშირებით, მცდარად იყო წარმოებული. ა. ჩიბურდანიძეს სასამართლომ (მოსამართლე — რ. ფუტყარაძე) პატიმრობა მიუსაჯა. კინაღამ საპატიმროში მოხვდა ორი შვილის მამა, ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა და პატიოსანი ოჯახის პატრონი. რედაქციის ჩარევით შეცდომა რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გამოასწორა და ა. ჩიბურდანიძე დღესაც თავის ძველ კოლეტივში განაგრძობს მუშაობას.



საქმის ასე დამთავრების გამო რელაქციამ საჭიროდ აღარ ჩათვალა მასალის გამოქვეყნება, მაგრამ იგი მაინც გადაუგზავნა რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობას საჭირო რეაგირებისათვის.

რელაქციაში მოდის ისეთი განცხადება-საჩივრებიც, რომლებიც სცილდება რელაქციის კომპეტენციის ფარგლებს, მაგრამ არც ისინი რჩება უყურადღებოდ. როგორც წესი, იგი კონტროლზეა აყვანილი და რეაგირებისათვის ეგზავნება შესაბამის სამართალდაცვითს ორგანოს: რესპუბლიკის პროკურატურას, უმაღლეს სასამართლოს ან იუსტიციის სამინისტროს.

მიმდინარე წლის ექვს თვეში სამი საჩივარი — ა. კუპრაშვილისა თერჯოლიდან, ი. ოლიაშვილისა სიღნაღიდან და ზ. მარქარაშვილისა კასპიდან გადაეგზავნა საქართველოს სსრ პროკურატურას, ორი საჩივარი — ნ. ქარჩავასი სოხუმიდან და მ. ხუბაშვილისა თიანეთიდან — საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, ხლო ორი — პ. ყიფშიძისა საჩხერედან და გ. მაღასიძისა საგარეჯოლოდან — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ კონკრეტულად პასუხიც გამოგვიგზავნა და გვაცნობა, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მალასიძის საჩივარი დაკმაყოფილებულია (მასალა რუბრიკით „წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...“ გამოქვეყნდა ჩვენი ჟურნალის მეოთხე ნომერში) მუშაობის ასეთი ფორმა ახალი არ არის, იგი საიმედო და გამართლებულია. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რა მასეთი წერილები ყოველთვის დროულად, ჟურნალებით და მალაქვადლიფიცირულად განიხილება ხოლმე ყველა ინსტანციაში.

სარელაქციო ფოსტაში განსაკუთრებით დიდია შეკითხვების რაოდენობა. იურიდიულ კონსულტაციებს გვთხოვენ რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან. მათი ავტორები არიან მუშები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, წარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, საბინაო-სამშენებლო კომპერატოვების გამგეობათა თავმჯდომარეები, არცთუ იშვიათად ბავშვებიც. თავიანთი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე მათ აინტერესებთ, როგორ წყდება კანონმდებლობით სამოქალაქო სამართლის ისეთი საკითხები, როგორც არის მემკვიდრეობა, ანდერძი, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება. პენსიების დანიშვნა და მიღება, მიწის და საკომლემენტარეო სამართლის ნორმების შეფარდება, სოფლად მცხოვრები პედაგოგებისა და ექიმების უფლება-მოვალეობანი და სხვა. კითხვები ბევრია და ამოუწურავი. ყველა მათგანს რელაქცია ზუსტ, გარკვეულ პასუხს აძლევს და ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დღემდე რაიმე გაუგებრობა არ წამოჭრია.

ჟურნალის მკითხველებს აინტერესებთ აგრეთვე ნასამართლობის გაქარწყლების წესი. ბევრია შეკითხვები მატერიალურად პასუხისმგებელ პირად მუშაობის უფლების თაობაზე. რელაქცია მუდამ დროულად და კანონის შესაბამისად უპასუხებს ამ შეკითხვებსაც.

ჩვენი თხოვნი მკითხველები გვიგზავნიან ისეთ წერილებსაც, რომლებზეც ისინი გამოქვამენ თავიანთ სურვილებს, გვთავაზობენ წინადადებებს სარელაქციო მუშაობის გასაუმჯობესებლად. ყველა მათგანს ამოძრავებს კეთილშობილური მიზანი, რათა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ პუბლიკაციები კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყოს და სრულყოფილად აქაპოფილებდეს თავისი მრავალრიცხოვანი აუდიტორიის ინტერესებს.

მაგალითად, თბილისელი ჟურნალისტი თ. მორგოშია გვთავაზობს ახალ რუბრიკებს: „იურისტის ჩანაწერები“, „გამოძიების ქრონიკა“, „მეცნიერთა ლაბორატორიაში“, „მისამართი რელაქციაში შემოსულმა წერილმა გვიკარნახა“ და სხვა. აქვე იგი გამოთქვამს სურვილს, რომ ხშირად იბეჭდებოდეს იუმორისტული ნახატები და საინტერესო მასალები საერთო რუბრიკებით: „მოხაიკა“, „ნარევი“, „უცხოეთში“. იგი იწონებს ჩვენი ჟურნალის ტექნიკურ გაფორმებას. მაგრამ აქვე გამოთქვამს სურვილს, რომ ხშირად იბეჭდებოდეს ფოტოილუსტრაციები. ჩვენი ჟურნალის აქტიური მკითხველი ც. ყანაშვილი, რომლის წერილებსაც ხშირად ვიღებთ სიღნაღიდან, გვთხოვს სისტემატურად გამოვაქვეყნოთ ჟურნალის ფურცლებზე ქართულ და რუსულ ენებზე ახალად გამოცემული იურიდიული ლიტერატურის სია და მისამართი, სადაც შეიძლება მათი შეძენა.

ასეთი წერილები სხვაც ბევრია ჩვენს სარელაქციო ფოსტაში. მათს ავტორებს რელაქცია გულმოდგინედ უსმენს და ზოგიერთ შენიშვნას ითვალისწინებს კიდევ თავის მუშაობაში. რელაქცია მოელის, რომ ასეთი კონტაქტები კიდევ უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება.

სარელაქციო ფოსტა ჩვენი საქმიანობის სარკე და ერთ-ერთი ძირითადი უბანია. კვლავაც ველით თქვენს რჩევას, ძვირფასო მკითხველებო!



კომპლექსური ნაგებობა სამართალდაცვითი ორგანიზაციისთვის

1978 წელს თბილისში აიგო 26 კომისიის სახელობის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების — მილიციის, პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს კომპლექსური შენობა.

ნაგებობა დაპროექტა „თბილისქალაქპროექტის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის, მეოთხე არქიტექტურული სახელოსნოს კოლექტივმა (პროექტის ავტორი არქიტექტორი ვლ. ჭურთიშვილი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. შილაშვილი).

დაპროექტებას წინ უძღვდა მოსამზადებელი მუშაობა: მასალის ღრმად გაცნობა, დავალებების შესწავლა და დამუშავება, გათვალისწინებულ იქნა სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის სპეციფიკა.

ტერიტორია გამოიყო რთულ ქალაქგეგმარებით სიტუაციაში შაუმიანისა და ნავთლუღის ქუჩების კუთხეში. სირთულეებიდან გვინდა გამოვყოთ ჩამოყალიბებული დიდი სივრცე, სატრანსპორტო კომუნიკაციების თავმოყრა და ნავთლუღის ხევის არსებობა, რომლებმაც რამდენადმე განაპირობა შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტა.

გარდა ამისა იმ დროისათვის არ იყო არავითარი ანალოგი ან ნორმატიული მასალა. ამიტომ საპროექტო დავალება შესრულდა რესპუბლიკის და ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა კონსულტაციების და რჩევების საფუძველზე.

შენობაში შემავალი სამსახურების უკეთ განლაგების მიზნით გადაწყდა დაპროექტებულიყო სამსართულიანი ნაგებობა, სადაც თითო სართული ძირითადად დაეთმობოდა: რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას, პროკურატურასა და სასამართლოს.

იმის გამო, რომ პროკურატურის ორგანოებს შედარებით ნაკლები ფართი სჭირდებოდათ მათ გამოეყოთ მეორე სართულის ერთი ფლიკელი.

პირველ სართულზე მოთავსებულია შინაგან საქმეთა განყოფილების სამორიგეო, საპასპორტო სამსახური, არასაუწყებო დაცვა და სააქტო დარბაზი. მეორე სართულის დიდი ნაწილი ეთმობა შინაგან საქმეთა განყოფილებას. მესამე სართულზე განლაგდა რაიონული სასამართლო ოთხი დიდი და ერთი პატარა სასამართლო დარბაზი.

დარბაზებს აქვთ როგორც სათათბირო ისე მოწმეთა დასასვენებელი ოთახები და სხვა საჭირო სათავსები.

სამუშაო ოთახები და კაბინეტები განლაგებულია შენობის პერიმეტრის გაყოლებით, რომელსაც აერთიანებს კორიდორები. სამუშაო ოთახები გამოყოფილია ცენტრალური ვესტიბიულისაგან, რომელიც ძირითადად მომსვენდება მოსაცდელად და დასასვენებლად არის გაშიწვნილი. ფართო, ზედა სინათლით განათებული სამსართულიანი შიდა ეზო — ვესტიბიული მთელი შენობის კომპოზიციური ცენტრია.

დაპროექტებისას ვცდილობდით რომ შენობას ჰქონოდა ადმინისტრაციული ნაგებობისათვის შესაფერისი იერსახე და ამავე დროს ყოფილიყო ნათელი და თვალგასახარო.

რაც შეეხება ფასადებს იგი გადაწყვეტილია ერთიან მოდულში მარტივი სიბრტყეებით, რაც შენობას მეტ ზომიერებას ანიჭებს.

შენობის გარშემო ტერიტორია კეთილმოწყობილია. აქვს ფართო მისასვლელი ავტოსადგომებით.

წლების მანძილზე ნაგებობამ ექსპლუატაციის დროს განიცადა ზოგიერთი გადაკეთება სამუშაო ოთახების გადანაცვლების გზით, მაგრამ ძირითადი გეგმარებითი სტრუქტურა მაინც შენარჩუნებული აქვს.

ამ კომპლექსური შენობის არსებობა მომავალში ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული ორგანოების რაიონული თუ საქალაქო სახლების დაპროექტებასა და მშენებლობას.

ვლ. ჭურთიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი.

ი. სურგულაძე



ქართულმა იურიდიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი, ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელი, თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ივანე სურგულაძე.

ი. სურგულაძე დაიბადა 1903 წელს სოფელ ქანიეთში (მახარაძის რაიონი). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ლენინგრადის იურიდიული ინსტიტუტის ასპირანტურაში და 1940 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ჭერ კიდევ დისერტაციის დაცვამდე, 1937-40 წლებში, იგი მუშაობდა საქავშირო სამართლებრივი აკადემიის ლენინგრადის ფილიალში ლექტორად, ხოლო 1941-42 წლებში სვერდლოვსკის იურიდიულ ინსტიტუტში დოცენტად.

1942 წელს ი. სურგულაძეს სამუშაოდ იწვევენ მშობლიური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც ლექციებს კითხულობდა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის სხვადასხვა იურიდიულ დისციპლინაში.

1946 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ქართლის სახელმწიფოებრივი წესობა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე“. 1947 წლიდან გარდაცვალებამდე განაგრძობდა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრას. წლების განმავლობაში შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებაში.

ი. სურგულაძე აქტიურად მონაწილეობდა როგორც უნივერსიტეტის, ასევე რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: იყო უნივერსიტეტის ადგილობრივი თავმჯდომარე, მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების სამართლის სექცია, სისტემატურად თანამშრომლობდა რესპუბლიკის უზრუნველყოფაში.

პროფესორმა ი. სურგულაძემ კათედრის გამგედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობით დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკაში იურისტთა კადრების მომზადებასა და სამართლის მეცნიერების განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი ასპირანტი და მკვლევარი, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ი. სურგულაძე იყო ფართო ერუდიციისა და მაღალი ინტელექტის მეცნიერი, რომელმაც წარმატებით განაგრძო და განავითარა აკადემიკოსების ივანე ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა მიერ დაწყებული მუშაობა ქართული სამართლის ისტორიაში. მისი მონოგრაფიული გამოკვლევები ადრეული და გვიანდელი პერიოდის ქართულ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ ინსტიტუტებზე გამოირჩევა აზრის სიღრმით, პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალობით. მან მაღალ მეცნიერულ დონეზე შეისწავლა და გამოსცა ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლები „ხელმწიფის კარის ვარიანტი“, „დასტურდამალი“ და სხვა.

პროფესორ ი. სურგულაძის დიდი დამსახურებაა ახალი სამეცნიერო დისციპლინის — ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ისტორიის შექმნა და სასწავლო დისციპლინად მისი შემოღება იურიდიულ ფაკულტეტზე.

ი. სურგულაძის 200-მდე ნაშრომში, რომელთაგან 13 მონოგრაფიაა, არაერთი პრობლემა პირველად არის დამუშავებული, ზოგიერთი მათგანი სრულიად ახლებურად არის გადაწყვეტილი, წამოყენებულია ორიგინალური მოსაზრებანი. ამიტომაც მისმა შრომებმა გამოხმაურება

პოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, რამდენიმე მათგანი ითარგმნა და გამოვეყენა რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, სერბიულ ენებზე.

ცნობილი მეცნიერი და მკვლევარი აქტიურად მონაწილეობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მასალების მომზადებასა და გამოცემაში. მას მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობა, აღზრდილები, კოლეგები არასდროს მისცემენ დავიწყებას დაუღალავი მკვლევარის, შესანიშნავი მოქალაქისა და მასწავლებლის, აქტიური საზოგადო მოღვაწის, პროფესორ ივანე სურგულაძის ნათელ ხსოვნას.

საპარტვილო სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საპარტვილო სანისტორიო საზოგადოება; თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

გამოსათხოვარი

ივანე იულაძის ძე სურგულაძე იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა მოღვაწეობაშიც მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, გადაწყვეტი როლიც კი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ისეთი სასწავლო დისციპლინის შექმნასა და პოპულარიზაციაში, როგორც არის ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მთელ რიგ ფაკულტეტებზე შემოღებული იყო კურსი, — ქართული სამართლის ისტორია, რომელსაც მაშინ ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა.

უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე რომის სამართლის ისტორიას, სსრ კავშირის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას, სამართლის ზოგად ისტორიას კითხულობდნენ პროფესორი იროდონ სურგულაძე და ისიღორე დოლიძე. მას შემდეგ, რაც 1942 წელს ახალგაზრდა დოცენტი ივანე სურგულაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსწავლა, მისი ცხოვრების უმთავრეს საქმედ იქცა უზრუნველყო ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სწავლების მაღალი დონე იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ მიზნით მან შეადგინა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე, რომელიც რამდენჯერმე დაბეჭდულა კიდეც და, რაც მთავარია, მან მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა წარმართა ქართული სამართლის ისტორიის ღრმად შესწავლის მიზნის განსახორციელებლად.

1946 წელს ივანე სურგულაძეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. მისი სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „გვიანფეოდალური ქართლის სახელმწიფო წყობილება“. ეს ნაშრომი ავტორმა გამოაქვეყნა 1952 წელს და დღემდე ამ საკითხის შესასწავლად უკეთესი ნაშრომი არ მოგვეპოვება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში ივ. სურგულაძემ გამოაქვეყნა საუბრაოდებო გამოკვლევა — „საკუთრების უფლების ინსტიტუტის შესახებ ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლების მიხედვით“.

ივ. სურგულაძეს მეცნიერული ინტერესების ცენტრში ყოველთვის იდგა საკითხი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურების შესახებ. ამიტომაც მისი ნაშრომებმა უმრავლესობა ამა თუ იმ თვალსაზრისით ამ საკითხის ახლებურად კვლევას ემსახურებოდა.

1963-1965 წლებში პროფ. ივ. სურგულაძემ ორ ტომად გამოაქვეყნა „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“. „ნარკვევების“ პირველ ტომში, რომელიც 1963 წელს გამოცა, დაბეჭდილია მისი მნიშვნელოვანი ნაშრომი „გლებთა კატეგორიები და გლებთა გადასახადები „დასტურლამალის“ მიხედვით“. ვერც ერთი მეცნიერი, რომელიც



გვიანი საშუალო საუკუნეების საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ისტორიის შესწავლას მიიწოდებებს, სხენებულ ნაშრომს გვერდს ვერ აუვლის.

პროფ. ივ. სურგულაძეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია მნიშვნელოვანი ქართული სიგელებიც და მათი შესწავლის შედეგებიც გამოქვეყნებული აქვს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილები XI საუკუნის დოკუმენტის — ოპიზის სიგელის, გიორგი მესამის სიგელის, ქსნის ერისთავის 1470 წლას სიგელის და სხვათა შესახებ.

ცალკე ნაშრომი მიუძღვნა ავტორმა რუსული მმართველობის დამყარებას საქართველოში. ივ. სურგულაძემ შეისწავლა გარდამავალი პერიოდი ქართლ-კახეთის მმართველობაში, განიოკვლია 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის მომდევნო ხანებში ახალი დაწესებულებების გახსნა და მათი შედეგები აღმოსავლეთ საქართველოში. ცალკე აქვს ავტორს გამოყოფილი და შესწავლილი მთავარსარდლის ანუ მთავარმართებლის თანამდებობა, საქართველოს მმართველის თანამდებობა, საქართველოს უზენაესი მთავრობის საკრებულო, სამოქალაქო სამართლის ექსპედიცია, სამაზრო დაწესებულებანი, ქალაქის მმართველობის ორგანოები.

მ ავღაბარველად, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ქართველმცოდნეობის ანუ ქართველოლოგიის კათედრას ახალგაზრდა მეცნიერი ნიკო მარი ჩაუდგა სათავეში. ჩვეულებრივად ითვლებოდა, რომ ქართველოლოგი და არმენისტი ისტორიკოსიც უნდა ყოფილიყო ფილოლოგიც, არქეოლოგიც და ნუმისმატიც, ენათმეცნიერიც და ეთნოგრაფიც. თუ დიდი ერების კულტურის შესწავლას ენებოდა საქმე, მაშინ, ცხადია, ცალ-ცალკე სპეციალისტები შეისწავლიდნენ მათს ენას, ლიტერატურას, ისტორიას და სანართალს, მაგრამ როდესაც ქართულ ან სომხურ სიძველეებს სწავლობდნენ, გულისხმობდნენ, რომ მათი მნიშვნელობისა და ფასეულობის გარკვევისათვის სრულებით არ იყო საჭირო მკვლევარის მხრივ ვიწრო სპეციალიზაცია.

ასეთი ვითარების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ნ. მარმა 1899 წელს სამაგისტრო დისერტაციის დაცვის წინ წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა კიდეც „სახალხო განათლების ჟურნალში“ (1899 წ. № 6). მეცნიერმა სავსებით მართებულად დააყენა საკითხი, რომ საშუალო საუკუნეების ქართულ და სომხურ კულტურას დამოუკიდებელი მეცნიერული ღირებულება აქვს. ამიტომაც სომხური და ქართული ლიტერატურაც იმავე მეთოდის მეშვეობით უნდა იქნეს შესწავლილი, როგორცაც დიდი ერების ლიტერატურა და ისტორია შეისწავლება.

საჭირო იყო ხელის აღება იმ მეცნიერული ცრურწმენისაგან, თითქოს საქართველოს და სომხეთის წარსული სხვა მეთოდებით შეიძლებოდა შეგვესწავლა, ვიდრე უფრო მსხვილი პოლიტიკური და კულტურული ერთეულებისა. ნიკო მარს ამასთან ერთად შეუწყნარებლად მიიჩნედა ის გარემოებაც, რომ საუკეთესო ნაშრომები ქართული და სომხური კულტურის საკითხებზე უცხოელ მეცნიერებს ეკუთვნოდათ.

ქართულ უნივერსიტეტში, რა თქმა უნდა, შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ ქართული სამართლის ისტორია ცალკე დისციპლინად გამოყოფილიყო, მაგრამ ახლა ქართველი იურისტი მეცნიერების წინაშე იდგა მძიმე ამოცანა-დამტკიცება იმისა, რომ ქართული სამართლის ისტორიის ცალკეული ინსტიტუტების შესწავლას დამოუკიდებელი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

ამ მხრივ ქართული სამართლის ისტორიის სპეციალისტებმა ირ. სურგულაძემ, ალექსანდრე ვაჩიშვილმა, ივანე სურგულაძემ და ისიდორე დოლიძემ გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველოლოგიის საგანძურში.

კერძოდ, ივანე სურგულაძემ უძძლო იმის ჩვენება, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტები ღირსნი არიან დამოუკიდებელი კვლევა-ძიებისა.

ამ მხრივ საგაგებოდ უნდა აღინიშნოს ივანე სურგულაძის სქელტანიანი, ცხრაას გვერდიანი ნაშრომი „ქართული სამართლის ძეგლები“, რომელიც გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა 1970 წელს.

ზემოხსენებულ წიგნში ავტორს განხილული აქვს ქართული სახელმწიფო სამართლის ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლი — „ხელმწიფის კარის გარიგება“ და „დასტურლამალი“. განოკვლევასთან ერთად აქ ზემოხსენებული ძეგლების ტექსტების ახალი გამოცემაც არის განხორციელებული. ამასთან ერთად მოცემულია „ხელმწიფის კარის გარიგების“ რუსული თარგმანიც.



ასე რომ, მთელი ნაშრომის შედეგების გაცნობა შესაძლებელია რუსი და გერმანელი მეიზხველისთვისაც, რადგანაც წიგნს თან ახლავს ავტორის მიღებული შედეგების რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე.

„დასტურლამალის“ შესწავლას ივანე სურგულაძემ თავისი ცხოვრების თითქმის ერთი მესამედი მოანდომა. 1946 წელს ი. სურგულაძის მიერ დაცული სადოქტორო დისერტაციისათვის სწორედ „დასტურლამალი“ იყო ერთ-ერთი უმთავრესი წყარო.

ი. სურგულაძემ „დასტურლამალი“ შეისწავლა სხვა ქვეყნების შესაბამის ძეგლებთან აკვირბით და აღნიშნა, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ და „დასტურლამალის“ მსგავსი ძეგლები დგებოდა როგორც შუა საუკუნეების აზიის, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, მისი აზრით, ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლებთან ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს ინგლისური ხელმწიფის კარის წესდება — „კონსტიტუციო დოკუმს რეგის“, რომელიც, გაბატონებული მოსახრების თანახმად, შედგენილი უნდა იყოს პენრი პირველის გარდაცვალების შემდეგ, 1185 წელს ანმის ახლო ხანებში. ინგლისურ სასახლის კარის გარიგებაში ძირითადად გათვალისწინებულია სასახლის მოხელეთა გასამრჩელო და უღლუფა. ინგლისურ ძეგლში მოიპოვება საყურადღებო ცნობები დიდი სახელმწიფო მოხელეების ფუნქციების შესახებაც. ივ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ სასახლის პირველ მოხელედ ინგლისურ ძეგლში კანცლერია მოხსენიებული, რომელიც მეფის მთავარი მდივანია. მას ეკითხებოდა სამდივნო და სასამართლო საქმეები და ამ მხრივ რამდენადმე მწიგნობართუხუცესის — ჭყონდიდელის თანამდებობას ემსგავსებოდა. მეცნიერის ყურადღება მიიპყრო სამეფო დარბაზის მთავარი გამგებლის თანამდებობა, რომელსაც ჩემბერლენი ეწოდებოდა და დარბაზის უხუცესადც ითვლებოდა. სასახლის მარშალი ინგლისში დაახლოებით ისეთივე ფუნქციების მატარებელი იყო, როგორც არის საქართველოში მანდატურთუხუცესი. ინგლისურ ხელმწიფის კარის გარიგებაში მოხსენიებული იყო აგრეთვე ხაზინადარი, რომელიც ქართული მეჭურჭლეთუხუცესის სამეურნეო ფუნქციებს ასრულებდა. იქვე ნახსენებია სასახლის სამეურნეო უწყებანი და უწყებათა მოხელეები, რომელთაც ანალოგიები ეძებნებთ ქართულ სინამდვილეში.

ბ ხაია, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მსგავსი ძეგლი საქართველოში XI-XII საუკუნეებშიც იქნებოდა, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია.

„დასტურლამალი“ შეადგინა ვახტანგ VI-მ 1707-1709 წლებში ქართლის სამეფოსათვის. „დასტურლამალი“ სპარსულ-არაბული სიტყვაა და ნიშნავს მართვა-გამგეობისათვის სახელმწიფო-დღევანდელს, ინსტრუქციას. ეს ტერმინი საქართველოში შემოდის გვიან საშუალო საუკუნეებში, როდესაც ქართლი და კახეთი ირანის ვასალები იყვნენ. უფრო ადრე, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში „დასტურლამალის“ შესატყვის ცნებას სიტყვა „გარიგება“ გამოხატავდა. ივ. სურგულაძეს თავის ცხრაასგვერდიან წიგნში გათვალისწინებული აქვს „დასტურლამალის“ თხუთმეტი სხვადასხვა ხელნაწერი, რომელთა საერთო მოცულობა სამ ათას გვირდზე მეტია. ავტორს დადგენილი აქვს, რომ „დასტურლამალი“ წარმოადგენს სხვადასხვა მეფის დროს შედგენილ გარიგებათა კრებულს. კერძოდ, ავტორს მასში გამოვლენილი აქვს მეფე ლევანისა და გიორგი XII-ის დროინდელი ფენა. მაგრამ, როგორც ჩანს, სხვადასხვა დროის განწესებანი ვახტანგ VI-მ ერთ რედაქციაში მოიყვანა.

ქართული სამართლის ძეგლების გამოცემის საქმეს მეცნიერმა იურისტებმა 50-იან წლებში მოაკიდეს ხელი. 1955 წელს ი. დოლიძემ გამოსცა ბეჟასა და აბუღლას სამართლის წიგნი. ამის შემდეგ ივ. სურგულაძემ გამოსცა იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“, 1979 წელს კი იაგორ ჭილაშვილის „ბუნებით სამართლის მოხაზულობა“, რომელსაც ერთვის ი. სურგულაძის მიერ ოსტატურად შესრულებული ნაშრომი „იაგორ ჭილაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი“. დ. ფურცელაძემ გამოსცა დავით ბატონიშვილის მიერ შედგენილი სამართლის წიგნის პროექტი, აგრეთვე უცნობი ავტორის მიერ შედგენილი „სამოქალაქო მსჯულებილება“. მანვე თარგმნა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი რუსულ ენაზე. ასე რომ, ქართველი იურისტები უკვე აღარ გაუბრბან წმინდა ფილოლოგიური ხასიათის სამუშაოსაც კი.

აწ განხვეწებულ ივანე სურგულაძეს ხანგრძლივი მივლინებით მოუხდა ყოფნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აქვე გაეცნო იგი ზოგიერთ იმ ნაშრომებს, რომლებიც ბიზანტიის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხებზე დაწერეს დასავლეთ გერმანიაში. ფრ. დელაგერმა და მისმა მოწაფეებმა, საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იურიდიულ-ფილოლოგიური სკოლის შექმნის ფრ. დელაგერისეული იდეა მოსაწონია. სამართლის ისტორიის სპეციალისტს სასურველია, სოლიდური ფილოლოგიური მომზადებაც ჰქონდეს. მომავალში სამარ-



თლის ისტორიის სპეციალისტების მომზადების პროცესში ზრუნვის საგანი უნდა გახდეს მათი ფილოლოგიური მომზადების გაღრმავება.

პროფ. ივანე სურგულაძის დამსახურებაა ყურადღების გამახვილება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შესწავლაზე. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ქართული პოლიტიკური მოძღვრების სისტემატური შესწავლის ფუძემდებელი. მის მიერ გამოცემულ ცანეტი წიგნიდან სამი პოლიტიკური მოძღვრების საკითხებისადმი მიძღვნილი. მას გამოსაქვეყნებლად მომზადებული დარჩა ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის, აგრეთვე ქართულ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საკითხებზე დაწერილი ათობდე ტომი.

ივ. სურგულაძემ საქმისადმი დიდი სიყვარულითა და მონდომებით გამოსცა იაგორ ჭილაშვილის მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსით ფრიალ მნიშვნელოვანი ნაშრომი „ბუნებით სამართლის მოხაზულობა“, რომელიც 1812 წელს ძალზე შეზღუდული ტირაჟით გამოიცა პეტერბურგში რუსულ ენაზე. ეს თხზულება დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ივ. სურგულაძემ იგი ქართულადაც თარგმნა და პარალელურად გამოსცა მისი ქართული და რუსული ტექსტები.

იაგორ გაბრიელის ძე ჭილაშვილი 1792 წელს დაიბადა დუშეთში. 1803 წლიდან ის რუსეთში ცხოვრობდა. 1812 წელს, სავსებით ახალგაზრდა — ოცი წლის იაგორ ჭილაშვილმა გამოსცა ბუნებით სამართლის შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელმაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრა საბჭოთა კავშირის ხალხების პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში. დღეს მისი დამსახურება აღნიშნულია დიდ ენციკლოპედიებსა და სქელტანიან ნაშრომებში. ი. ჭილაშვილი ერთ-ერთი იმ პირველი და სერიოზული მოაზროვნეთაგანი იყო, რომელიც უკვე XIX საუკუნის დასაწყისში გრძნობდა, რომ ადამიანი არ არის შიშველი სუბიექტურობა, რომ პიროვნება საკუთრების ურთიერთობაზე მალა მხოლოდ გამოწკლისის სახით შეიძლება ამაღლდეს. ი. ჭილაშვილი წერდა: „ყველა ადამიანი თავისუფალია; ყველა ადამიანი თანასწორია ურთიერთშორის პირადი საკუთრებით და თავისუფლებით“. შრომას იგი განსაზღვრავდა როგორც თანასწორობის საფუძველს და აშკარად უპირისპირდებოდა თავდაუნაურთა უფლებებს, იცხოვრონ უშრომლად, მუქთახორობით. ი. ჭილაშვილი მართლწომიერად თვლიდა შრომით შექმნილ „მოდრავ საკუთრებას“, რომლის საფუძველიც „პირადი საკუთრებაა“. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ი. ჭილაშვილმა აღიარა ისტორიული განვითარების იდეა. ზ. ა. კამენსკის მართებული მოსაზრებით, ი. ჭილაშვილი იყო ერთ-ერთი მეტად თვალსაჩინო წარმომადგენელი იმ სკოლის მოღვაწეებიდან, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ბუნებამ მისცა ადამიანს უოფიერება და „საჭიროება“ და მანვე მიანიჭა ადამიანს უნარი დაიკაყოფილოს თავისი „საჭიროებანი“. ი. ჭილაშვილის აზრით, „ბუნებამ განუსაზღვრა ადამიანს დატკბეს სიცოცხლით“.

ივ. სურგულაძის ნაშრომში ნაჩვენებია, რომ იაგორ ჭილაშვილი იყო ბუნებითი სამართლის თეორიის დემოკრატიული მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთში და, ამდენად, რუს რევოლუციონერთა პირველი თაობის — დეკაბრისტების ერთ-ერთი იდეური წინამორბედიც ი. ჭილაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი დადასტურებაა ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრისა იმის შესახებ, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველებს გონებრივად არ ეძინათ. ისინი აქტიურად ებმებოდნენ მოწინავე ევროპული იდეებისათვის ბრძოლაში.

1981 წელს გამოცემლობა „მეცნიერებათა“ დაბეჭდა ივ. სურგულაძის ნაშრომი „ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან (XIX ს.)“, სადაც განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ნიკო ურბნელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები.

მის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი „საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორია“ ითარგმნა სერბოულ ენაზე. მას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები აგრეთვე ფრანგულ და გერმანულ გამოცემებში.

ადამიანთა ცხოვრების ხანგრძლივობის საშუალო მასშტაბს თუ ავიღებთ, მისი წუთოსოფელი არცთუ ისე მოკლე იყო, მაგრამ იმ დიდი გეგმებისათვის, რომლებიც მას 80 წლისას ჰქონდა, კიდევ რამდენიმე ათეული წელი იყო საჭირო.

პროფ. ბ. ნაღარაძე



ცნობები ავტორთა შესახებ

ღიასბეგი დავით დურსუნიძე — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

ჯორჯიანა სარგო მანასიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გამოქვეყნებული აქვს ბევრი მეცნიერული შრომა და წიგნი, მათ შორის ჩვენს ჟურნალში.

ლილუაშვილი თენგიზ ალიქსანდრას ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილების გამგე. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

მრემოვი პრიგოლ არტემის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი შრომის, 40-მდე წიგნის და ბროშურის ავტორი, ხშირად გამოდის ჩვენს ჟურნალში.

ვალუაშვილი აკოლონ იაკობის ძე — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, მრავალი მეცნიერული შრომის, წიგნისა და ბროშურის ავტორი.

ლონჯი გიორგი შოთას ძე — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, 2 შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ჯამბასიძე ტარიელ ვახტანგის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ასისტენტი, 2 შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ბაშყალიძე ოთარ კალენიძის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 40 შრომისა და მონოგრაფიის ავტორი, აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

აბუნიანი ნიკოლოზ ფილიპის ძე — ჟურნალისტი, საქართველოს ტელევიზიის პროპაგანდის მთავარი რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, სამი წიგნის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.



ბარბაქანის პირველ გვერდზე: კომპლექსური ნაგებობა სამართალდაცვითი ორგანოებისათვის. ინჟორმაია მის შესახებ იხ. ამავე ნომრის 75 გვ.
გ. სპირანიაძის სლავი.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 5, 1983 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плевахова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

639/4



ფანო 60333

ინფექსი 76185